ეკ.ჟ.ნ.
1955

ციცინო ჩხაიძე

მე
როლი
არ მაქვს

თბილისი
2021

ეუძღვნი შთაძმავლობას,
ჩემი სულიერი ტკივილისა და მარტოსულობის
მიზეზთა უკეთ აღქმისთვის

მკითხველო! რადგან დავიბადე, რადგან მეც სამყაროს ნაწილი გავხდი, უნდა მიმიღო ისეთი, როგორიც ვარ: ერთ პატარა გორაკზე ურმის სიჩქარით მოარული, ერთის წუთის შრომით გადაღლილი და ერთის იის კუთვნილი სითბოს მატარებელი. თუმცა... დიდი ძალისხმევა დაგჭირდება, რომ დამინახო, აღმომაჩინო და შესამჩნევი გავხდე შენთვის.

უფალმა აღმომაჩინა, გულში ჩამიხუტა, ხელში ატატებულიც კი მატარა და ახლა უნდა, ეს ერთი პატარა მარცვალი, საზოგადოებისთვისაც შესამჩნევი გამხადოს. უნდა შემიყვარო ისეთი, როგორიც ვარ, თორემ... მრავალწერტილში გარდავიცვლები.

●

დღეს, ამ გადასახედიდან, ჩემი ცხოვრების ამსახველი ფილმის რეჟისორი რომ ვიყო, ფირს უკან გადავახვევდი, მტკივნეულ კადრებს ამოვჭრიდი და სასიამოვნო მოკლემეტრაჟიან ფილმად გადავაქცევდი.

ავტორისგან

რედაქტორები: **თეა სიხარულიძე**
თამთა ხიხაძე

© ციცინო ჩხაიძე

ISBN **978-9941-8-2988-8**

შტრიხები ანუ წინათქმა

ქალბატონი ციცინო ჩხაიძის კრებული, ადამიანურობის ღრმა ამოძახილია.

ავტოპორტრეტის პირველივე სიტყვიდან იკვეთება მწერლის სათუთი სულიერი სამყარო, რომელიც მრავალმხრივია, თუმცა მძიმე ცხოვრებით, სიძნელეებითა და „გონიერად ნაფიქრობით“, ერთგვარად დათრგუნულიც კი. ესაა სამყარო, რომელსაც ფერადოვნებით უნდა ეცხოვრა, ოდენ დროთა უმოწყალო გარემოებებმა მიდრიკა სევდისაკენ.

ცხოვრებამ, ამ დიდებულ ენერგიას, მრავალი პასუხისმგებლობა „აჰკიდა“, თუმცა ვერ მოდრიკა მისი სულის ღია ფერები.

მწერალი მძაფრად განიცდის მარტოობას. ცხოვრების სასრულოვნებაც ხომ მარტოობაა. ეს ეგზისტენციალური მარტოობაა. მწერალი, სწორედ ამ მარტოობაშია. **სიშორე გარემომცველი სამყაროსგან – ესაა მისი აწმყო**.

საინტერესოა მწერლის სიმბოლოთა მეტყველება. მაგალითად წერტილი, როგორც ყოველივეს სასრულოვნების, გარდაცვალების სიმბოლო. გარდაცვალება კი გაგებულია, როგორც მარადიული ცვლილებების პროცესი სამყაროში, მხოლოდ განგრძობითობით ნიშანდასმული.

საინტერესო განმარტებებია ადამიანური უმადურობისა – როგორც შეგნებული სიბოროტისა; ჰაერის სევდიანობის თუ ღრუბლის დარდის – წვიმის სახით წარმოდგენა.

მწერლის შემოქმედების ამ ნაწილს, რეჩიტატივად გასდევს პიროვნების ინდივიდუალიზმი.

მართალია მწერალი უჩინოდ გრძნობს თავს საზოგადოებისგან, თუმცა მის სიტყვას ყველაზე მეტი საჩინოობა აქვს უფლისგან, როგორც ყველა უჩინოს შემცნობისგან. საჩინოობა და გამორჩეულობაა სწორედ სიტყვა და მისი ძალა.

საინტერესოა ბავშვობის მოგონებების ნაწილი. ფეხებზეტალახშემხმარი ბებია, რომელიც წლებია საკუთარი გარდაცვლილი შვილის საოხად, მოილოცავდა ღვთისმშობლობისას ჯიხეთის მონასტერს. აღსანიშნავია, დაკარგული მეზღვაური ვაჟიშვილის ლოდინში, დედამამის გამოღამებული თვალების გახსენება.

დიდი სევდის მატერებელია მინიატურები. სევდა და მორიდება, ე.წ. უჩინარობა ამ ცხოვრებაში.

უჩინრად უნდა მოხდეს მიცვალებაც.

გარდაცვალებით სიცოცხლის გაგრძელება სხვა სამყაროში, სხვაგვარად გაგრძელდება „უდიდესი შრომით და ტკივილით, მდუმარებით და მოთმინებით“ ნაცხოვრები ადამიანისა.

მიუხედავად ამ ცისტოლა სევდისა, მჯერა, ამ ბებერი ხის იავარქმნა, უბრალოდ არ ჩაივლის, იგი თავის მწვანე მორჩებს დატოვებს საწუთროს ბილიკზე, მრავლად იპოვნის მწერალი ფიქრთა გამზიარებლებს და მისი შემოქმედება „პურისმარცვლისოდენა“ ადგილს მაინც დაიჭერს, ადამიანთა გულის კუნჭულში.

თეა სიხარულიძე

გადაფასება

დედაჩემის შემოქმედება, ძირითადად, ფსიქოლოგიურ-ბიოგრაფიული ესეს ჟანრის ნაწარმოებებია, ყინულის ცრემლების გროვაა, მოკლებული სიხარულს, სიცილს და ღიმილსაც კი. თავდაპირველად, მათი წაკითხვა მაღიზიანებდა, ხშირად პროტესტსაც კი იწვევდა ჩემში.

მოგვიანებით მივხვდი, რომ ეს ჩემი ცხოვრებაცაა. მეც ხომ მასთან ერთად გავიარე ეს ყველაფერი?! ბავშვი ბოლომდე ვერ აღიქვამს მარტოხელა დედის ტვირთს. ახლა, წარსული რომ გადავაფასე, გავაცნობიერე, თუ რატომ იყო ყინულოვან მთასავით დედა, რატომ არ გვეფერებოდა შვილებს. ალბათ, მოფერებით განებივრებულთ, სწორი გზიდან რომ არ გადაგვეხვია.

დღეს, უკვე წარმატების გზებზე მავალ შვილებს რომ უყურებს, ნაშრომით თვითკმაყოფილი, ბუნებას ესიყვარულება. იქნებ ჩვენ გვგულისხმობს?!

ბავშვობისას, მის თვალზე ცრემლი არ შეგვიმჩნევია. სამაგიეროდ, ახლა გახდა სენტიმენტალური. თუმცა ამასაც შეფარული ფორმით – წერილობით გამოხატავს.

ეს შენიღბული თვითგამოსავალია.

შვილების აღზრდაში მისი სანთელივით წმინდა შრომითი წვა, ახლა, შემოქმედებით წვაში – საკუთარი თავის რეალიზებაში გრძელდება.

ვუსურვებ წარმატებას!

თამთა ხიხაძე

რაც განვვლე

ავტოპორტრეტი

მე ერთი უბრალო, ძალიან უბრალო ადამიანი ვარ; უბრალოზე უბრალო, თავისი წარსულით და აწმყოთი.

უზარმაზარი შინაგანი ენერგიის პატრონი, უზარმაზარი პასუხისმგებლობის მქონე, უზარმაზარი ტვირთით, ნელ-ნელა, მოთმინებით, სიმწრის ოფლით და ცრემლებით მივიწევ ჩემი გოლგოთისკენ.

მუდამ წელში გამართვის ზრუნვის პროცესში ყოფნამ ისე დამღალა, ზოგჯერ ფარ-ხმლის დაყრაზე ვფიქროობ და... გულხელდაკრეფილის პოზას ვნატროობ. თუმცა... სუსტი არასდროს ვყოფილვარ, ამიტომაც არ მსურს ფარ-ხმლის დაყრა.

ხშირად ხელის წამშველებელს ვეძებ, მაგრამ უშედეგოდ. ვერც წინ მიმავალში ვხედავ მშველელს და უკან მოხედვასაც აზრი არ აქვს. განა ვინმე წამომეწევა და ხელს შემაშველებს?

არამც და არამც!

არამც და არამც, სხვისი იმედით არ ვეწევი ჭაპანს!

უზარმაზარი შინაგანი პატივმოყვარეობაც გამაჩნია, სამწუხაროდ.

დაჩოქებული (გარდა ეკლესიისა), დაგლახებული, უმწეო და დაჩაჩანაკებული არავის ვახსოვარ. თუმცა „კვარცხლბეკზეც“ არასოდეს მიფიქრია.

დიახ, „კვარცხლბეკზე“!

ის თავისთავად მოვიდა. პატიოსანი ქალობისთვის, ერთგული და თავდადებული დედობისთვის, „საპატიო გვირგვინის“ ტარებით გამოწვეული სიამე ხშირად მიმიღია. „საპატიო გვირგვინი“, ჩრდილში დამდგარს, ნათელ სვეტად მაქცევდა, უჩინარი საჩინოდ ვიქცეოდი; სიამის სირცხვილი მახრჩობდა, ლაპარაკის უნარი მერთმეოდა, თურმე ეს უფრო მაკაშკაშებდა.

ჩემი გარემო სამსახურში და კეთილი მეზობლები გულში მიკრავდნენ, სიხარულის ცრემლებს ღვრიდნენ; ჩემთან ერთად იზიარებდნენ აღზრდის პროცესში ჩემი შვილების მიმდინარე წარმატებებს და ბოლოს, უნივერსიტეტებში სამივე შვილის სრული გრანტით მოწყობას.

ჩემი „კვარცხლბეკიც“ ეს იყო.

ჩემთან ახლოს მოსული, ან დაახლოების მსურველი ადამიანისთვის, ჩემს მასულდგმულებელ სულსაც კი არ დავიშურებ. კერკეტი კაკალივით ვარ საღგულიანი, თუმცა ძნელად მოსაპოვებელი. დაე,

მან მოიპოვოს კერკეტი კაკლის გული, ვინც იცის მისი გატეხვის საიდუმლო.

პატიოსანი შრომის ფასი და გემო შეუდარებელი და შეუფასებელია.

ღმერთმა ისეთი ჯვარი ამკიდა, გვერდზე გახედვის უფლება წართმეული მქონდა, რადგან ძალიან ვიწრო ბილიკზე უნდა მევლო. ბილიკს ორივე მხრიდან უზარმაზარი ხახადაღებული უფსკრული გასდევდა. მღილისოდენა შეცდომა და... გადავიჩეხებოდი.

უფალს პატიოსანი და მშრომელი ადამიანი უყვარს. წყალობას არ იშურებს; ხელს გიწყობს, საქმეს გიიოლებს. დამხმარესაც გამოგიგზავნის, რათა დიდ საქმეს თავი კარგად გაართვა და სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდე. უფალი, პატიოსან მშრომელს თავის ცოცხლად დამარხვის უფლებას არ მოგცემს.

პატიოსანი შრომა ლოცვის ტოლფასია, უფლისთვის დანთებული კელაპტარია. მეც ამ კელაპტრით ხელში, მადლმოსილი და მადლიერი, თვალცრემლიანი და მუხლმოდრეკილი ვლოცულობ: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“.

მიზანდასახულობამ და შრომისმოყვარეობამ, შვილები სამშვიდობოს გამაყვანინა. ამიერიდან ისინი, როგორმე თვითონ გაიკაფავენ ცხოვრების გზას.

მე, უკვე, აღარაფერი შემიძლია, რადგან სისხლი გამითეთრა ათეული წლების მანძილზე სუნთქვაშეკრულმა ცხოვრებამ.

ადამიანებთან ურთიერთობის აწყობის კულტურაც კი არ გამაჩნია.

მე, მარტოსულად ჩამოვყალიბდი.

მე, შორს ვარ დანარჩენი სამყაროსგან.

●

მე, ცივი, მარადყინულოვანი მთის მწვერვალი ვარ. ჩემთან ერთეულები მოაღწევენ, თუმცა მალევე, ჩქარა გარბიან უკან, ალბათ აშინებთ ჩემი სიცივე. ეშინიათ გამყინვარების მსხვერპლნი არ აღმოჩნდნენ. წამიერი სიხარულები მასულდგმულებს, ცისარტყელასავით რომ გადამისერავს გულს და... მერე ისევ გაუჩინარდებიან.

მარტოსულს, გულისწყვეტით გამოწვეული ცრემლის ბურთულა გადმომიგორდება ხანდახან გაყინული მთის ცივი უპიდან. ჩამოგორებას იწყებს სითბოს მაძიებელი, მაგრამ... იგი იქვე, ღაწვზე შეჩერდება და ყინულის ბურთად იქცევა, გაქვავდება.

ახლა, უკვე, გაყინული ცრემლების გროვაში ვარ ჩაფლული. სხვა ვერც გრძნობს, რომ ეს გაყინული ცრემლის ბურთები, გულში გადამალული და გადანახული გრძნობების ნაღვერდალიდანაა გად-

მოღვრილი ცრემლად. გაყინული ცრემლის ერთი ბურთულა ადამიანის ზლუქუნის, მოთქმის, ცრემლის ნიაღვრის ტოლფასია. ეს გაყინული ცრემლის ბურთულა, განვლილი ცხოვრების მიმართ, სინანულის გრძნობის გამომხატველია, იმ ცხოვრებისა, რომელმაც ყინულოვან მთად მაქცია, რომელმაც ცრემლიც გადააგვარა და უჩინარი გახადა.

•

და... კიდევ, მე, ერთი გულგამომწვარი, ფოთლებგაცვენილი, ტოტებჩამოლეწილი ბებერი ხე ვარ, ყოვლად უსარგებლო და შეშადაც გამოუსადეგარი. ფესვებმაც აზრი დაკარგა, რადგან მათ არ ძალუძთ გამოცოცხლება გარდაცვლილი ხისა.

ძლიერი ქარის ერთი ჩამოქროლებაც საკმარისი იქნება, რომ ეს ბებერი ხე წაიქცეს და დაიმსხვრეს; შავ ნაფოტებად იქცეს. მერე კი, თავსხმა წვიმით გამოწვეული ნიაღვარი გადარეცხავს, ხევში ჩაიტანს და მდინარეს მიაბარებს. მდინარე, ხის დანამცეცებულ ნაწილებს იოლად წაიღებს და სადღაც მიასილავს; ნაფოტებს ზღვამდე ჩაიტანს.

მოზრდილ ნაფოტებს ზღვა ხმელეთზე გარიყავს და... ვინმე შეშის მაძიებლის წყალობით, იქნებ, ბავშვებიანი, შეჭირვებული ოჯახის ღუმელში აღმოვ-

ჩნდე და ცოტა ხნით მაინც, სიამოვნება მივანიჭო მავანთ.

ბოლოს, ნაცრის სახით, კვლავ მიწას დავუბრუნდები გასანოყიერებლად.

საბოლოოდ, წაიშლება კვალი ხისაც და მისი აღმოცენების ადგილისაც.

ერთ ვინმეს მაინც თუ მოაკლდება თვალში ხის გაუჩინარება და ვიღაცა ერთი მაინც თუ გაიხსენებს ამ ხეს, როგორც ერთ დროს ტოტებღონიერს, ფესვმაგარს, სტიქიაზე ზურგშეუქცეველს, ე.ი. უკვალოდ არ მიცხოვრია.

გაზაფხული, გადასილული ხის ადგილას, ახალ სიცოცხლეს წარმოშობს.

და... გაგრძელდება სიცოცხლე, სახეცვლილებით, მაგრამ იმ ფესვებზე დაყრდნობით, რომელსაც მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება პატივს ვცემდი და ვუფრთხილდებოდი; რასაც ფესვები მკარნახობდა, იმ ტრადიციებით ვსულდგმულობდი.

●

პირნათელი წარვსდგები კი, ჩემს წინაპრებთან?

ხელმარტოს და ფეხმარტოს, გულმარტოს და სულმარტოს, რაც შემეძლო, ყველაფერს ვაკეთებდი. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდი მეკეთებინა ყოველივე, თანაც კარგად.

რამდენად შევძელი?

ამის განკითხვის ჟამიც დადგება.

მძიმე გზა განვვლე, თითქოს სწორად და ჭკვინურად, მაგრამ... გზის დასასრულს, ცხოვრების უკუღმართობებმა და მწარე უარყოფითობანმა, მოლოდინი როგორღაც დააკნინა.

რაც შევძელი და რაც გავაკეთე, ეს იყო ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმი. თუ რაღაც მოლოდინის შესაბამისად არ გამოვიდა, ალბათ იმიტომ, რომ ვერ გავთვალე: – „ყველა ხისგან ცულის ტარი არ გამოვა“. მცდელობა და შრომა არ შველის.

როკი არ გაითლება.

ამასაც ჩემს შეცდომად ვთვლი, რადგან როკისგან რაღაც მაინც უნდა გამოიყვანო, საჭირო და ორიგინალური; მაგრამ უკვე გადაკეთება დაგვიანებულია და აღარც ძალმიძს, რადგან დავვუძლურდი. მე უკვე დავასრულე შრომა. ჩემს ძალებს აღემატება გადაკეთების მცდელობა.

სამყაროსავით დაუსრულებელი და უკიდეგანო არ ვარ.

დავ-სრულ-დი.

გულიც ისე აღარ ფეთქავს და სულიც ვერ ფორიაქობს წინანდებურად.

რა ძლიერი ვიყავი და დღევანდელობაში რა სუსტი ვარ?! თან რა უსუსური?!

მრცხვენია ჩემი სისუსტის.
სამწუხაროდ, წარსულით ვცხოვრობ.
სამწუხაროდ, წარსული მასულდგმულებს.
სწორედ ესაა ჩემი სისუსტე.

•

ახლა, ამ გადასახედიდან, ჩემი ცხოვრების ამსახველი ფილმის რეჟისორი რომ ვიყო, ფირს უკან გადავახვევდი, მტკივნეულ კადრებს ამოვჭრიდი და სასიამოვნო მოკლემეტრაჟიან ფილმად გადავაქცევდი. მაშინ, რა მსუბუქი იქნებოდა ჩემთვის, მოგონებები ჩავლილ ცხოვრებაზე?!

და... ვიცხოვრებდი ბედნიერ მოგონებებში ჩაფლული, „გულ-კუნჭულ-გაღუღუნებული“. სხვასაც გავუნაწილებდი ჩემი გულის სითბოს, დადებით ემოციებს; მაშინ, ასე მოსაბეზრებელი და მოსაწყენი არ ვიქნებოდი გარშემომყოფთათვის.

სამწუხაროდ, ეს მხოლოდ აუხდენელი ტკბილი ილუზიაა. რეალობიდან თავის დაღწევა კი, მხოლოდ გაღმა გასვლით მოხერხდება.

ამის დროც მოვა, უფლის კანონზომიერებით.

28.06.2013 წელი.
თბილისი.

ფიტული

სიცილი, სიხარულის გამომხატველი არაა ყოველთვის.

როცა სიცილი გულიდან არ მოდის, იგრძნობა და გაღიმებულ ფიტულს ემსგავსები.

სწორე, ასეთ ფიტულად ვიქეცი. მე თვითონ ვერ ვცნობ ჩემს თავს..

დავცარიელდი შინაგანად, ემოციურად, ესთეტიკურად, აზროზრივად,...

ყველაფერი გარდაიცვალა ჩემში. ყველაფერმა ფერიც იცვალა და შინაარსიც.

დავრჩი უემოციო, უსულგულო, უძვლო და უხერხემლო. თითქოს ჩემი კანი – გარეგნული იერსახე, გადაკრულია ცივ, უდრეკ კარკასზე.

ვდგავარ კი,... მაგრამ დგომის არსს ვერ ვხედავ.

ვსუნთქავ კი,... მაგრამ სუნთქვის არსსაც ვერ ვხედავ, რადგან უგრძნობ-უგულო ფიტულს, რაში სჭირდება ჟანგბადი?!

ჩემი თვალით ვხედავ ჩემს გარდაცვალებას.

ჩემი შინაგანი სამყარო: მებრძოლი სული, შვილების სიყვარულით გადიდგულებული გული, შემართება და ძალა, ცხოვრების გზაზე გადაულახავ დაბრკოლებას ვერ ხედავდა. ყინულმჭრელ, ყველგანმა-

ვალ ტრანსპორტად ქცეული, ისე დავაბიჯებდი ცხოვრების ოღროჩოღროებში, უკიდეგანო დაბრკოლებებში, თითქოს გზატკეცილზე მერსედესით დავსრიალებდი და ხელში მარაო მეჭირა.

არ ვცხოვრობდი მიწიერი ცხოვრებით. შერგებული არც დილა მქონდა და არც საღამო. იყო მხოლოდ მომავლის იმედზე დამოკიდებული სიხარულები, რაც აწმყოში, შეუძლებელს მაძლებინებდა და გიგანტურ ძალას მმატებდა.

ხშირად სული კბილით მეჭირა, მაგრამ მომავლის იმედით, ვაის დასაძახებლად პირს არ ვაღებდი, რათა კბილებით დაჭერილი სული არ გამპარვოდა.

ასე სუნთქვაშეკრულმა, პირმოკუმულმა, კრიჭაშეკრულმა, გაუღიმებლად გავიარე ცხოვრება.

ჩემი ზრუნვის ობიექტებს, გასახარებლად და ნაყოფის მოსაცემად, წყალს წესით და რიგით ვუსხამდი, მართლაც გაიზარდნენ, გაიფოთლნენ, წელში გასწორდნენ, დამსხვილდნენ, ამაღლდნენ, დამოუკიდებლად შრიალებენ.

დგას ახლა ჩემი ფიტული, გაუკულმართებული ცხოვრებისგან გადაგვარებული, უსისხლძარღვო და უსულგულო; სხვისთვის ძველებური და თითქოს უცვლელი, სინამდვილეში კი გარდაცვლილი, უფუნქციო და უძლური.

ფიტულის გაშტერებული თვალებით გავცქერი სამყაროს, რომელიც ჩემთვის ახლა, უძრავი კარუსელის იმიტაციას წარმოადგენს და არა ბობოქარ, ცოცხალ ორგანიზმს, როგორადაც ადრე აღვიქვამდი.

12.10. 2019 წელი.
თბილისი.

წერის საღერღელი

ბავშვობა მომენატრა, ბავშვობა! გურიის ჰაერით ფილტვების გაჯერება; ეზო, ყველანაირი ხილით სავსე, სეზონის შესაბამისად.

თუმცა, ჩემს ბავშვობას, როგორც მკაცრად ტრადიციული ოჯახის აღსაზრდელ ნაბოლარას ლაღი არ ერქვა, მაინც ძალიან მენატრება, რადგან, მისი წყალობაა ჩემში, შრომისმოყვარეობა და სხვა დადებითობანი. მენატრება გურული დიალექტიც და ლექსიკაც.

გურული დიალექტით საუბრის მოსმენისას გულის სიღრმეში სხვანაირად აიშლება და აიფურცლება მოგონებათა სკივრში ქრონოლოგიურად ჩალაგებული წარსული, რომელიც სხვადასხვანაირი კალიგრაფიითაა ჩაწერილი, ასაკის შესაბამისად. ლამაზი,

მრგვალი, გადაბმული ასოებიდან დაწყებული, დაჯ-ღაბნილით დამთავრებული.

ახლა, მოგონებებისთვის რომ მოვიცალე, ლამაზი კალიგრაფიით შემონახულ წარსულს მოვდექი და ვჯღაბნი. თუმცა, ეს დაჯღაბნილი და ნაჯახირალი სიამოვნებას მანიჭებს და უმეგობრობას და სიმარტოვის გრძნობას აღარ ვუჩივი.

ვზივარ თუ დავდივარ, თავსდასეული მოგონებები, ერთმანეთს არ აცლიან ანცი ბავშვებივით. ზოგჯერ ყველა ერთად მახსენებს თავს. მეც ვჩქარობ, ვცდილობ მოვასწრო, ჩავწერო, რათა ჩემთან დარჩეს ყველა. ჩემთან იყოს ჩემი „ძველი მეგობრები“, ჩემი სისხლი და ხორცი, და ისევ მოგონებათა სკივრში არ აღმოჩნდეს.

ე.ი. ჩემი ჩანაწერები მოგონებათა სკივრიდან გადმოწერილი წარსულია.

მე არც გლობალური საკითხები მიბიძგებს წერისკენ, არც პოლიტიკური მოვლენები. ჩემი ნაჯახირალი ვიწრო სპექტრს მოიცავს. მხოლოდ და მხოლოდ პირადი მოგონებები და განცდები ამიშლიან ხოლმე წერის საღერღელს.

შესაბამისად, წერის დროს ხან ბავშვი ვარ, ხან სტუდენტი, ხან შვილებში ჩაფლული მრავალმხრივი, შემოქმედი და მკაცრი დედა, ხანაც გულგამომწვარი ბებერი ხე, შეშადაც ვერგამოყენებადი.

თუკი, ერთი ვინმე მაინც, დაინტერესდება ჩემი ნაჯახირალით, ის იქნება ჩემი „მეგობართა“ მეგობარი.

07.11.2014 წელი.
თბილისი.

„წერამ“ ამიტანა

– „წერაზე“ ხომ არ ხარ?

– ნამდვილად „წერას“ ჰყავს აყვანილი! – მესმოდა დედაჩემის გამაფრთხილებელი ხმა ბავშვობაში.

ამას მაშინ იტყოდა, როცა ავის მომასწავებელს ხედავდა და გრძნობდა ვინმეს ქცევაში, ან გადაწყვეტილებაში.

მე „წერაზე“ არ ვიყავი. ეს გაფრთხილება, ჩემს მიმართ არ მახსენდება. მისი ადრესატი სხვა იყო. „წერის“ ადრესატი თურმე თავისთავად გახდები, დრო მოიტანს.

სწორედ რომ „წერას“ ვყავარ აყვანილი; პირდაპირი თუ არაპირდაპირი გაგებით.

ვზივარ, ვწევარ, დავდივარ თუ ვმგზავროობ, უბის წიგნაკი და შავი კალამი თან დამაქვს.

ვწერ ბავშვობაზე, სიხარულზე, ტკივილზე, ჩივილზე, წარსულზე, განვლილზე, ჩავლილზე. ვწერ ნამდვილ ტკივილზე და სიხარულზე.

არ ვწერ ჭორს. ჭორი ჭირია და ჭირივით მძულს.

ცოცხალი რომ იყოს დედაჩემი, ნეტა რას იტყოდა ამ ჩემს წერაზე?

●

ვწერ, რათა თავს დასეული ფიქრები, თუნდაც მწვავე და მწარე, ფურცელზე დარჩეს და როცა ფიქრიც მიმატოვებს, გადავიკითხო ჩემი ნაფიქრალ-ნაჯახირალი.

როცა ფიქრის გამზიარებელი გყავს, ფიქრი მიედინება, ჩაივლის. ფიქრის გამზიარებლის დეფიციტს რომ განვიცდი, ამიტომაც ჩემი ფიქრი ჩემთან ჩერდება და თავს დამტრიალებს, არ მასვენებს. ამიტომ ვწერ. ჩქარა ვწერ, ვჩქაროობ, რათა არ გამასწროს ფიქრმა.

წერა კმაყოფილებას მანიჭებს, ფიქრის გამზიარებელს ვხედავ მასში.

„წერა“ აკვიატებაა.

წერაც აკვიატება ყოფილა.

„წერის“ ბოლო სხვადასხვანაირია.

ზოგის „წერა“, ანუ წერის ბოლო დიდების კვარცხლბეკია, ზოგის – სანაგვე.

– ჩემი? ჩემი წერის ბოლო??

მე მხოლოდ ჩემთვის ვწერ, მხოლოდ ჩემთვის და ესეც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

ე.ი. „მწერალიც“ ვარ და მკითხველიც.

●

– „წერას“ ყავხარ აყვანილი შვილო! – მომძახის დედაჩემის ხმა ფიქრში.

ნეტა რას გულისხმობს?

რას უგრძნობს გული?

„წერის“ ბოლო არ ვიცი, მაგრამ... წერას, მართლა ვყავარ აყვანილი.

●

ნეტა მიყურებდეს ახლა დედაჩემი,
მოიწონებდა, ჩემს წერას ნეტა?
გულის სიღრმიდან, აზრებად მოფრინავს
ფოთლები, ფიქრების ხეთა.

მითხრეს: სიყვარულს მიუძღვენიო,
რად გინდაო, ტკივილზე წერა?!
ტკივილი ჩემი თანამგზავრია და...
უცნობზე, ვერ დავწერ! ვერა!

10.08.2014 წელი.
ბათუმი.

ძილი მკვდარი ცხოვრებაა

ცხოვრება დაუმთქნარებლად გავიარე.

დამთქნარება ახლა დავიწყე, რომ დავბერდი, რომ გავჩერდი და რომ დავჯექი. ეს ძილისწინა მდგომარეობა მე არ გამივლია. შრომაში გადაღლილი და გასავათებული ბალიშზე თავის დადებას, ან მაგიდაზე თავის ჩამოდებას ძლივს ვასწრებდი, რომ უკვე მეძინა, ისიც რამოდენიმე საათით, ან წუთით, ამისთვის კი, დამთქნარება სულაც არ იყო საჭირო.

ოღრო-ჩოღრო გზით განვლე ცხოვრება. მიხვეულ-მოხვეულებით, აღმართ-დაღმართებით, ბეწვის ხიდზე გავიარე კასკადიორივით. მცირედით, მოდუნების ან შეცდომის დაშვების უფლება არ მქონდა, რადგან გადავიჩეხებოდი. სწორი გზა მენატრებოდა. გზის მკაფავი ოდესმე რომ მყოლოდა, შეიძლება მცონარა გამოვსულიყავი და რაღაც პერიოში ღრმად ჩამძინებოდა. მე კი... დაუმთქნარებლად და ძილის გარეშე, ასე ვთქვათ ცხენისმიერი რეჟიმით ვცხოვრობდი.

მქონდა პაუზები განვითარებაში, ჩავარდნები. საუბედუროდ, ვაკუუმშიც კი ვიცხოვრე, საკმაოდ ხანგრძლივად. ვაკუუმს, როგორღაც თავი დავაღწიე, ფსიქოლოგიურად საკუთარი ძალების მოკრების ხარჯზე და...

ამოვისუნთქე.

თუმცა, გადასუნთქვა იოლი არ აღმოჩნდა.

დიდი დრო დამეხარჯა.

ბოლოს და ბოლოს სუნთქვის რიტმი დავიბრუნე.

თუმცა ვაკუუმმა თავისი დაღი დამიტოვა, როგორღაც მაინც მოვახერხე წელში გამართვა და ცხოვრებაზე ფეხის აწყობა.

ჩემი წილი ცხოვრების ზოგიერთი ფესვი უკვე გამხმარი იყო და აღარ ექვემდებარებოდა აღდგენას, ამდენად ისინი მკვდარ წერტილებად დარჩა ჩემს მეხსიერებაში. რაც გამოსწორებადი იყო, გამოვასწორე, გადავასწორე, ბევრი რამ ახალი ფურცლით დავიწყე. ამასობაში გამოვიბრძმედე, მუშა სახნისივით პრიალა და კაშკაშა გავხდი, რის გამოც „გამოვჩინარდი“.

საბრძოლო შემართება ჩვევად მექცა.

იოლად გასავლელი გზა მაკვირვებს კიდეც, უცხოა ჩემთვის.

იოლად ამყოლ-ჩამყოლი არასდროს ვყოფილვარ. გასაკეთებელ საქმეს იოლად და ზერელედ არასდროს ვეკიდებოდი, ამიტომაც ძილისთვის არასდროს მეცალა.

ძილი ძალების აღდგენაში მეხმარებოდა, უმაგისოდ ვერ იმუშავებს „ადამიანი-მანქანა“, თორემ

სად მეცალა ძილისთვის? ძილის პერიოდებს დაკარგულად ვთვლი, ძილი მკვდარი ცხოვრებაა, უფრო მეტს გავაკეთებდი და მოვასწრებდი, რომ არა ძილი.

სამაგიეროდ ახლა მძინავს, როცა მინდა და რამდენიც მინდა.

ძილზე დალოდება, არ მიყვარს, ზარმაცის საქმე მგონია, იგი თავისით უნდა მოვიდეს.

დაწოლილი ვწერ, ვკითხულობ, ვხატავ იაპონურ ხატვას, ვქსოვ, ფიქრს არ ვეძებ, მოფრენილ, საგულისხმო ფიქრს კი, ხელიდან არ ვუშვებ.

თუმცა...

ხშირად, წარსულზე ფიქრი, მსიამოვნებს კიდეც. შედეგიანი შრომის გახსენებით ვსაზრდოობ, იგი ჩემი ცხოვრებაა, ჩემი სისხლი და ხორცია, ჩემი წინაპარია, ჩემი გაწეული შრომაა, ჩემი შემოქმედებაა; ჩემი ნააზრევია, სადაც თავმოყრილია შედეგების ზენიტიც და წარუმატებლობაც – წაფორხილება; თუმცა ერთმანეთს ავსებენ და ერთიანობაში ლამაზი „კონაა“.

მე ასე მეჩვენება.

უშედეგობა და წარუმატებლობა რომ არ იყოს, ფასი არ ექნებოდა შედეგს და წარმატებას. ესეც ცხოვრების კანონზომიერებაა. სულ მზე არც სასარგებლოა და არც საჭირო. დღე-ღამის მონაცვლეობა, წვიმა, ქარი, ღრუბელი, ზამთარი, ხიბლს

მატებს მზეს, მისი სიკეთე და სარგებლიანობა, უფრო ფასდადებულია.

ასეა ცხოვრებაც. ყველაფერი კარგად თუ გამოგივიდა, შედეგიანობა ღირებული არ იქნება. დიდი აღმართის შემდეგ გვსიამოვნებს დაღმართი, თორემ სულ თავდაღმართში სიარული ცუდია და მოსაბეზრებელი. სწორი გზა კი, ერთფეროვნებაა და ძილის მომგვრელი.

აღმართ-დაღმართი გონებას აფხიზლებს, რამდენადმე სახალისოსაც კი ხდის ცხოვრებას.

აღმართ-დაღმართის შემდეგ გავაკება ხომ... ოაზისია.

17.03.2014 წელი.
თბილისი.

ჩემი ზურგი და ხერხემალი

1996 წლის 17 სექტემბერია.

მთავარი ექიმის (მემედ ჯინჭარაძე), კაბინეტში გაბმული სატელეფონო ზარია. მთავარი ექიმი ყურმილს იღებს და... ყურმილიდან მისალმების მაგივრად, ესმის მტკიცე, მოთხოვნითი მიმართვა:

– აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობა გირეკავთ! თქვენთან ახლა, ამ წუთებში ერთ ქალბატონს, რომელიც ჩვენი თანამშრომელია, ოპერაცია უკეთდება და გვაინტერესებს პაციენტის მდგომარეობა. პაციენტის ორგანიზმის პრობლემის შემთხვევაშიც, ოპერაციის შეჩერება არ გაბედოთ! ჩვენ, ფინანსთა სამინისტროს მთელი პერსონალი მზად ვართ ყველანაირი დახმარებისთვის. ამ ქალბატონმა უნდა იცოცხლოს, მის უკან სამი მცირეწლოვანი შვილი დგას, რომლებსაც დედის გარდა სხვა დასაყრდენი არ გააჩნიათ... ყურმილი არ დადოთ! პასუხს ახლავე ველოდებით!

მთავარი ექიმი უკვე ფეხზე დგას, – დამელოდეთო, ჩასძახა ყურმილში და შემდეგ გვერდზე გადადო. საოპერაციოსკენ ჩქარი ნაბიჯით გაეშურა, გაარღვია ხალხმრავალი დერეფანი და სირბილით შეიჭრა საოპერაციო ოთახში.

დერეფანში მდგომთა შორის ატყდა მითქმა-მოთქმა: ალბათ ის ქალი ცუდად არის, შეიძლება ვერც გადარჩესო. იქვე მდგარ ათიოდე წლის გოგონას ტირილი აუვარდა, ახლობლები ამშვიდებდნენ.

ორიოდე წუთის შემდეგ, მთავარი ექიმი სირბილითვე დაუბრუნდა კაბინეტს, გადადებული ყურმილი აიღო და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლობა დაამშვიდა:

– ყველაფერი რიგზეა, არავითარი საშიშროება არ არსებობს!

●

პალატაში სიჩუმეა.

ძილს თავს ვერ ვართმევ, თავი დამძიმებული მაქვს, სხეული პარალიზებული – ნარკოზს ვებრძვი. პირველი რაც გავიფიქრე, ის იყო და მომეჩვენა, რომ თითქოს საოპერაციოდან პალატაში დამაბრუნეს, ოპერაცია გადადეს, რადგან ძალიან დასუსტებული და შეშინებული ვიყავი-მეთქი.

შიგადაშიგ ვიძირები ქათქათა, ფუშფუშა მაქმანებიანი ფარდების უსასრულობაში. კარგა ხანს გაგრძელდა ძილ-ღვიძილის მონაცვლეობის პროცესი.

მოგვიანებით გამოვფხიზლდი.

თვალი მიმოვავლე ირგვლივ. ახლობელთა გარდა არავინაა, არც ჩემი გოგონა, არც თანამშრომ-

ლები, არც მეზობლის ქალბატონი, რომელმაც საავადმყოფოში მანქანით მიმიყვანა. ისინი ხომ საოპერაციოში შეყვანამდე ზურგს მიმაგრებდნენ და მამხნევებდნენ.

ლაპარაკი მიჭირს, სხეულს ვერ ვგრძნობ.

ცოტა ხნის შემდეგ, შემოდის მთავარი ექიმი პალატის ექიმთან და მედდასთან ერთად. წნევა, თვით მთავარმა ექიმმა გამიზომა და კოლეგებს მიმართა:

– პაციენტს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ! არაფერი გაუჭირვოთ! ამ ქალბატონის ჯანმრთელობისთვის ფინანსთა სამინისტრო ფეხზე დგას და არ შევრცხვეთო. პალატის ექიმი და ექთანი, უსიტყვოდ და ზედმიწევნით ასრულებდნენ მთავარი ექიმის მითითებებს და ბრძანებებს.

საავადმყოფოს სხვა მედპერსონალი და დერეფანში მოსიარულე პაციენტებიც, შიგადაშიგ შემოაღებდნენ პალატის კარებს და იკითხავდნენ:

– უკაცრავად, ის ქალბატონი რომელია, მისი ჯანმრთელობით ფინანსთა სამინისტრო რომ არის დაინტერესებული?

უპატრონო და უსუსური მეგონა თავი. ახლა კი, ასეთი ყურადღების ქვეშ რომ აღმოვჩნდი, სიამის, მადლიერების და კმაყოფილების გრძნობებში ვცურავდი. ამაღლებული განწყობა შემისახლდა სულში.

●

მეორე დღეს, დილით, ჩემი ათი წლის გოგონა (თეონა) შემოვიდა პალატაში, პატარა თაიგულით ხელში, ჩემკენ გამოიქცა ტირილით და მაგრად ჩამეხუტა.

ზლუქუნებდა.

ჩემს შეკითხვაზე:

– შვილო, რატომ ტირი, მე ხომ კარგად ვარ? მან მიპასუხა:

– იცი? გუშინ, საოპერაციოდან რომ გამოგიყვანეს, მკვდარივით იყავი და ძალიან შემეშინდა!

ხელი მოვხვიე, ვაკოცე და ვუთხარი, რომ უკვე კარგად ვარ და საშიში არაფერია.

●

ოპერაციიდან მეორე დღეს მოვიდა მეზობლის ქალბატონიც, მერი გაბეჩავა, აღსარებით: – საოპერაციოში რომ შეგიყვანეს, მე ეკლესიაში წავედი; დაჩოქილი ღმერთს ვევედრებოდი შენს გადარჩენას; ნერვიულობისგან ცუდად გავხდი და აქ მოსვლა ვეღარ შევძელიო.

იმ დღიდან, ერთი კვირის განმავლობაში, არ წყდებოდა ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლების მიმოსვლა საავადმყოფოში. მთავარ ექიმთან აზუსტებდნენ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობას, მამხნევებდნენ და ზურგს მიმაგრებდნენ მარტოხელა

დედას. მოდიოდნენ მეზობლებიც. ყოველდღე უამრავი მოსაკითხი მიგროვდებოდა.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა მთავარი ბუღალტრის, გუგული ხუხუნაიშვილის ჟესტი: იგი ყოველ დილით, არ ვაჭარბებ, ყოველ დილით, სამსახურში მიმავალი, საავადმყოფოში შემომივლიდა, ჩამეხუტებოდა, გამახნევებდა და მორიდებულად, მოსაკითხსაც თავთან, მაგიდაზე დაალაგებდა: ცხელ-ცხელი ხაჭაპურები და კომპოტი, რძე, მაწონი, ხილი, ცხელი ღომი ბლომად ყველით ვერცხლის ქაღალდში შეხვეული და ა.შ.

ჩემი გოგონა არ მცილდებოდა; დიდი ადამიანივით მივლიდა. თუკი რამე დამჭირდებოდა, დაუზარებლად მიკეთებდა ყველაფერს. ეს პატარა გოგონა მთელი საავადმყოფოს ყურადღების ქვეშ მოექცა; ლოცავდნენ, აქებდნენ, მე კი მეუბნებოდნენ: ამის პატრონს რა წაგახდენს, რა მოგკლავსო.

თამთა და შოთა, ამ დროს ჩემს დედულეთში იყვნენ, რადგან ზაფხულის არდადეგები იმ წელს, ოქტომბრამდე გადაიდო. საავადმყოფოდან გამოყვანის შემდეგ, ჩემი ორგანიზმის რეაბილიტაცია, ერთი თვე გაგრძელდა. თეონა განსაკუთრებული ყურადღებით და მზრუნველობით მექცეოდა, რადგან საავადმყოფოს სიტუაციების თვითმხილველი და თანამონაწილე იყო. თამთა და შოთა მოყოლილი ამბების შესაბამი-

სად იქცეოდნენ, ბოლომდე ვერ გააცნობიერეს, შესაბამისად ვერ ჩაიხედეს მდგომარეობაში.

დანიშნულებისამებრ, ანტიბიოტიკების და ვიტამინების ინექციები მქონდა საკეთებელი და სხვების ძებნას, სამივე შვილი დავაოსტატე ნემსის კეთებაში.

•

დაგვიანებულად და წერილობით მაინც მინდა მადლობა გადავუხადო, ფინანსთა სამინისტროს მაშინდელ თანამშრომლებს: ხელმძღვანელობას (ჯემალ თურმანიძეს და ნიაზ შავლიძეს), განყოფილების უფროსს დარეჯან ჭანიშვილს, მალვინა კუკულაძეს; აწ განსვენებულებს: გუგული ხუხუნაიშვილს, ნორა ფირცხალავას, ნათელა რუხაძეს, გუგული ჩხაიძეს; და... ყველას, ყველას, ყველას, ვინც ყურადღებას მაქცევდა, ვინაც გადამატანინა მარტოხელობის მძიმე წლები. ესენი იყვნენ ჩემი ჭირისუფლები, ჭირ-ვარამის და ლხინის გამზიარებლები. ჩემი შვილების წარმატებებზე სიხარულის ცრემლის მფრქვეველნი.

ამ უზარმაზარ, პრესტიჟულ სამსახურში, გამორჩეული და განსაკუთრებული პატივის, თანადგომისა და ყურადღების გარემოცვაში ვტრიალებდი. არ მაგრძნობინებდნენ ფრთამოტეხილობით გამოწვეულ სულიერ ტკივილს, რომელიც გამუდმებით თან მსდევდა და მთრგუნავდა.

მე ვიყავი აბსოლუტურად ამაღლებული და სრულფასოვანი, განებივრებული; თუმცა ამას არ ვიშნობდი და ბოროტად არასოდეს გამომიყენებია. მე მიხაროდა სამსახურში მისვლა და თანამშრომლებთან ურთიერთობა, ასევე უყვარდა ჩემი სამსახური ჩემს შვილებსაც, რომლებსაც გულწრფელი სიყვარულით იკრავდნენ გულში თანამშრომლები, თან ეტყოდნენ: თქვენ ისეთი დედა გყავთ, არაფერს გაგიჭირვებთ და მერე თქვენ არ გაუჭირვებთო.

•

და კიდევ: მოგეხსენებათ, თეატრში პრემიერის, ან რაიმე მნიშვნელოვანი სადღესასწაულო ღონისძიებების მოსაწვევების გარკვეულ რაოდენობას სამინისტროებს უგზავნიდნენ. არ მახსენდება ღონისძიება, ან სპექტაკლის პრემიერა, რომლის მოსაწვევებიდანაც ოთხი ცალი ჩემთვის არ მოეცათ. ამდენად, მე და ჩემი შვილები სამთავრობო, საპატიო რიგში ვისხედით უცვლელად.

დღესაც, მარტოხელასა და მარტოსულს ეს მოგონებები მათბობს და მასაზრდოვებს.

შვილებს ანდერძივით ვუბარებდი: რომ გაიზრდებით, ფინანსთა სამინისტროს წინაშე პატივისცემა გამოხატეთ რაიმე ფორმით-მეთქი, რადგან ფინანსთა სამინისტრო, ჩემი ზურგი და ხერხემალი იყო.

თუმცა, ანდერძის აღსრულების დრო დაგვიანებულიც კია, მაგრამ რადგან ცოცხალი ვარ, აღსრულებაზე ჩემს მეტი არავინ ფიქრობს.

ღმერთო! ისე ნუ გამიყვან წუთისოფლიდან, ეს ნატვრა აუსრულებელი დამრჩეს.

03.09.2015 წელი.
თბილისი.

•

ჩვენ, ერთმანეთი 1993 წლის 12 ივლისს გავიცანით, მაშინ, როცა მუშაობას ვიწყებდი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროში. მინისტრმა, თავისსავე კაბინეტში გამოიძახა მმართველობითი აპარატის დაფინანსების განყოფილების უფროსი, დარეჯან ჭანიშვილი და ასე მიმართა:

– ეს ქალბატონი, შენს გაყოფილებაში იმუშავებს, გააცანი მუშაობის სპეციფიკა!

ჩემი და ქალბატონ დარეჯანის გაცნობითი გასაუბრება, უკვე განყოფილებაში წარიმართა. დარეჯანმა გულთბილად მიმიღო, როგორც თანამშრომელი და გამამხნევა, როგორც ფრთამოტეხილი, მარტოხელა, სამი შვილის დედა.

ჩვენ, 13 წელი ვიმუშავეთ ერთად. 13 წელი ერთი ოთახის წილ ჟანგბადს ვინაწილებდით საარსებოდ, განყოფილების ჭირის და ლხინის თანაზიარნი ვიყავით.

დარეჯანი, ფინანსთა სამინისტროში, ერთ-ერთი საიმედო დასაყრდენი, პროფესიონალი ფინანსისტი იყო. მასთან, სწორად მუშაობის პრინციპებს ვეუფლებოდი.

იგი ამავე დროს, მჭევრმეტყველი, ფრაზეოლოგი, კარგი მოლექსე და მკითხველი იყო. ამაყობდა ქართული ტრადიციული კულტურით, გულისტკივილს გამოხატავდა თანამედროვეობის მანკიერ მხარეებზე, სერიოზულად აფიქრებდა ქვეყნის პოლიტიკური რყევების შედეგად დაზარალებული საქართველოს და ქართველთა ბედი.

ამ ყველაფრის მიღმა იყო, თავგადაგებული მეუღლე, დედა და ბებია.

ჩვენ, თავიდანვე კარგად ავეწყვეთ. ხშირად ვსაუბრობდით ყოფით პრობლემებზე. გმირ დედას მიწოდებდა, როგორც სამი შვილის ხელმარტოდ გამზრდელს და აღმზრდელს. მამხნევებდა, ცდილობდა ცხოვრების ყოფით მძიმე წნეხს, სულიერად არ გავენადგურებინე. ჩემი შვილების წარმატებებს და უნივერსიტეტებში უფასოზე მოწყობის ფაქტებს, სიხარულის ცრემლებით გამოხატავდა სხვა თანამშრომლებთან ერთად და მშობლიური სიყვარულით მიკრავდა გულში.

შემდეგ,... სამსახურში შემოჭრილმა 2005 წლის პოლიტიკურმა ქარიშხალმა, გარკვეული პერიოდით გაგვყარა.

2016 წელს, ჩემმა პატარა, მაგრამ საგულისხმო წიგნის, „ანბანური ინტეგრალების“ ავტორობამ, ჩვენ სულიერად, კიდევ უფრო მეტად შეგვაკავშირა და დაგვაახლოვა. ახლა უკვე სხვა თემამ, სხვა ასპექტმა გაგვაერთიანა; საათობით ვსაუბროობდით ტელეფონით.

დარეჯანი, ჩემს წიგნს დიდის გულისყურით კითხულობდა და ხშირად გაკვირვებული ჩამეკითხებოდა: ამდენ ჭირ-ვარამ გამოვლილ ადამიანში, ამდენი ფანტაზია და შთაგონება როგორ იმალებოდაო, როდის მიიცალეო, აღტაცებას ვერ ფარავდა და ამაყობდა კიდეც ჩემით; ერთ-ერთი საუბრისას, ისიც გაიხსენა, თუ როგორ მომმართა მან ერთხელ სამსახურში, ექსპრომტად:

– ციცო, შენსა ქალობას, იტყვის შთამომავლობაო! და... დასძინა:

– ხედავ, როგორ განვჭვრიტე და ვიწინასწარმეტყველე შენი მომავალიო?!

დარეჯანი, ფინანსთა სამინისტროს სხვა თანამშრომლებთან ერთად, ჩემი ჭირისუფალი და ჩემი საქმიანობის რეალური შემფასებელი იყო.

დასანანია, ბევრი უკვე წავიდა.

ახლა... დარეჯანიც.

ესენი, ის ადამიანები იყვნენ, რომელთა წინაშეც, თავის წარდგინება არ მჭირდებოდა შეხვედრისას.

დარეჯანის გარდაცვალება, აუნაზღაურებელი დანაკლისია ჩემთვის.

ძალზე დამაკლდება, მისგან სატელეფონო შეხმიანება და გამამხნევებელი საუბრები; ზოგჯერ, ხალისიანი გადაკისკისებაც კი. ჩვენ, ნებისმიერ თემაზე, ძალდაუტანებლად, განუსაზღვრელი დროით ვსაუბროობდით.

დარეჯანი, უსაშველოდ დააკლდება მის დიდ და სრულფასოვან ოჯახს; დააკლდება ბათუმს, საქართველოს, როგორც ერთგული გულშემატკივარი და პატრიოტი; როგორც პროგრესულად მოაზროვნე ნიჭიერი ქალბატონი.

ვწუხვარ...

08. 10. 2019 წელი.
თბილისი.

სიცოცხლე გრძელდება

თვალუწვდენელი ჭის ფსკერზე ვარ. ვერ ვიხსენებ, როგორ მოვხვდი აქ? გაბუნდოვანებულია მეხსიერება.

დანარჩენი სამყარო ზევით, შორსაა ჩემგან. მხოლოდ ცის ნაწილს ვხედავ, რაც ჭის წრიდან მოჩანს, როგორც ჭოგრიტში. იმ განსხვავებით, რომ ჩემს „ჭოგრიტს“ ვერ შევუცვლი მიმართულებას.

ჩემი „ჭოგრიტი“ ფანჯრის ფუნქციასაც ასრულებს და მზის ამოსვლა-ჩასვლას მატყობინებს.

ზოგჯერ ადამიანები გადაივლიან ჭის თავზე. ვერც მამჩნევენ, არც იხედებიან „შორეულ ჯურღმულში“.

არც უჩემობას უჩივიან.

უჩინრად გატარებული ცხოვრებით თვითკმაყოფილს, არც ის მაკვირვებს, ახლა რომ ვერ მამჩნევენ. წამიერად სურვილი მომეძალება იმ ხალხმრავლობაში გამოჩენისა და მალევე ქრება ეს სურვილი.

ახლახანს, შემთხვევით გავლილმა ადამიანებმა, ჭაში ჩამოიხედეს და სურვილი გამოთქვეს ჩემთან დაახლოვებისა. თოკის კიბეც კი ჩამოუშვეს და მათთან ურთიერთობას და საუბრებს მთავაზობენ. ჩვენთან მოდი, ვიმეგობროთო. ძალიან გვჭირდებითო.

მაქვს კი იმის ძალები, მეგობრობის უღელი გავწიო? მიზანიც არ მაქვს და არც ის ვიცი, რა მიმართულებით ვიარო. გზასაცდენილივით ვარ.

დიდი ხნის მარტოსულს მიჭირს ნაბიჯის გადადგმა. ასე მგონია, ვერ გავუძლებ ცხოვრების ორომტრიალს. არადა, რა კარგი იქნება მათთან ურთიერთობა. როცა ვიღაცას სჭირდები, ე.ი. უფალს სჭირდები. და... რა მშვენიერია მაშინ ცხოვრებაც და სიცოცხლეც.

ე.ი. სიცოცხლე გრძელდება.

არც ისე ცარიელი ყოფილა წუთისოფელი, როგორც მეჩვენებოდა. მობეზრებული მქონდა უფუნქციოდ „ხეტიალი“, უმიზნოდ და უმისამართოდ.

რა სავსე ყოფილა სამყარო? ამ ადამიანებში მთელი სამყაროა და სურთ, მეც მათთან დამიმკვიდრდეს ადგილი.

მაგრამ, როგორ ვისაუბრებ მათთან?

სასაუბრო არაფერი მაქვს; არც თემის სათაური ვიცი და დედააზრს როგორ ჩამოვაყალიბებ?

უფლის იმედით ვდგამ ნაბიჯს. იგი გონებას ამიხელს საჭიროებისამებრ.

ესენიც, ნამდვილად ქრისტეს გამოგზავნილები არიან. მართლაც და რა უმანკოები არიან..

ფიქრმა გამიტაცა.

ასე მზრუნველია და მოწყალე ჩემთვის იესო ქრისტე, ძე ღვთისა.

მე კი?...

მე, უგუნური და უმადური, ხშირად ლოცვასაც ვიზარებ და ზურგშექცეულიც კი ვარ უნებურად.

ის კი მპატიობს, როგორც ჩვილს.

25.02.2018 წელი.
თბილისი.

ფრაგმენტები

სტუდენტობა ბედნიერი ხანაა, მესმოდა ბავშვობაში.

მეც, ფერადი ოცნებებით აღჭურვილი, მივისწრაფოდი ამ ხანისკენ.

სკოლის დამთავრებისთანავე გავხდი პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი.

ეს იყო მამაჩემის ბრძანება ჩემი ნების საწინააღმდეგოდ, რადგან პედაგოგობა საჩემო არ იყო ზედმეტად სიმორცხვისა და გაუბედაობის გამო. რის

გამოც, მესამე კურსიდან პოლიტექნიკური ინსტიტუ-ტისკენ ავიღე გეზი.

სტუდენტობა დიდი შრომის პროცესია.

შიგადაშიგ გამოსაცოცხლებელი სიტუაციებიც ახლავს.

ვახერხებდით პატარ-პატარა ექსკურსიებს.

აქ ხდებოდა, ერთმანეთის ხასიათების, თვისებე-ბის და აზრების ურთიერთგაცვლა.

ეს ურთიერთგაცნობის საუკეთესო საშუალება-ცაა.

სასიამოვნოდ დამამახსოვრდა ერთ-ერთი ასეთი სტუდენტური გასეირნება, სადაც თანაკურსელმა ვაჟმა, სადღეგრძელოში თქვა: რომ დავბრმავდეთ, მხოლოდ ციცინოს ნდობა შეიძლება, იგი არ გადაგვჩეხავსო.

გამიკვირდა, ეს უტყუარი შტრიხი, ჩემში რო-გორ ამოიკითხეს-მეთქი.

ეს თვისება, დღესაც, ჩემი სავიზიტო ბარათია.

შეურაცხყოფაზე, შეურაცხყოფითვე პასუხის გაცემა არ მახასიათებს.

განვერიდები.

სამყარო, იმხელა ნამდვილად არის, არასასურ-ველი ადამიანისგან, პარალელურ ან აცდენილ წრფეზე იარო.

●

იგი მთვრალი იყო.
თვალები ამღვრეული ჰქონდა.
ფეხზე ძლივს იდგა.
წონასწორობის დაცვა უჭირდა.
ადგილზე ბარბაცებდა.
როგორც იტყვიან, გალეშილი მთვრალი იყო.
ალკოჰოლით კი არა...
სიყვარულით.
მე, ასე მეჩვენებოდა.
ალბათ, მართლა მეჩვენებოდა, თორემ...
ყველაფერი მოჩვენებასავით არ გაქრებოდა.

●

კანკალებდა.
უფრო სწორად თრთოდა.
სიცივისგან კი არა...
სიყვარულით.
მე, ასე მეგონა.
ასე მეჩვენებოდა.
ალბათ, მართლა მეჩვენებოდა, რადგან...
ყველაფერი მოჩვენებასავით გაქრა.

●

მხოლოდ მასთან.
მხოლოდ მასთან უნდოდა მესაუბრა.

სხვასთან, თუნდაც გოგონასთან საუბრისას, შემოიჭრებოდა რაღაც ისეთი ახალი თემით, უთუოდ მისკენ მიმართავდა ჩემს ყურადღებას და ამით კმაყოფილი იყო.

ერთხელ ხმამაღლა განაცხადა:

– ყველასი მშურს, ყველაზე ვეჭვიანობ, ვისაც ელაპარაკები, ვისაც ყურადღებას აქცევ!

●

ზოგჯერ მართლა მეჩვენებოდა, თითქოს ძალიან ვუყვარდი.

სიყვარული ნაღდი უნდა იყოს.

არ უნდა გეჩვენებოდეს.

მერე, უტაქტო ქცევებით აქარწყლებდა ამ სიყვარულს.

ნამდვილი არ უნდა ქარწყლდებოდეს.

●

ისევ უალკოჰოლო სიმთვრალე.

სიმთვრალე სიყვარულით.

იყო აღიარება:

–კიბო ხარ, თუ ვინმეს დაემართე, ვერ გადარჩება!

იყო დაქადნებაც:

– ყველას გასაგონად, ხმამაღლა ვიყვირებ, რომ მიყვარხარ.

მსგავსი არასერიოზულობები ძალიან არ მომეწონებოდა.

უფრო სწორად, მაშინებდა.

არ ვიცი, რატომ?

მეშინოდა კი.

მეშინოდა ჩემს ირგვლივ ატეხილი მოსალოდნელობანის:

მითქმა-მოთქმების,

მაკონტროლებელი თვალების,

შემდგომის.

უშიშარს, რაღაცის შიში დამქონდა.

კი არ დამქონდა, აჩრდილივით დამყვებოდა.

●

მთელი დღე სიტყვა არ დაუძრავს.

მეგონა, დაავიწყდა ჩემი დაბადების დღე.

დღის ბოლოს, პალტოს მარცხენა უბიდან სუნამო ამოიღო და ორი ხელით გადმომცა.

სუნამო თბილი იყო.

უბის სითბო ახლდა.

ხელები შემითბო.

მომეჩვენა გულიც.

მოჩვენება მალე გაქრა.

მის უბეში გამთბარი სუნამოს სითბოს კი, ახლაც ვგრძნობ.

●

შორეული და ამაღლებული, კრძალვითი და-მოკიდებულება ალამაზებს სიყვარულს.

გაუმხელელიც.

მუდამ ასე ვფიქრობდი.

ასე ვფიქრობ დღესაც.

●

ყველაფერი ბუნდოვანი სიზმარივით ქრებოდა და დავიწყებას ეძლეოდა.

ყველაფერი უფერულდებოდა.

მერე...

მერე, ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

●

რაღაცებში იგი სასიკეთოდ შეიცვალა, რასაც ჩემს დამსახურებად თვლიდა.

– დედაჩემს, უკვირსო ჩემი შეცვლა! – აღიარა ერთხელ.

●

იყო აზრთა ხშირი ურთიერთგაცვლა, ჩვენი ხასიათები და ცხოვრებისეულ საკითხებზე ჩვენი შეხედულებები, ერთმანეთისთვის გასაგები და მისახვედრი იყო; ამიტომაც ერთხელ ვითომდა ხუმრობით მითხრა:

– ახალგაზრდა ბიჭები, შენ არ მოგწონს, დამელოდე და რომ დავბერდები, ალბათ მაშინ გავხდები შენთვის მოსაწონი.

???... ???...

ტყუილია, ადამიანის ძირითადი ღერძი: აზრები და ქცევები, არ იცვლება, შეძენილი იერ-სახეები კი, მეორეხარისხოვანია და ფორმალური, და... დროებითია ცხოვრებაში.

●

არ მინდოდა ხმამაღლა ეღიარებინა ის, რასაც ჩემი გულის ქვეცნობიერი, მისგან ყურადღებაში და ზოგჯერ კრძალვით დამოკიდებულებაში გრძნობდა.

გულმა არ მოუთმინა და მაინც აღიარა.

რატომღაც მასში ჩემი ცხოვრების თანამგზავრს ვერ ვხედავდი.

ეს საწყენი არაა და არც გასაკვირი.

თანამგზავრობანას ვერ ითამაშებ. თამაში ჩემთვის უცხოა. დროებით ითამაშებ, როგორც მსახიობი სცენაზე, მაგრამ ყოველდღიურობაში? ეს ჩემთვის, მიუღებელიცაა და შეუძლებელიც.

მასთან მეგობრული დამოკიდებულების გაწყვეტაც არ მინდოდა, რადგან მასში აზრის გამზიარებელს ვხედავდი და ჩემი მოსაზრება ასე ჩამოვუყალიბე:

– ხომ შეიძლება გიყვარდე, მაგრამ მაგ თვალსაზრისით არა-მეთქი, რაზედაც მიპასუხა:

– მეზობლისთვის ხომ არ მეყვარებიო.

სინამდვილეს იუმორმა აჯობა.

სიტუაციაც განიმუხტა.

ცხოვრება ჩვეულებრივად გაგრძელდა.

მე კი...

მე, ცხოვრება, ცხოვრების თანამგზავრის გარეშე გავლიე.

●

ხშირად ორმაგ თამაშს თამაშობდა.

შემძრავდა ორმაგობა, რადგან ორმაგობა სიცრუეს ეყრდნობა.

ეს ჩვევა იყო.

მისეული ჩვევა.

ჩვევას ვერ გადაეჩვევი.

რაღაც პერიოდში შეიძლება სხვანაირად ითამაშო.

თამაში სხვაა.

ჩვევა სხვა.

ჩვევას ვერ გადააკეთებინებ.

არც უნდა ეცადო.

არც მიცდია.

ის ასეთი იყო.

ასეთია დღესაც...
ორმაგობა სისუსტის ნიშანია.
სისუსტე შემზარავია.

●

იმ შემოდგომაზე, ჩემი უფროსი ძმა (კაპიტნის პირველი თანაშემწე), საზღვაო კატასტროფის დროს დაიკარგა გემის ეკიპაჟის სხვა წევრებთან ერთად, შორეულ ნაოსნობაში. ამის შემდეგ, ჩემთვის სამყაროსადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. მოულოდნელ ტრაგედიასთან შეჯახებულს, თავზარდაცემულს, ყველაფერი ჩვეულებრივი არაჩვეულებრივად მეჩვენებოდა, მათ შორის, დღე-ღამის მონაცვლეობაც კი.

რეალურად, ეს აზროვნების „კომა“ იყო.

ოჯახის ტრაგედიამ ჩემში ყველაფერი შეცვალა, თითქოს უცებ გამზარდა, დამაბერა, ჩემს ირგვლივ არსებულ რეალობას დავშორდი და გავუცხოვდი, სიხარულის განცდის უნარი დავკარგე. მხიარული არასდროს ვიყავი, მაგრამ სხვის მხიარულებას ჯანსაღად აღვიქვამდი და მაყურებლის როლს კარგად ვიშნობდი.

ძმის დაკარგვამ ფსიქიკა დამიჩლუნგა.

გაკვირვებულის მანტიამოსხმული, შორიდან შევყურებდი გარშემომყოფთ და ჩვეულებრივი სტუდენტური ცხოვრებაც კი ჩემთვის გაუგებარი გახდა.

მჭირდებოდა გვერდში დგომა, გამხნევება, თანადგომა, დახმარება.

●

ოჯახურ ტრაგედიას, დაერთო, ჩემი ჯანმრთელობის უეცარი გაუარესება.

ჩვეულებრივ ლექციაზე, ჩემი არაჩვეულებრივი ყოფა (მარჯვენა ფეხის გაუსაძლისი ტკივილი და ღებინების შეგრძნება, რის გამოც, რამდენჯერმე გავედი ლექციიდან), არ დარჩა შეუმჩნეველი.

ლექტორისგან გამოვლინდა დროული მზრუნველობითი დამოკიდებულება: ჩემგან ფარულად – სასწრაფო დახმარების გამოძახება.

ეკიპაჟმაც არ დააყოვნა.

აუდიტორიაშივე დაისვა დიაგნოზი: მწვავე აპენდიციტი.

შემდეგ...

სასწრაფო ოპერაცია.

ოპერაცია რთულად წარიმართა, რასაც მოჰყვა თანმდევი გართულებანი: პერიტონიტი – ნაოპერაციების ანთებითი პროცესი და მუცლის ღრუში ჩირქგროვა.

იყო მაღალი სიცხეები.

სიცოცხლე საფრთხის წინაშე იდგა.

ეს კი, ჩვენი ოჯახისთვის, მეორე დარტყმა იქნებოდა.

ამიტომაც, სერიოზულად შეწუხდა ინსტიტუტი. ინფორმატორ-კურიერების როლს თანაკურსელები ასრულებდნენ.

იყო დეკანატის თანადგომა. თანაკურსელების გულწრფელი, მრავალმხრივი ზრუნვა, გამოხატული: მუდმივი თავმდგმურობით, ღამისთევებით, ექიმთან მოლაპარაკებებით.

შედეგი: ნაწილობრივი გამოჯანმრთელება.

იმ დროს, ვლადივასტოკში მყოფი მამისგან (ჩემი ძმა ვლადივასტოკის პორტიდან ცურავდა და გემის კატასტროფის შედეგად დაკარგულ მეზღვაურთა და სიტუაციის დეტალური ინფორმაციის მისაღებად, მამაჩემი იქ იმყოფებოდა), იყო სატელოფონო ზარი, შეკითხვით:

– ციცინო, ცუდად მესიზმრა, ხომ კარგად არის?

ეს იყო, ათასეული კილომეტრებით დაშორებული მშობლის, საკვირველი ტელეპატიური ხედვა, წინათგრძნობა, „გულის რეჩხი“, „მესამე თვალი“.

საავადმყოფოდან უკეთესი მდგომარეობით, თუმცა, ღია ჭრილობით გამომწერეს.

რეაბილიტაცია ხანგრძლივი გამოდგა.

თანდართული სისუსტე, მოსალოდნელი და რა თქმა უნდა რეალურიც იყო.

●

რეალობა უკიდურესად დამძიმდა.

ოჯახის ტრაგედიით გამოწვეულ სულიერ ტრამვასთან, ჩემს ფიზიკურ სისუსტესა და ინსტიტუტის პრობლემებთან მარტო გამკლავება გამიჭირდა.

დასვენება მჭირდებოდა.

განმუხტვაც.

დრო კი არ ითმენდა.

ინსტიტუტი თავისას ითხოვდა.

ჩამორჩენილობაც არ შემეძლო.

დათმობა ვარჩიე.

დავთმე კიდეც.

საქმის გადადება მომიხდა.

დრო მჭირდებოდა მოსასულიერებლად და ძალების აღსადგენად.

ზედაპირული გამხნევება და შემოძახილი არ იყო საკმარისი.

სხვანი ჩემს სულში პრობლემას ვერ ხედავდნენ.

უვიცი სხვის საქმეში ბრძენია.

ადამიანი თვითონ მიხვდება, მისთვის რა სჯობს.

მივხვდი კიდეც.

სხვისი იმედით არასდროს მიცხოვრია.

გამოსავალს ყოველთვის ჩემს თავში ვეძებდი.

ვიპოვე კიდეც.

●

პაუზამ გადამარჩინა.
ფსიქოლოგიურად განვიმუხტე.
მოვსულიერდი.
ძალები აღმიდგა.
ცხოვრება ჩვეულებრივად გაგრძელდა.
თუმცა...
მრავალწერტილით არა.
წერტილით.

●

ამაღლებული გრძნობა მჭირდებოდა.
მუდამ მჭირდებოდა.
დღესაც მჭირდება.
„მჭირდებადობა“, ზედმეტად ზედაპირული დახასიათებაა სინამდვილის აღსაქმელად.
ჰაერივით მჭირდება.
ოღონდაც ვიგრძნო, სიცოცხლის დასასრულს მაინც, რომ ვიღაცას ძალიან ვჭირდები, რომ ვიღაცას ძალიან ვუყვარვარ.
გვერდით ერთგული მიდგას.
ვუყვარვარ მთელი არსით.
გულწრფელობა ვიგრძნო:

თუნდაც ერთი დღით,
თუნდაც ერთი საათით.

●

იგი, უვარგისი ხის ტოტივით „ჩამოისხიპა“ ჩემი ცხოვრებიდან.

ბოლოს...

ბოლოს?...

ბოლოს, იყო მისგან წერილობითი მონოლოგები.

სულ ბოლოს ...

წერილობითი მონოლოგების უკან წაღება.

<u>გასაგები იყო</u>: წერილობითი მონოლოგები.

<u>გაუგებარი</u>: უკან წაღება.

სასაცილოც.

ესეც ორმაგი თამაშის ნაწილი იყო.

ალბათ, რაღაცის შიში იდგა ამ ყველაფრის უკან.

შიში ნამდვილმა არ იცის.

შიში მოჩვენებას ახლავს.

მოჩვენება ვერ დანამდვილდება.

გაქრება.

ჩაქრება.

ჩაქრა კიდეც.

●

მე, ცხოვრების თანამგზავრი, ანუ მეორე ნახევარი არ შემხვედრია.

თანამგზავრის გარეშე გავლიე ცხოვრება.

ცხოვრების წინაშე ვალი მოვიხადე.

ქართული ტრადიციულობის წინაშეც.

სამი შვილის ხელმარტოდ აღზრდაში ჩავილიე, ჩავიხარჯე, ჩემი გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობანით.

გზა გავუკაფე.

ფონს გავიყვანე.

გზა დავულოცე და გადავდექი.

ახლა მათი მრჩეველი და წამხმარე ვარ, შესაძლებლობისდაგვარად, მათი სურვილისა და საჭიროებისამებრ.

●

ახლა, ცხოვრების შტორმს თავდაღწეული და გადარჩენილი, მკაცრი გამოცდისწინა რეჟიმში ვცხოვრობ.

წარსულს ვფურცლავ და ვიმეორებ.

გამოცდას წერილობით ვაბარებ.

ვცდილობ არაფერი გამომრჩეს.

ჩაჭრას არ ვაპირებ.

აქ, ყველაზე მკაცრი განმსჯელი მკითხველია.

საბოლოო განაჩენისთვის და შეფასებისთვის კი,... იქ წარვსდგები.

იქ კი... იქ უფალია.

უფალი ხომ ჩემი წარსულის თანამგზავრი და თანაზიარია, ყველგან თან მახლდა, მამხნევებდა, ძალას მმატებდა, ხელის წამშველებლის როლს ასრულებდა. ხშირად მიგზავნიდა „ნავს“ გადასარჩენად.

მის გარეშე ჩავიკარგებოდი ამღვრეულ წუთისოფელში.

მისთვის, უცხო და დაფარული არაფერია.

მასთან წერილობითი წარსდგომა არაა საჭირო.

წარვსდგები მთელი სრულყოფილებით.

იქნება განაჩენი.

და...

უტყვი მორჩილება მარადისობაში.

13. 09.2018 წელი.
თბილისი.

უჩინარი

„ჩინარად“ უნდა დაიბადო.

„ჩინარი“ ვერ გახდები.

როგორადაც არ უნდა ეცადო, უჩინარი „ჩინარად“ ვერ გადაკეთდები. არც გამოგივა, არც უნდა ეცადო, რადგან ბუნებრიობა დაიკარგება და შენ, შენ აღარ იქნები.

უჩინაროობა ხელს არ მიშლიდა წარმატების მიღწევაში. დროს ფუტკარივით, შეუჩერებლად და შეუსვენებლად შრომაში ვატარებდი. ნესტარიც გამომიყენებია ზოგჯერ. უჩინაროობას მიჩვეული, ცხოვრების სხვა ფორმას ვერც ვირგებდი.

ზოგჯერ დაკვირვებული და გონიერი თვალის პატრონი თუ ჩემს „გამოჩინარებას“ შეეცდებოდა (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები) და „საპატიო დაფაზე“ გამაკრავდა, სიამის სირცხვილისგან და უფრო გაოცებისგან, გაკვირვების და მოულოდნელობის ალმური მომედებოდა, აგიზგიზებულ ბუხართან მჯდომარესავით, ლოყები ამებრაწებოდა ბედნიერების ცეცხლით.

შინაგანად ამაღლებული მიწაზე ფეხდაუდგმელად მივფრინავდი სახლისკენ „კონკიას ეტლით“, სადაც, მხოლოდ ჩემს იმედად მყოფი, სამი უსუსური არსება მელოდებოდა. მე მათთვის ძალა, მხნეობა და იმედი ვიყავი; ანუ, როგორც ხშირად ამბობდნენ ხოლმე საზოგადოებაში: მე ვიყავი „დედა-კაცი“.

შვილებისადმი ზრუნვა და უზარმაზარი დედობრივი ძალა იყო ჩემი „გამოჩინარების“ მიზეზი და კიდევ უფრო მიმძაფრდებოდა ეს გრძნობა. დაუძლეველ წინააღმდეგობას ვერ ვხედავდი. სხვისთვის მიუღწეველი და საოცნებო, ჩემთვის ჩვეულებრიობა იყო. გამორჩეულობის და „გამოჩინარების“ გასაღებიც ის იყო თურმე, მე რომ ჩვეულებრიობად მიმაჩნდა.

შვილების წარმატებების გაწამაწიაში, ცხოვრების სხვა მხარეს ვერც კი ვამჩნევდი, ვერც ვგრძნობდი, არაფრად ვაგდებდი.

მტერ-მოყვარეში „გამოჩინარება“ უცხო სხეუ-

ლად მექცა და... ამიტომაც დავრჩი მათთვის გაუჩინარებული. უზარმაზარი უფსკრულია ჩვენს შორის. ახლა კი, მხოლოდ წარსულით მოსულდგმულეს, აწმყო არ გამაჩნია.

მეგობრებიც კი არ გამაჩნია... ვისაც ჩემი სულის ნაწილებად მივიჩნევდი, უცხო სხეულებად იქცნენ. როდის და როგორ დავკარგე ისინი არ ვიცი. ჩემს ფაციფუცში ვერ ვიგრძენი. მათი ოჯახური ბედნიერებების თანამონაწილეობის კარებიც ჩამირაზეს. დასანანია, თურმე ილუზიაში ვცხოვრობდი. ჭეშმარიტ მეგობრობაში ანგარება არ უნდა ყოფილიყო განმსაზღვრელი.

ახლა, ასე ხელმოცარული და მარტოსული, ქუჩაში, ცრემლმორეული დავდივარ, მეგობარს დავეძებ უშედეგოდ. მეგობარი ქუჩაში არ იძებნება; უიმედო იმედს ვარ აყოლილი, თორემ... განა ეს არ ვიცი?

ასე დავრჩი „დარაბებს“ მიღმა, სადაც არ იგრძნობა რა ხდება დანარჩენ სამყაროში. ჩემთან მზის სხივი არ აღწევს და ვერ ვგრძნობ ზამთარია თუ ზაფხული, დღეა თუ ღამე. ხელოვნური ნათება ხომ უტყვია და უვიცი ამისთვის.

ზამთრის მზესავით ხანმოკლე „ჩინაროობა“ დარჩა ლამაზ ცისარტყელად ჩემს მეხსიერებაში და მხოლოდ მოგონებების ჟრუანტელის ნაპერწკალი ათბობს გათოშილ და ბნელით მოცულ სულს.

ადრე, უზარმაზარი ტვირთი და სადღეღამისო „ცვლაში“ შრომა არ მღლიდა, ახლა კი...

უსაშველოდ დამღალა და ქანცი გამაცალა უმოქმედობამ. მაშინ ელვის სისწრაფით გადიოდა დრო, ელვის სისწრაფით ენაცვლებოდა დღე ღამეს. ახლა კი... ახლა რა ნელა მოძრაობს საათის ისრები? რა მდოვრე და ტლანქი გახდა დრო? გამჭვირვალე ცხოვრება – ბუნდოვანი.

სანთელივით გატარებული ცხოვრება და მით უმეტეს ახლაც „სანთლის შუქით“ სარგებლობა სასაცილოც კია მავანთათვის.

თანამედროვეობაში ჩაფლულნი სანთელს სასაცილოდაც კი მიიჩნევენ და... ჩამოყალიბებული, საფუძვლიანი, ნამდვილი უჩინარი ვარ.

მე კი... მე, ასე „ჩამორჩენილად“ მოაზროვნე, მაინც თავგამოდებით ვუფრთხილდები ოჯახის ტრადიციებით გაჟღენთილ სანთელს შიგნით, ჩემში რომ იწვის ფარულად. იგი მეხმარება გზის გაკვლევაში, ლოცვაში, ადამიანის შეცნობაში.

ვერანაირი თანამედროვე განათების საშუალებები ვერ წაგაკითხებს ადამიანის ფიქრებს და ზრახვებს ისე, როგორც ამას სანთლის შუქზე შეძლებ. ოჯახში ფეხშემოდგმულ ადამიანს შენს სანთელს რომ შეაგებებ... მისგან ანარეკლი სანთლის შუქი მიგახვედრებს, რით „ჩინაროობს“ იგი და რა უნდა უჩინარისგან.

ჩემთან ზოგს სული ეხუთება, ჰაერი არ ჰყოფნის, ჩქაროობს, შემოსული არ არის და უკვე წასვლაზე ფიქრობს. არიან ისეთებიც, რომელთაც არ ეშინიათ სანთლის შუქზე მათი სულის და ფიქრების „გამოჩინარების“, არ ეჩქარებათ, სინანულით მიდიან. რაღაც სხვა ექაჩებათ, თორემ... ვგრძნობ დიდხანს დარჩენის სურვილი გააჩნიათ, მაგრამ ასეთები, ყოველთვის ცოტანი იყვნენ და ახლა მით უმეტეს.

„გამქცევნიც“ მართლები არიან თავისებურად, მათ „ჩინაროობა“ ურჩევნიათ, ეს მათი ცხოვრებაა.

მე კი... მე, ისევ სანთლით ხელში მივუყვები ვიწრო ბილიკს გოლგოთის მთისკენ. მინდა მალე დასრულდეს ეს დაუსრულებელი გზა, მაგრამ? ჩემი სიჩქარე არაფრის მაქნისია.

ღმერთია მომკითხავიც და განმკითხავიც.

●

როგორ მინდა, უჩინრად გატარებული ცხოვრების შესაბამისად, უჩინრად გავეცალო ამ წუთისოფელს.

როგორც ჩემს განვლილ ცხოვრებას შეეფერება, საფლავისკენ მიმავალ გზაზე „მიმტანების“ გარდა სამი კაციც მებევრება, ესეც ხალხმრავლობაა.

საფლავიც უჩინრად მინდა დარჩეს. საფლავზე „აფიშები“ – უსაქმურ კაცთა ინტერესთა წყარო და გასართობელი, ნამდვილად არაა საჭირო.

სიკვდილის შემდეგ საფლავის ტრიბუნა რის მაქნისია? სააქაოს უტრიბუნობას მიჩვეულს, საიქიოს ტრიბუნა ნამდვილად არ შემეფერება.

ერთმაც რომ მომიგონოს „ტრიბუნის“ გარეშე, ისიც საკმარისია. თუკი ამ მოგონებას სინანულიც მოჰყვა, ეს უკვე სააქაო ფუფუნებაა.

დიდია სურვილი, საფლავი არ დარჩებოდეს ჩემი.

და... თუ მაინცა და მაინც საფლავს ვერ ავცდი, მუქი ყავისფერი უსურათო ქვაც, წარწერით: ც.შ.ჩ./1955, საკმარისია.

იმედს ვიტოვებ მცირედს, ერთი მაინც, ვიღაც, გადააფასებს და შეაფასებს ჩემს განვლილ ცხოვრებას, როგორც თუნდაც ერთი, პატარა ნათელი წერტილის შემცველს.

უჩინარისთვის ესეც დიდი პატივი იქნება.

14.10.2013 წელი.
თბილისი.

სიზმარმა შემახსენა

ოცდაექვსი წლის ბიჭმა დაგვტოვა და წავიდა შორეულ ნაოსნობაში, ვლადივასტოკში.

წასვლის წინ საკმაოდ დიდფორმატიანი სურათიც გადაიღო, მაგიდაზე მოისროლა კონვერტში ჩალაგებული ექვსცალიანი სურათების „დასტა“ და თქვა: ჩემი ბოლო სახეა, ვინ იცის როდის ჩამოვალ და როგორს მნახავთო. ეს „როდის“ ძალზე ხანგრძლივი გამოდგა და ჯერჯერობით კვლავ გრძელდება.

ორი წელი იმსახურა წარმატებულად. კაპიტნის პირველი თანაშემწე იყო უკვე ოცდარვა წლისა.

1977 წლის სექტემბერში თბილი ამინდები დაიჭირა. ავად სახსენებელ თერთმეტ სექტემბერს, ჩვენი სახლის სახურავზე ავის მომასწავებებელი შავი ღრუბელი ჩამოწვა, ამინდის მკვეთრად შეცვლის მაუწყებელი.

მაუწყებლობას, მეხის გავარდნაც მოჰყვა და... დაიქცა ოჯახი. მხოლოდ ბადრი შეეწირა მეხს. ჩვენ ყველანი გადავრჩით, მაგრამ ვაი ამ გადარჩენას, ცოცხალ-მკვდრები დავრჩით და სამუდამოდ პარალიზებული.

●

შტორმის დროს, სატვირთო ბარჟა მოწყა გე-

მის ძირითად, წამყვან ნაწილს და... მერე ტალღებმა ამოაყირავა.

ზოგიერთი გადარჩა.

ბადრის ვერ ვპოულობთ და შეიძლება დაიღუპაო. აი ასეთი შინაარსის ელვა-დეპეშა მივიღეთ და... ჯერ, სიტყვა „დაღუპვამ“ მოგვცელა და გაგვანადგურა, შემდეგ კი სიტყვა „შეიძლებამ“ მოგვასულიერა და ხავსს მოგვაჭიდა...

უიმეობის იმედით შეცვლას ველოდით. მით უმეტეს, რომ სამნი იპოვეს სხვადასხვა კუნძულებზე გარიყულები.

მშობლებთან ცრემლის თვალზე მოდგომის უფლებაც არ მქონდა, ბადრის სურათების დათვალიერებისას ან მისი წერილების წაკითხვისას. როგორც კი, საცრემლოდ ნიადაგის მზადების რეალურ შანსს შენიშნავდნენ, მამაჩემი იმწამსვე იმედიანად იტყოდა გურული აქცენტითა და კილოკავით:

– „მამა, კურცხალი არ უნდა, მუა იგი“!

დედაჩემი კი, დოინჯშემორტყმულ ფორმაში, წარბშეკვრით და მკაცრად იტყოდა იმერული აქცენტით:

– „რავა, გეიგეთ რამე და... მიმალავთ თუ?“...

ისეთ იმედიან ატმოსფეროს შექმნიდნენ, თითქოსდა, ცნობა ჰქონდათ მიღებული ბადრისგან:

– ჩამოვდივარ, ცოტა შემაგვიანდებაო!

და... ცრემლიც ისე იბრუნებდა პირს და ისე გარბოდა სადღაც, თვალში თითი რომ გეკრათ, არ მობრუნდებოდა.

ახლაც, ორმოცი წლის შემდეგაც ველოდები ჩემს ძმას. უიმედო იმედს ვარ აყოლოლი, თორემ...

მშობლები, უკვე მიიცვალნენ ლოდინში თვალებგამოღამებულნი. სულიერად გადაღლილნი. დიდი ძალისხმევით მიათრევდნენ სიცოცხლის დღეებს იმედის ხავსზე მოჭიდებულნი.

ავადსახსენებელი ცნობის მიღებიდან ათი წლის შემდეგ, მამაჩემი მოულოდნელად გარდაიცვალა, სამოცდაათი წლის ასაკში. სრულიად ჯანმრთელი და საღსალამათი ადამიანი შრომისგან დაღლილი და გასაოთებული, საღამოს დაწვა, მისი ცხოვრების წესისამებრ წიგნის კითხვაში ჩაეძინა და... გადაშლილი წიგნი გულზე ედო, ორივე ხელი კი, წიგნზე ზემოდან ეწყო. მეორე დილით, სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვნახეთ, თუმცა იგი კარგა ხნის მიცვლილი იყო.

დედაჩემი კი, ოცდასამი წლის შემდეგ – ავადმყოფობით დაუძლურებული გარდაიცვალა. არაფერი აღარ ახსოვდა, გარდა ბადრის მოლოდინისა.

თუმცა, დედაჩემი ისეთ უძლურ მდგომარეობაში გარდაიცვალა, მადლიც კი იყო მისი მიცვალება. მე როგორც ჭირისუფალი, დედაჩემს კი არ დავსტიროდი, არამედ ბადრის, რადგან მან დაკარგა პერ-

სონალურად მასზე მაფიქრალი ადამიანი. ეს აზრი ისე შესისხლხორცდა ჩემში, დედაჩემის შემდეგ ამეკვიატა გამუდმებული ფიქრი ბადრიზე.

მშობლების ფიქრების შინაარსი და მორალი ასეთი იყო სიცოცხლის ბოლომდე:

მამა: – მე ესეც მყოფნის, როცა ბადრი ჩამოვა, ერთად აღვადგენთ ქარიშხლისგან დანგრეულ, სახლის მეორე სართულს; და კიდევ, სახლის წინ ვაშლის ხეზე გასულ ადესა ყურძენს არ ჩამოკრეფდა, ეს ბადრის წილია, თუ ვერ ჩამოუსწრებს, „ჩამოიაროსო“.

დედა: – სახლს ცოცხალი თავით ვერ მივატოვებ, კარებს ვერ გამოვკეტავ! უცებ, ბადრი რომ მოვიდეს, გამოკეტილ სახლს ვერ დავახვედრებ, ეწყინებაო!

•

ბადრი, ნამდვილად იმსახურებდა სულიერ მსხვერპლთშეწირვას, რადგან თვითონაც უანგაროდ კეთილი იყო.

იგი ჩემზე ექვსი წლით უფროსი იყო. ბავშვობიდანვე, მახსენდება მისი მზრუნველობა ჩემდამი:

პირველ კლასში რომ შევედი, ბადრი მაშინ მეექვსე კლასელი იყო. დიდ დასვენებაზე მომაკითხავდა და სკოლის ეზოში გამიყვანდა, ჭიშკრისკენ. სახლიდან გამოტანებულ, სუფთა ქაღალდში შეხვეულ, ერთმა-

ნეთზე დამხობილ ორ ცალ კარაქიან პურის ნაჭრებს ერთმანეთს დააცილებდა, თითო-თითოს მომაწოდებდა და ღობის ბარდიურზე ცალფეხშემოდებული მელოდებოდა, სანამ ორივეს არ შევჭამდი. არ მახსენდება, რომ თვითონაც ეჭამა, ან ჩაეკბიჩა ჩემს ულუფად წოდებული კარაქიანი პურის ნაჭრები.

მაშინდელი ბადრი, ჩემს მეხსიერებას ბავშვად კი არა, სერიოზულ, დიდ ადამიანად შემორჩა.

თუკი მას, ვინმესგან მიწოდებული, მხოლო ერთი კანფეტი ექნებოდა, აუცილებლად მე მომცემდა და სახეზე ეტყობოდა, რომ ჩემი გახარებით ხარობდა.

მე თავს არასდროს მიტოლებდა, არ მეკინკლავებოდა, ჩემდამი დამოკიდებულებას მზრუნველობით ფორმას აძლევდა.

მახსოვს, მეათე კლასში ვიყავი, როცა მოსწავლე გოგონებისთვის წითელი ჩანთები შემოვიდა „მოდაში“. მინდა-მეთქი, ამის თქმა არ მახსენდება, მაგრამ რაღაც საუბრიდან ალბათ დაიჭირა, რომ ჩანთის მფლობელობის სურვილი გამაჩნდა. მაშინ ბადრი საზღვაო სასწავლებლის სტუდენტი იყო.

ერთხელაც, სკოლიდან მოსულს მიამბო, თუ როგორ ეძებდა ლანჩხუთში ჩემთვის სასურველ ჩანთას და ვერსად იპოვა.

არ გამეხარდა.

ნასადილევს, სამეცადინოდ გავედი მეორე ოთახში. ცოტა ხნის შემდეგ, ბადრი შემოვიდა და მეუბნება:

– თვალები დახუჭე, სიურპრიზი იქნებაო!

მეც დავხუჭე და გავიტრუნე, კანფეტის მოლოდინში. მაგიდაზე რაღაც დიდი დაეცა – კანფეტს არ ჰგავდა.

თვალის გახელის „ბრძანება“ რომ მივიღე, ძნელი წარმოსადგენი არაა, რა დამემართებოდა, როცა მაგიდაზე საოცნებო ჩანთა დავინახე.

ის ღამე ყველაზე გრძლად მომეჩვენა, არ მეძინა სიხარულისგან და გათენება მეჩქარებოდა; ახალი წითელი ჩანთით სკოლაში წასვლის სურვილი მკლავდა.

•

ორმოცი წელი გავიდა გაუგებარ დუმილში და ლოდინში.

ჩვენ ხომ შავიც არ გაგვიჭრია სამგლოვიაროდ.

მორწმუნე ოჯახში, საკურთხიც არ გაკეთებულა ბადრის სახელზე.

მე უკვე დავბერდი, სიცოცხლის ბოლო წლებს ვითვლი, ჩემი ძმა კი, მეხსიერებაში, ენერგიულ, მოხერხებულ, მოხდენილ და ყურადღებიან ჭაბუკად დარჩა.

სწორედ ასეთი ვნახე წუხელ სიზმარში, ქარბორბალასავით დაქროდა, თითქოსდა წინა დღეს წამოწყებული და მიტოვებული საქმის მოსაგვარებლად.

მე კი, მე, უსუსური, ბებერი, ტელეფონში ნომრებს ვეძებდი, მსურდა ახლობელთათვის მიმეხარებინა. გული ვერ იტევდა უზარმაზარ სიხარულს. ტელეფონის ნომრებს ვერ ვპოულობდი, ვერც აკრეფას ვახერხებდი. ახლოსაც არავინ მყავდა სიხარულის გამზიარებელი.

სიხარულის მორევი ძლიერი იყო, ვერ ვერეოდი, ვიხრჩობოდი, მეტყველება წამერთვა; ტელეფონმაც რომ გამაწბილა?!

დაღლილს გამეღვიძა.

როგორ არ მინდოდა გაღვიძება და რეალობისთვის თვალის გასწორება?! მაგრამ... სხვა რა გზა იყო?!

უფლის ნებას დავემორჩილე და ჩავიკარგე მწარე სინამდვილეში.

თავის შეხსენებაც ასეთი უნდა, მომცელა და გამანადგურა.

21.09. 2017 წელი.
თბილისი.

უმადურობა შეგნებული სიბრმავეა

აღზრდის პროცესში გამოჩენილი სიმკაცრის გამო შვილები ხშირად „მასამართლებდნენ“. არადა, რა ჰაერივით საჭიროა ესეც?!

რუ, რომელიც წისქვილს ამუშავებს, მეწისქვილის გამუდმებული კონტროლის ქვეშ თუ არ იქნა, თუ მისი გზა არ შეამოწმა, გზადაგზა ფოთლებისგან და წკირებისგან არ გაასუფთავა, წისქვილამდე ვერც მიაღწევს.

ბაღის ასაკიდან უნივერსიტეტის კარამდე რამდენი წინააღმდეგობა და ცხოვრების ქვა-ღორღი შეხვდება ადამიანს? და თუ ვინმე არ დაეხმარა გზის გაწმენდაში, როგორც უყურადღებოდ მიტოვებული რუ შეიცვლის კალაპოტს, გვერდზე გადაიღვრება და ჩაიკარგება, ისე დაიკარგება უყურადღებობით ადამიანი და უნივერსიტეტის შენობაში გავლაც კი სამუდამო მიუწვდომელ ოცნებად დარჩება.

ამის მიხვედრა ნუთუ ასე ძნელია? თუ არ დანახვაა უფრო იოლი?

წისქვილის ბორბლამდე მიღწეულმა რუმ იცის უკვე თავისი საქმე.

ბედნიერი მეწისქვილის შრომის ნაყოფი ფქვილია.

რუც რომ ადამიანივით მოაზროვნე და ამპარტავანი იყოს, მეწისქვილეს ასე ეტყოდა: მე ჩემით მოვდიოდი, მევე ვფქვავ და შენ რაოო?!

ადამიანს კი? ადამიანს, „კვარცხლბეკზე“ ასულს, ქვევით ჩამოხედვაც არ სურს. სიმაღლიდან გადმოხედილს, ქვევით მდგომი მზრუნველი ადამიანი – „მეწისქვილე“ თვალში ეპატარავება და არც მოსწონს მისი დაღლილი, ჯაფისგან მოხრილი სხეული და დაკოჟრილი ხელები, რომლებმაც „კვარცხლბეკზე“ ასასვლელი საფეხურები გამოუკვეთა.

ქვევით ჩამოხედვა ამპარტავნებით არ უნდა. უნდა სჯეროდეს, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ მისი დამსახურებაა და ეშინია, უცებ არ წამოსცდეს მადლიერების გამომხატველი სიტყვები.

ამ სიტყვებით ნაამები, ქვევით დარჩენილი ბედნიერი „მეწისქვილე“ სიცოცხლის ბოლომდე იმის ზრუნვაში იქნება, „კვარცხლბეკის“ ირგვლივ სარეველამ არ გაიხაროს, ეკალ-ბარდმა არ „შემოქაცვოს“ და არ ჩახერგოს ის კიბეები, რომელიც ხანდახან მიწაზე დაშვებაში დაეხმარება ღვთისნიერ მადლიერს, რათა არ დაავიწყდეს და ჩაფიქრდეს: საიდან იწყება მისი ფესვები, რა გზით და როგორ ავიდა მწვერვალზე?!

მადლიერება ძალას მატებს გზამკვლევ „მეწისქვილეს“, სიყვარულს ასაზრდოებს, ახანგრძლივებს,

წყაროს წყალივით ანკარა და სასურველია მწყურვალთათვის.

უმადურობა კი, ადამიანს დააბეჩავებს, دააგლახებს, دააუძლურებს, გააჩანაგებს, მიწასთან გაასწორებს მოცელილი ბალახივით, რომლისთვისაც ფეხზე დადგომის არანაირი იმედი არ არსებობს, ვეღარასოდეს გაიმართება.

გამოსავალი?!

გამოსავალი ინდივიდუალურია...

09.09.2013 წელი.

თბილისი.

რამაც გადამარჩინა

რამ გადამარჩინა?

შრომამ, შრომამ და... მხოლოდ და მხოლოდ მუხლჩაუხრელმა შრომამ.

შრომაში გართულს, უთუოდ უფალი წამოგეშველება და საქმეც აგეწყობა.

გონიერი შრომა პატიოსნებასთან ერთად, სიპ ქვაზე მოსავალს აგაღებინებს.

პატიოსნება გადარჩენის მთავარი კომპონენტია.

უსამართლობის ხანაში, სადაც მგლური კანონი მეფობს, პატიოსანს იოლად წამოარტყამენ თავში

ხელს; მსგავს შემთხვევაში ქუდზე კაცი მზად იყო ჩემს დასაცავად.

გადაულახავი პრობლემა ჩემთვის არ არსებობდა. ხშირად მეტყოდნენ: თავის გამოჩენა არ გიყვარს, ბობოქარიც არ ხარ და საქმეს ყოველთვის აგვარებო, ზოგჯერ „კონკიადაც“ მომიხსენებდნენ. ამ ყველაფრის გასაღები, ვიმეორებ, მხოლოდ და მხოლოდ მართალი შრომა და პატიოსნება იყო.

სამი მცირეწლოვანი შვილის, ხელმარტოდ აღზრდის პერიოდში, კუპონის შემოღებაც წამომეწია და... არ ვაჭარბებ, ცხენისმიერი ცხოვრებით ვცხოვრობდი. ჩემთვის ლოგინის და ძილის უფლება, უზარმაზარი ბედნიერება და ფუფუნება იყო; ან მაგიდაზე თავჩამოდებული წავთვლემდი ძალების აღსადგენად, ან, ერთი-ორი საათით დაწოლის უფლება თუ მქონდა, ჩათბობას ვერ ვასწრებდი, უკვე ადგომის დრო იყო.

სამსახურში (ფინანსთა სამინისტრო) დაგვიანება არ შეიძლებოდა. დაცვასთან, სპეციალურ ჟურნალში, მისვლის დროც ფიქსირდებოდა და ხელწერაც.

დაგვიანების მსხვერპლი ვერ გავხდებოდი.

●

იტალიურ ეზოში იზრდებოდნენ ჩემი შვილები. მეზობლები რომ იღვიძებდნენ, მე უკვე სარეცხს

ვფენდი, ცხობაში ღამენათევი და როდის ასწრებო, ასე მეტყოდნენ.

ცხობა ვახსენე...

ფენოვან ხაჭაპურებს ვაცხობდი მაღაზიაში ჩასაბარებლად და შეკვეთით სადედოფლო ტორტებს, რომლებიც, არ ვაჭარბებ, ხელოვნების ნიმუშები იყო. ტორტის დამკვეთი, წაღებისას, მხატვრულად გაფორმებული ტორტის ხილვით აღფრთოვანებული, საზღაურს რომ გადამიხდიდა, ქორწილის შემდეგ მადლობის და შთაბეჭდილებების სათქმელადაც მოდიოდა სიტყვებით: არ შემეძლო, ტორტით მოხიბლული ადამიანების აღფრთოვანება შენთვის არ მეთქვა და არ გამეხარებინეო. ისიც უთქვამთ: ტორტით მოხიბლულ ოპერატორს, ნეფე-დედოფალი დაავიწყდა და ტორტის გადაღებით იყო გართულიო.

ჩემმა შემოქმედებამ ისე გაითქვა სახელი ამ სფეროში, როგორც არა ტორტის მცხობელმა, არამედ როგორც უგემრიელესი ტორტების მხატვრულად გამფორმებელმა ხელოვანმა, ამიტომაც, არა მარტო საქორწილო, განსაკუთრებული სიტუაციებისთვისაც მქონდა შეკვეთები.

მხატვრულად გაფორმებული ტორტის შექმნისთვის ანაზღაურებაზე მეტად, მაგრამ სიტყვიერი შეფასებები მახარებდა, მამხნევებდა, ძალას მმატებდა და დაღლილობას მავიწყებდა. დაღლილობა კი,

მინიმუმ ერთ კვირას გრძელდებოდა, რისთვისაც მარჯვენა ხელის მტევანს და მაჯას მარილით გაჯერებულ წყალში „ვითბილავდი“, შემდეგ კი, შალს შემოვიხვევდი.

ტორტების ცხობით უბინაობის პრობლემა მოვუხსენი შვილებს, რადგან გაფიქრებაც კი მზარავდა, ასეთი მძიმე ტვირთის მატარებელს, უცებ რაიმე რომ დამემართოს, შვილები ღია ცის ქვეშ არ დარჩნენ-მეთქი. ეს პრობლემა რომ გადავწყვიტე, ამოვისუნთქე. მერე ნელ-ნელა ავეჯზე და ოჯახის სხვა მოთხოვნილებებზე გადავერთე.

ბინის შეძენის შემდეგ, პირველად საკერავი მანქანა ვიყიდე. იგი დღესაც ჩემი მარჯვენა ხელია, რადგან კერვაც მეხერხება. კერვაშიც ხშირად დამთენებია თავზე და შვილებისთვის ახალი ტასაცმელი დამიხვედრებია მეორე დილისთვის.

ასეთ გაწამაწია ცხოვრების პერიოდში, ხშირად მიფიქრია და მითქვამს ხმამაღლა: რა კარგი იქნება, ფიქრების ჩამწერ აპარატს რომ გამოიგონებდნენ, რადგან საგულისხმო და ლამაზი ფიქრები მომდიოდა თავში, ხელებს კი არ ეცალათ.

ახლა, წარსულში ჩატკეპნილი ტკივილების, სიხარულების, წარმატებების, გამონათებების, გადახარშული განწყობების ამორეცხვაში ვარ. მაინც რამდენი ჩატეულა თითქოსდა ამ პატარა გულში?!

რომ აღარ დამთავრდა?! ვერა და ვერ დავასრულე წარსული ემოციების გამომზეურების პროცესი. ანუ, ჯერჯეროობით ახალს არაფერს ვქმნი და არაფერს ვიგონებ, მხოლოდ გულის საარქივო მასალების გადმოწერაზე ვმუშაობ.

მხოლოდ გონებრივი შესაძლებლობებით, ყოველგვარი მატერიალურის თუ სულიერის მიკლების ხარჯზე გადავლახე დაბრკოლებები.

ბოლოს, როცა წელში გავიმართე, სულით გამხნევებულმა, სარკეში ჩავიხედე და გაოცებული დავრჩი.

თავი ვეღარ ვიცანი.

ახალგაზრდობიდან კარგა ხნის გარდაცვლილი ვიყავი.

02.04.2018 წელი.
თბილისი.

პირშიმიუხლელი პასუხი

იგი ტელეფონით შემეხმიანა და... ცხოვრების, ანუ ღვაწლის დასასრულს, მომინახულა დიდი ხნის უნახავი ნათესავი, მისი სისხლი და ხორცი, მომიკითხა და ჩამეკითხა: მავანნი თუ გეხმარებოდნენო...

ღვაწლგამოვლილმა, „გულშემატკივარი“ ნათესავი, დუმილით გავისტუმრე. პასუხი კი გულში გავიფიქრე:

– შენი გამოჩენა და შეხმიანება, ხეობაში გადაჩეხილი კაცისათვის, კლდის თავიდან (მწვერვალიდან), დაგვიანებულ ჩამოძახილს ჰგავდა.

კიდევ? – ღრუბლების ნაპრალში მზის სხივის უმწეო და უიმედო გამონათებას ჰგავდა, რომელიც სწრაფადვე ღრუბლებშივე შთაინთქმება.

კიდევ?... კიდევ? მისი გამოჩენა, აბობოქრებული ზღვის ტალღებიდან გამორიყული, სიკვდილს გადარჩენილი კაცისათვის ნაპირზე მდგომ უმწეო „ვაიმაშველს“ ჰგავდა, რომელიც ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, ვისაც მომხდარის შესახებ მხოლოდ ამბავი აინტერესებდა და თითქოს წუხდა, როგორ არ აღმოჩნდა ვინმე მშველელი დროულად ნაპირზე? თავის თავს კი, არ მოიაზრებდა რიგით, პოტენციურ მშველელად. მასაც ხომ შეეძლო დახმარებოდა ამ კაცს და სასოწარკვეთისგან ეხსნა?

საკითხავია, ბედნიერი იყო კი კლდიდან გადაჩეხილი და გადარჩენილი კაცი ამ ხმის გაგონებაზე?! ან, ის მზის სხივი რამდენად სჭირდებოდა წარღვნებზე გამკლავებას მიჩვეულ გამონაზამთრებ კაცს?

და, ბოლოს... მღვრიე და ბობოქარ ტალღებს გადარჩენილი კაცისთვის რამდენად საინტერესო იყო ნაპირზე მდგომი, მხოლოდ ვაის შემძახებელი „ვაიმაშველი“?

არადა, არც ხევიდან თავის დაღწევისას, არც წარღვნისგან თავდაცვისას და არც აბობოქრებულ მღვრიე ტალღებთან გამკლავების მცდელობისას არ მიფიქრია მშველელზე.

არამც და არამც,... მხოლოდ და მხოლოდ, ღვთის იმედით ვებრძოდი დაბრკოლებებს. ძალას და მხნეობას რწმენა მაძლევდა, რწმენა ღვთისა და ერთ დროს, აუცილებლად პატივმიგებული პატიოსანი შრომისა; იმედი – უკეთესი მომავლისა; იმედი – იმედის ჩაქროობის არ მოსწრებისა; იმედი – იმედიანი მომავლისა.

იმედით გარემოცული სხვა გარემოცვას ვერც ვამჩნევდი.

20.09.2013 წელი.
თბილისი.

პარალელები

დილით ადრე, დიდ ქალაქში მანქანების განუწყვეტელი მოძრაობის შრიალის ხმა, ძილბურანში მყოფმა, წვიმის ხმას მივამსგავსე და... შორეულ მოგონებებში ჩავიძირე:

ჩემი ბავშვობის საბუდარში, ღამის მყუდროებასთან დამშვიდობებისას, ალიონის სიმშვიდეს, ჩემს სახლთან ახლოს ჩამომდინარი, ღელის ჩხრიალის ხმა არღვევდა, რომელიც შხაპუნა წვიმის ხმასთან ასოცირდებოდა და „გაწვიმებულას ფიქრი“ მეუფლებოდა.

ალიონის მყუდროებას იცით კიდევ რა არღვევდა? ჩიტების ანსამბლის თუ გუნდის, ამოუცნობი მუსიკალური ინსტრუმენტების ჟღერადობა და... გალობა, სტვენა, ჭიკჭიკი, ჟღურტული, ჭახჭახი, ღუღუნი, წივწივი, ჟივჟივი, წაწკანი, წრიპინი, წიწკინი, ჭრიალი, ჭყლოპინი, ჭყიპინი, კურკური,...

ეს ყველაფერი ერთად შერწყმული, საამურად შემოდიოდა ჩემში და ძილბურანში მყოფს მაფხიზლებდა.

ბუნება სასმენად მიხმობდა.

ამის მოსმენა უნდა მოგესწრო, თორემ, მას მალევე შთანთქავდა დღის ხმაური: მამლების ყივილი, ქათმების კრიახი, საქონლის ბღავილი, ღორების

ჭყვიტინი, ადამიანების გადაძახილ-გადმოძახილი, ხის ფოთლების შრიალი, ან ქარის შემთხვევაში ხის ტოტების შეხლა-შემოხლა და ტყლაშუნი. ღელე კი... ღელე მუდამ გართული იყო საყრდენი ქვების ალერსში და შიგადაშიგ მწყურვალთათვის დარწყულებით.

ჩიტებს დღისით სხვა საზრუნავი ჰქონდათ, ისინი სარჩოს საშოვნად იყვნენ ჩაბმულნი, ხანაც, მზიან ამინდში ცის თაღს ეფერებოდნენ ღვთისგან ბოძებული ფრენის უნარით, მრავალფეროვანი ცეკვით ალამაზებდნენ და ამკობდნენ მას, ცვლიდნენ ილეთებს, ცეკვის ნახაზის სქემებს: ნახაზიდან ნახაზში მდოვრედ და უშეცდომოდ გადადიოდნენ, არ იყო ქაოსი. ისე ჰარმონიულად, ლაღად, ზიგზაგების გარეშე დაცურავდნენ ცის თაღზე, როგორც ოკეანის ჰორიზონტთან გემები; ხაზების გადაკვეთისას დარღვეულ სინქრონულობას სწრაფადვე ასწორებდნენ; ასევე ხდებოდა ალიონზე მათი ჭიკჭიკის შეხმატკბილებაც.

ყველა პროფესიონალი და სოლისტი იყო – სიმღერაშიც და ცეკვაშიც. ინდივიდუალურად და გუნდურადაც, ისინი უშეცდომოდ ახერხებდნენ თავიანთი ნიჭის რეალიზებას.

ვინ იყო მათი არიების, ან ცეკვის ილეთების შემსწავლელნი? მხოლოდ და მხოლოდ ღვთიური ძალა და თავის უფლება.

ისინი ავსებდნენ, ამშვენიერებდნენ, ამრავალ-

ფეროვნებდნენ ჩემს წილ წუთისოფელს და სამყაროც მათი წყალობით საინტერესო ფორმით მომეწოდებოდა.

მაშინ ვერ ვგრძნობდი, რა სიმდიდრეს ვფლობდი, რომ ეს ყველაფერი, როგორ აჯანსაღებდა ჩემს სულსა და ხორცს!..

•

ახლა კი, ახლა ჩემს რეალობაში, მანქანების შეუჩერებელი, გამუდმებული მოძრაობის შრიალის ხმა ასოცირდება წვიმის ხმასთან.

დღევანდელი და ბავშვობის დროინდელი ასოციაციები ერთნაირია, მაგრამ მათი დამოკიდებულება ჩემს მიმართ, მკვეთრად განსხვავებული. ერთი ჰაერს მისუფთავებდა და ჩემს ჯანმრთელობაზე ზრუნავდა, მიკეთილშობილებდა გუნება-განწყობილებას, მეორე კი... ჰაერს საფუძვლიანად მიბინძურებს და ჩემი ფილტვების განადგურება აქვს გადაწყვეტილი.

გონიერი, თავისუფალი ჩიტიც კი, გაცლია ამ ხელოვნურ სიბინძურეს, ბუნების რეალობას დაბრუნებია სადღაც შორს და მშვიდი სამყაროს ბუნებრიობას შეჰმღერის.

მე კი... მე, სამყაროს გონიერ არსებათა კატეგორიას მიკუთვნებული, არავის და არაფრის

უფალი, ვერ შევლევივარ ამ ჩემს მტერს, ვერ ველევი ამ სიბინძურეს და მიჭირს ადგილიდან დაძვრა, როგორც ლაფში ჩაფლულ ავტომობილს, გლუვი საბურავებით. სამწუხაროდ, ისე შევეჩვიე, ჩემეულიც კი გახდა იგი; სხვადასხვა ნიშნით დამუხტული ელექტრული ნაწილაკებივით შევრწყმულვართ და არ ჩანს ძალა, რომელიც მომახერხებინებს მასთან გახლეჩვას და განშორებას.

არადა, ამ ბინძურ დღევანდელობაში, ჩემს მტერთან ჩახუტების აუცილებლობასაც რომ ვერ ვხედავ?!

მე, ჯერჯეროობით, ბავშვობის დროინდელი ჯანსაღი ჰაერით და სამყაროს მშვენიერებებით გაჟღენთილი, მხოლოდ და მხოლოდ მოგონებებში ტკბობით შემოვიფარგლები.

ისევ და ისევ უფლის იმედადღა ვარ. ის გამომიჩენს თავის დაღწევის საშუალებას და მიხსნის ამ ბორკილებისგან.

11.12.2016 წელი.
თბილისი.

მონატრება

დღეს ფერისცვალებაა.

მაგიდაზე ხილით სავსე ლანგარს შევყურებ და...

მოგონებებში ვიძირები.

ბავშვობისდროინდელი ფერისცვალება მახსენდება.

•

ადგილი სადაც ბავშვობას ატარებ, სიტუაციები ბავშვობის ცხოვრებისა, წარუშლელ დაღად რჩება ადამიანის ცხოვრებაში. ამას დიდი ხნის შემდეგ ხვდება თურმე ადამიანი. იმ დროს ხვდება, როცა ძალიან გვიანაა.

გურული დიალექტის მოსმენისას, ან საუბარში აღმოჩენილ გურულს რომ შევხვდები... გულის სიღრმეში რაღაც მეტკინება – ალბათ მონატრება; და რაღაც გამიხარდება – გემრიელი გრძნობა დამეუფლება.

ბავშვობაში გადავდივარ წამიერად, როცა ჩემი იყო გურია და როცა გაჟღენთილი ვიყავი გურიით. მაშინ, შორიდან სხვა უფრო მომწონდა, სხვისკენ მიწევდა გული.

თურმე ვცდებოდი.

ისე სულს ვერავინ და ვერაფერი აგიფორიაქებს, როგორც ბავშვობისდროინდელი წლებისა და გარემოს გახსენება.

გურული დიალექტი წლების შემდეგ აღვიქვი, თორემ, ბავშვობაში ის ჩემი იყო და ვერ ვგრძნობდი.

•

ბავშვობა დიდი ხნის ჩამოტოვებული მქონდა და სამი შვილის დედაც ვიყავი; ისინი უკვე მაღალი კლასის მოსწავლეები იყვნენ; მამაჩემი კი – კარგა ხნის გარდაცვლილი.

ბათუმის ბაზარში ლეღვს ვყიდულობდი. ლეღვით სავსე ვედროსკენ დავიხარე და ვიკითხე, რა ღირს-მეთქი; თან ხელი შევავლე ლეღვს. ფასი მითხრა და ალბათ იფიქრა, არ ეძვიროსო, მოაყოლა:

– ახალია მაი ლეღვი, დაგიკლებ კიდო! შენ რაფერც გინდა ისთე მოგცემ!

ეს იყო მამაჩემის ხმა... მისი კილო და სიტყვათა წყობა. ყელში ბურთი გამეჩხირა, ცრემლები მომადგა. წელში გავიმართე მამაჩემის დანახვის მოლოდინში.

რა თქმა უნდა გაწბილებული დავრჩი.

ცრემლები მომეძალა. ვერ დავილაპარაკე, ვერ ავუხსენი, ვერ ვუთხარი ტირილის მიზეზი უცნობ გამყიდველს და წამოსვლა დავაპირე. ისევ მამაჩემის ხმა:

– რა იყო, ბიძია, გლახათ ხარ? მოი აგერ, შენ რაფერც გინდა, ისთე წეიღე აი ლეღვი!

უფრო ამომიჯდა გული. თავშეუკავებლად ვტიროდი.

– რა იყო, ბიძია, რა დაგემართა, გლახათ ხარ? – გამიმეორა უცნობმა.

ცრემლებმა ლაპარაკის უნარი წამართვა. ვეღარ ვაკავებდი ღაპა-ღუპით წამოსულ ცრემლებს.

წამოვედი სახლში, ტირილ-ტირილით. აღარც ლეღვი მიყიდია და აღარც სხვა რამ.

– მოი, ბიძია, აგერ, დაგიკლებ კიდო!

– შენ რაფერც გინდა, ისთე წეიღე აი ლეღვი!

– რა გჭირს, ბიძია, გლახათ ხარ? – მომძახოდა „მამაჩემის“ ხმა.

მას შემდეგ ათეული წლები გავიდა და ყველა ლეღვის ყიდვაზე ის დღე მახსენდება. ახლაც, წერის დროს, ცრემლები მახრჩობს.

თურმე მონატრება დაგახრჩობს, მონატრება შეგიმოკლებს სიცოცხლეს.

მეხსიერება ყოფილა კაცის მტერი!!!

●

ბავშვობისდროინდელი ფერისცვალება გამახსენდა-მეთქი; რომელმაც განსაკუთრებული კვალი

დატოვა ჩემში შობისა და აღდგომის შემდეგ. ეს იყო ხილის ზეიმი ჩვენს სუფრაზე:

დილით, ძალიან ადრე, ჩვენს ეზო-კარში მამაჩემის მიერ დაკრეფილი ყველანაირი ხილი; სპეციალურად ამ დღისთვის ადრე დათესილი სიმინდი (კარგი ტარო რომ ჰქონოდა) და ხაპერაი (როგორც მამაჩემი უწოდებდა).

კილოთქმები ვიცი გურული, თორემ კერძი – იმერული, რადგან დედაჩემი იმერელი იყო და შესაბამისად ოჯახურ სადილებში იმერული სჭარბობდა.

ეს ჩემი ბავშვობის ერთი პატარა ეპიზოდია, რომელიც მედლის კეთილმოგონებათა მხარეს ეკუთვნის. ვცდილობ, სულ ამ მხრიდან ვუყურო ჩემს ბავშვობას და ჩემს ცხოვრებას. თუმცა, დაუნდობელი მეხსიერება მედლის მეორე მხარეს არ მავიწყებს.

რომ შემეძლოს, ყველა უარყოფით ემოციას ამოვშლიდი მეხსიერებიდან და მხოლოდ დადებითი ემოციით ვიცხოვრებდი.

ბედნიერია ის, ვისი ცხოვრების სასწორზეც საპირწონეობა დარღვეულია და კეთილმოგონებათა ჯამი ქვევით და ქვევით მიიწევს.

19.08.2013 წელი.
თბილისი.

მე როლი არ მაქვს

ცხოვრებას უცნობივით ჩავუარე.

გასაჩერებლად არ მეცალა, არც კი ჩამოვ-მჯდარვარ, არც შემისვენია, მხოლოდ ჩავუარე.

ვერც ერთი როლი ვერ მოვირგე და ვერ შე-ვიფერე.

ოთარაანთ ქვრივობა დამეკისრა და ვერ გა-ვუძელი, არ იყო საჩემო. შავთავსაფრიანი დედაკა-ცის როლს მთავაზობენ კარგა ხანია, მაგრამ... ვერა და ვერა. ესეც არ არის ჩემი. ისინი ძლიერები იყ-ვნენ. მე კი სუსტი აღმოვჩნდი. ისინი უსიხარულოდ „გადაშენდნენ“, მეც ეს მიწერია, მაგრამ სხვა ფორ-მით, რომელიც ჩემი იქნება, მხოლოდ ჩემი და გან-სხვავებული.

ცხოვრების რაღაც ნაწილი მაინც შემერგო, სამყაროთი დავმტკბარიყავი, მაგრამ რომ ვერ მო-ვიცალე?!

ახლა, დაფიქრების და ჩაფიქრების საშუალება რომ მომეცა და სხვისი თვალით გადავხედე ჩემი განვლილი ცხოვრების ტრაექტორიას, ირონია და-მეუფლა. ზოგჯერ დავცინი კიდეც ჩემს წარსულს, რადგან ყოველგვარ ადამიანურს: მეგობრულს, მე-ზობლურს, თანამშრომლურს და სამწუხაროდ დე-დაშვილურსაც კი, მოკლებული იყო.

ოჯახის გადარჩენაზე გადართულმა „რობოტმა“, უემოციოდ გავიარე ცხოვრების ათეული წლები და გადამავიწყდა, რომ ზოგჯერ უნდა გაიცინო, ან გაიღიმო მაინც, წაიმღერო, მოეფერო შვილებს, წახვიდე სტუმრად და მოიწვიო კიდეც.

მე რეალური ცხოვრებიდან დიდი ხანია გარდავიცვალე და ახლა, სხვისი ყოველდღიური რიტმული ცხოვრება მიკვირს კიდეც. ნამდვილი ცხოვრების რიტმი მე არც შემიგრძვნია, არც შემიმჩნევია. მე ჩემი რიტმი და ჩემი ცხოვრება მქონდა მხოლოდ.

ვფიქრობ და მაინტერესებს, რისთვის ჩავიხარჯე წარსულ ცხოვრებაში? ნუთუ მხოლოდ ჩემი ძალების და მრავალმხრივი შესაძლებლობების დემონსტრირებისთვის? ან კიდევ, რისთვის ვცხოვრობ ახლა და რა მოტივაციით უნდა გავაგრძელო შემდგომში?

ახლა სინანული და ცრემლების ღვრა სისულელეა. უნდა გადაერთო და შეერიო ცხოვრებას, მაგრამ უცხო სხეულივით ვარ სამყაროში. არ გამომდის არც სიცილი, არც კამათი, ვეღარც სითბოს ვავლენ, რადგან გული გაყინული მაქვს.

გაყინული ცხოვრებით ცხოვრება კი, უკვე აღარ შემიძლია. ვგრძნობ აუტანელი ვხდები ახლობელთათვის, ისინი გაღმა ნაპირზე გადავიდნენ, მე კი... მე ჩავრჩი ჩემს ძველ „ჩარჩოში“ და ვეღარ გავდივარ აქედან. ვის სცალია იმისთვის, რომ მე მას-

წავლოს ყოფითობის შეგრძნება, ანდა მაქვს კი ამის სურვილი, ან ძალა, ან შესაძლებლობა?!

დავაგვიანე, თანაც ძალიან, მე უკვე დავბერდი და ვეღარ გადავსხვაგვარდები.

მეჩვენება, თითქოს ყველანი „სცენაზე“ თავის როლს ასრულებენ, მე კი?... მე როლი არ მაქვს.

დავრჩი მაყურებლის როლში.

თუმცა... ესეც ხომ როლია? ამასაც რომ ვერ ვასრულებ? მაყურებელმა ხომ უნდა გამოხატოს ემოცია? ტაში დაუკრას, ხან გაიცინოს, ხან ჩაიცინოს, ხან იტიროს კიდეც. აქტიური მაყურებელი ხომ სცენის თანამონაწილეა.

მე კი? მე, სხვისი ტაში და სხვისი სიცილი გამომაფხიზლებს ხოლმე.

ჩემი ადგილი დარბაზშიც აღარ არის. თავს ზედმეტად და უხერხულად ვგრძნობ. უნდა დავტოვო დარბაზი, ჩუმად და შეუმჩნევლად.

შესაფერის დროს ველოდები.

მაგრამ...

როგორადაც არ უნდა ვეცადო, ვფიქრობ, შეუმჩნეველი მაინც არ დარჩება დარბაზის დატოვება. დაცარიელებულ სკამს გვერდით მჯდომი ხომ მაინც შეამჩნევს? ალბათ გაუკვირდებათ და შეიძლება გამოხატონ კიდეც თავისი ემოცია:

–ასეთი კარგი სპექტაკლი რამ დაატოვებინა?!

სპექტაკლის შემდეგ კი, შესაძლებელია კიდევ ერთხელ მახსენონ:

– რა იყო მისი მოსვლა? რა ტყუილად დაიხარჯა და გაისარჯა?!

●

– მადლობა ყურადღებისთვის!

– ნუ, ნუ წუხდებით!

– არ არის საჭირო!

მე ხომ, ცხოვრების „თეატრალურ დარბაზში“ მხოლოდ შემოვიარე, მიმოვიხედე, უფუნქციოდ და როლის გარეშე.

●

უემოციო იარლიყის მატარებელი, უემოციოდ ვერ ვტოვებ „დარბაზს“.

ყელში რაღაც მეჩხირება.

ჩემი „უჩინაროობის“ ჩარჩოებს ვუბრუნდები.

განვმარტოვდი.

ჩავფიქრდი.

დასასრული აქვს ყველაფერს და... ექნება ჩემსასაც.

ცრემლებმა, საცრემლე ჯებირები გადმოანგრია.

გადმოვიღვარე.

ცრემლის ნიაღვარში ჩახრჩობის საშიშროება შეიქმნა.

ყელამდე დავიფარე.

უშიშარს, შიში შემეპარა.

ცრემლებმა სასუნთქ გზებამდედაც ააღწია.

სისუსტემ მძლია და გადარჩენის ინსტიქტით თითის წვერებზე ავიწიე.

ჩამეცინა – ჩემს თავს დავცინე.

ბოლოს და ბოლოს, სასუნთქი გზებიც ჩაიმარხა ცრემლის გუბეში.

სიკვდილს თვალებში ჩავხედე.

მთელი ცხოვრება უშედეგოდ ვეძებდი ჩემს მეორე ნახევარს.

აჰა! ვიპოვე კიდეც.

მან სიყვარულით გულში ჩამიკრა.

უანგაროდ შემაშველა ხელები, მშველელის მძებნელს.

შვებით ამოვისუნთქე.

ბედნიერმა იმით, რომ ნამდვილ სიყვარულს ვეღირსე, გავიტრუნე მის ძლიერ მკერდში თავჩარგულმა და ნეტარებისგან თვალები დავხუჭე.

გავმთლიანდით.

სულ ტყუილად მეშინოდა.

რა საჭირო იყო თითის წვერებზე შედგომა, ამით მხოლოდ გავაჭიანურე მასთან შეხვედრა.

მყარად დავდექი.

ამიერიდან აღარ წავიქცევი.

სამარადისოდ, საიმედო დასაყრდენის ხელში აღმოვჩნდი.

ცრემლებიც შეწყდა.

სინანულიც და უიმედობანიც უკან დარჩა.

მარადიულ სიყვარულში გაბრწყინებული, გამთლიანებული და ფრთებგამოსხმული, ზეცისკენ მივფრინავ.

11.03.2014 წელი.
თბილისი.

მარტოსულობის ფესვები

ორი ათეული წელი ისე გავიარე მხოლოდ შვილებთან ერთად, რომ ყოველგვარ ნათესაურ კავშირს და ურთიერთობებს მოწყვეტილი ვიყავი. არც ჭირში, და არც სამხიარულო სიტუაციებში ვახსოვდი ვინმეს. ეს იმიტომ კი არა, რომ ჩემი ცხოვრება ამორალური იყო, ან ვინმეს ჩირქი მიეცხო ჩემი ცხოვრების წესით; პირიქით, მისაბაძიც კი ვიყავი გვერდით მდგომთათვის.

ჩემი იგნორირების განმსაზღვრელი ხელმოკლეობა იყო. ცხოვრების „პოდიუმი“ ყოველთვის მდიდართათვის იყო განკუთვნილი. ამ კანონზომიერებას მე ვერ შევცვლი. „მეჯღანუაშვილები“ სიმდიდრის წყალობით, კარგად ახერხებენ საპატიო ადგილის დამკვიდრებას ცხოვრების სცენაზე. სამწუხაროდ ჭკუასაკითხავნიც კი არიან მავანთათვის (ბრიყვთათვის).

მადლობა უფალს, ისეთი ადამიანების გვერდით გამატარებინა მძიმე წლები, რომლებიც კარგად ხედავდნენ და აფასებდნენ ჩემი ცხოვრების წესს, ჩემს მუხლჩაუხრელ, პატიოსან შრომას.

იმ საზოგადოებაში, სადაც მე ვტრიალებდი, ადგილის დამკვიდრება და ავტორიტეტის მოპოვება იოლი არ იყო. მე ამისთვის არ მიბრძოლია, ის თავისთავად მოვიდა, რადგან გონების თვალი ღრმაა და ჩვენს ოჯახში გონების თვალით ვინც შემოაღწია, სათანადოდ შემაფასა კიდეც.

მე ნათესაური კავშირის „კულტურაც“ კი არ გამაჩნია, რადგან ამ „კულტურას“ ფული განსაზღვრავს თურმე, რომელიც ურთიერთობის ხერხემალია. უხერხემლობამ კი ინვალიდის ეტლს მიმაჯაჭვა და ჩრდილში დამაყენა.

გული არც მწყდება, რადგან ყველაფერს ერთი ადამიანი ვერ გასწვდება. რაც მთავარია, ჩემი ცხოვ-

რების ძირითადი ხაზი ტრადიციისამებრ და მე ვფიქ-
როობ, სწორად წარვმართე.

რობოტივით გავატარე ცხოვრება. ღმერთმა მშრომელ და წარმატებების მჭედელ რობოტად შემქმნა, დამაპროგრამა და... დამქოქა. არ მიღალატია, არ წავმხდარვარ, არ შემშინებია (თუმცა რობოტმა შიში არ იცის). მეგონა, ყველაფერს ზედმიწევნით კარგად ვასრულებდი. ვტრიალებდი ჩემი ცხოვრების კარუსელზე და დროთა სვლას ვერ ვგრძნობდი.

ერთ ამოსუნთქვასავით გაიარა წლებმა. დროთა სვლას ახლა ვგრძნობ, უმაქნის ნივთად რომ ვიქეცი. ნივთად რომელმაც წლების მანძილზე თავისი ფუნქცია შეასრულა, გამოყენებადიც იყო და მეტად საჭიროც, მაგრამ ახლა ყავლი გაუვიდა, მოძველდა, ისტორიად დარჩა და საკუჭნაოში დევს; ხანდახან თვალს შეავლებ... ვერც აგდებ და არც იყენებ. მხოლოდ მოგონებებიღა არსებობს მასზე. თუმცა? მისი გამოყენება კიდევ შეიძლება, თუკი მოისურვებს ვინმე.

კარგი დიასახლისი ძველმოდურ ნივთს რაღაც ახალ ფუნქციას და ელფერს შესძენს. ვიღაცას ხომ უნდა მოუვიდეს თავში: ნივთის ინდივიდუალურობაც არ დაიკარგოს და თანამედროვედაც ჟღერდეს.

ეს ტკივილი რამდენჯერ და რამდენნაირად უნდა დავხატო? სულ ვტრიალებ ერთსა და იმავე

წრეზე. ძალიან მაწუხებს; ვხარშავ, მაგრამ ვერ გადავხარშე და ვერ დავასრულე შინაგანი ბრძოლის პროცესი, ვერა და ვერ გამოვედი „რეანიმაციიდან“, სასუნთქ აპარატზე ვარ შეერთებული. იქნებ აპარატის გამორთვა სჯობს?... რა აქვს ჩაფიქრებული უფალს. როგორი სიცოცხლის დასასრული მელის?

ალბათ, მიცვალება ჩრდილში და დაკრძალვა იქვე, ჩრდილქვეშ.

როგორც ცხოვრება გავიარე, მინდა მისი დასასრულიც ისეთივე იყოს – ყოველგვარი გამომზეურების გარეშე.

უზარმაზარი შრომითა და ტკივილით, მდუმარებითა და მოთმინებით გატარებულ ცხოვრებას, უსაშველოდ მოკრძალებული და გასაოცრად ვიწრო წრით ამ ცხოვრებიდან გასვლა შემეფერება.

ბოლო გზაზე სამი გამცილებელიც მებევრება.

როგორც „ჩადრით“ გავატარე ცხოვრება, ისე, თავდახურულად, ზიზილ-პიპილოების გარეშე მინდა გავიდე ამ წუთისოფლიდან.

თუნდაც ერთ ადამიანს, თუნდაც ერთს მაინც, თუკი გაუჩნდება გულწრფელი სინანულის გრძნობა ჩემი მიცვალების გამო, ე.ი. ცხოვრების „პოდიუმზე“ უკვალოდ არ ჩამივლია.

09.06.2013 წელი.
თბილისი.

ორი ჯილდო

შემოდგომის თბილი, მზიანი დღე იდგა.

ბავშვები სკოლიდან სახლში ვბრუნდებოდით. მაშინ, მხოლოდ მეორე კლასის მოსწავლე ვიყავი და გზის მარჯვენა მხარეს, ღობე-ღობე მივუყვებოდი ვიწრო ბილიკს სახლისკენ, ავტომანქანებისგან თავის დაცვის მიზნით, ისე როგორც დედა მაძლევდა რჩევას.

გზის მარცხენა მხარეს, რამოდენიმე მეტრით წინ, მიდიოდა წელში ძალზე მოხრილი, ჩემთვის უცნობი ბაბუა. მას ხელში ეჭირა, სახლში შეკერილი, გაუმჭვირვალე, მოთეთრო ფერის, ტილოს ნაჭრის ჩანთა, რომელშიც პური და სხვა პროდუქტი ეწყო. მოხუცს, ჩანთა უკან წაეღო და ორივე ხელით ეჭირა, სავარაუდოდ წონასწორობის დასაცავად. სიარულის დროს, ეს ჩანთა უკანა მხრიდან ფეხებს ეჯახებოდა. ეს მდგომარეობა, არასასურველად მოჩანდა, მაგრამ მოხუცს სხვა გზა არ ჰქონდა.

ვხედავ, მოხუცის უკან მიმავალ მოსწავლეთაგან, ორი თამამი და ეტყობოდა, ძალზე განებივრებული გოგონა წამოეწია ბაბუას; მათ ხელის თითები მის კუზს დაადეს და...

– ისაკია კუზიანო! – დაიძახეს.

გოგონებმა, რამდენჯერმე გაიმეორეს მსგავსი მოქმედება, თან ხმამაღლა კისკისებდნენ. მოხუცი,

ხმის ამოუღებლად აგრძელებდა გზას.

რატომ?

არ ვიცი.

იგი, ან შეჩვეული იყო სხვებისგანაც ასეთ უდიერ მოპყრობას, ან სულგრძელად იტანდა ამ ბავშვების უსაქციელობას.

ჩემთვის გაუგებარიც იყო და თან მაბრაზებდა, ამ ბავშვების მოქმედება, თან სიბრალული ვიგრძენი, ახლა უკვე ნაცნობი ისაკი ბაბუას მიმართ; უთქმელად გადავედი გზის მარცხენა მხარეს, უთქმელად წამოვეწიე მოხუცს, ჩანთა გამოვართვი და დაგეხმარებით-მეთქი ვუთხარი. ისაკი ბაბუას, წინააღმდეგობა არ გაუწევია, ალბათ შვება იგრძნო.

ჩანთა, ძალიან მძიმე ნამდვილად არ იყო, მაგრამ ჩემს სასკოლო ჩანთასთან ერთად, არც ისე იოლი აღმოჩნდა მისი ტარება, მაგრამ არ შევიმჩნიე.

ონავარი ბავშვები გაისუსნენ.

მოხუცის გვერდით გავაგრძელე გზა.

მოხუცმა კმაყოფილი გამომეტყველება მიიღო, მომეჩვენა, ცოტათი, წელშიც კი გაიმართა.

შევატყვე, ორმაგი შვება იგრძნო, ტვირთის გამო და დამცინავი ბავშვები რომ ჩამოვაცილე, იმის გამოც.

გზადაგზა, მოხუცმა გამომკითხა, ვისი შვილი ვიყავი და რომელ კლასში ვსწავლობდი.

მალე მან მარცხნივ, ორღობეში გადაუხვია.

მინდოდა სახლამდეც მიმეცილებინა, მაგრამ ისაკი ბაბუასგან ცივი უარი მივიღე, სამაგიეროდ მივიღე გულწრფელი და გულთბილი დალოცვა, რომლის ძალას დღესაც ვგრძნობ.

ბედნიერი მივიჩქაროდი სახლისკენ, როგორც დიდი ჯილდოს მფლობელი.

მე, კუზიანი ისაკის გვარიც კი არ ვიცოდი, რადგან იგი ჩვენი მეზობელი არ იყო.

საღამოს, ვახშმობისას, როცა მამაჩემიც უკვე სახლში იყო, მოვყევი იმდღევანდელი ისტორია. სახელით და ჩემი გარეგნული დახასიათებით, მამაჩემი მიხვდა, რომ ეს, ისაკი ორაგველიძე იყო. მისი თქმით, იგი ერთ დროს წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო და ცნობილი, როგორც პატიოსანი, სანდო, ერთგული, გამრჯე ადამიანი; რომ იგი წლებმა და დიდმა ჯაფამ გადააგვარა და დააგლახა.

მკაცრი მამა, აშკარად კმაყოფილი დარჩა ჩემით, რადგან მითხრა:

– შენ უკვე, ჩემი ავტორიტეტი ხარ!

ასე რომ, იმ დღეს, ერთი კეთილშობილური საქციელით, ორი ჯილდო დავიმსახურე, რაც ძვირადღირებულია ჩემთვის დღესაც და თავისი დატვირთვით, ყოველგვარ მატერიალურ ჯილდოს აღემატება.

02.08.2018 წელი.
თბილისი.

ველოდები წერტილს

„– დედა ყველგან ვის ახლავს?!“ – ჩაილაპარაკა შვილმა და კარები გაიხურა.

გული გამეყინა.

ცრემლიც.

გულგაყინული დედა ლოგინში ჩავწექი და საბანში გავეხვიე. ჩათბობას დაველოდე... იქნებ გული გალღვეს და ცრემლად გადმოვიღვარო-მეთქი.

მაგრამ...

ვერა და ვერ გავთბი.

უფრო და უფრო გავიყინე.

დავფიქრდი.

ჩავფიქრდი.

წამოდგომა დავაპირე. მინდოდა რაღაც მეთქვა ხმამაღლა, მაგრამ გადავიფიქრე.

სათქმელი გადავყლაპე.

უთქმელობა ვარჩიე.

სათქმელი მხოლოდ გულში ვთქვი:

– მართალია!

– ალბათ მართალია! მაგრამ...

– მე, სხვა გზა არ მქონია და არც მაქვს! ჩემი გზა მხოლოდ ერთი იყო და ისიც შვილებისკენ მიმავალი. სხვა გზაზე და ამ გზიდან გადახვევაზე არც მიფიქრია.

ჩემს გზას გადასახვევი არ ჰქონდა. მხოლოდ ამ ერთ გზას ვხედავდი და მივდიოდი სულ წინ, შვილებისკენ, ან შვილებთან ერთად. გვერდზე არც კი გამიხედავს. ვითომ სჯობდა გახედვა და გადახვევა? იქნებ იყო კიდეც გადასახვევი?

ნუთუ ჩემს შვილებს ასე ჰგონიათ და ასე ფიქრობენ?

მე ასე არც ვფიქრობდი და არც ახლა არ ვფიქრობ. ამ მხრივ სინანული არ გამაჩნია. რომ მეფიქრა, გადასახვევსაც აღმოვაჩენდი. თუკი შვილები ფიქრობენ, რომ ასე სჯობდა, ეს მათი პრობლემაა.

•

ჩვენ, მე და ჩემი შვილები, ისე დიდხანს ვიყავით ერთად, მხოლოდ ერთად, ყველას გარეშე, რომ მოვაბეზრე ალბათ კიდეც თავი. თანდათან, უფრო და უფრო ვრწმუნდები ამაში და ამიტომაც ვცდილობ ახლა მათგან შორს ყოფნას, მაგრამ არ გამომდის.

სულ გაქცევაზე ვფიქრობ. ჩანთას ძირს არ ვდებ, მაგრამ ვერ გავრბივარ.

გასაქცევ გზას ვერ ვხედავ და იმიტომ. მე ხომ მხოლოდ ერთი გზა მქონდა?

სხვა გზა დრომ ჩახერგა.

დრო ჩარხი არაა, უკან ვერ დააბრუნებ.

დრო ულმობელია.

ყველანაირი სიმკაცრე მალამოსავითაა დროსთან შედარებით.

დრომ არ იცის „მაცალე და ხვალე“.

●

კვლავ ჩანთით ხელში ვდგავარ.

უიმედოდ გავყურებ არ არსებულ გზას და ველოდები, არა ჩვეულებრივს, არამედ, არაჩვეულებრივ ტრანსპორტს.

დგომით ვიღლები.

ჩანთაზე ვჯდები.

ვზივარ და ვფიქრობ...

ფიქრს რომ დავამთავრებ, მერე? მერე რა ვქნა? რომ ავდგები და ჩანთას ხელში დავიჭერ, საით წავიდე? როგორ მინდა, დრო გაჩერდეს?!

ნეტა, ამ ამოცანას ამოხსნა ჰქონდეს! ყოველ შემთხვევაში მე ვერ ვხსნი ჯერჯეროობით. პირველი შემთხვევაა ამოცანას რომ ვერ ვხსნი.

მერამდენედ ვუბრუნდები ამ ამოცანას? შეცდომას ვეძებ, მაგრამ უშედეგოდ. უნდა აიღო ახალი ფურცელი და თავიდან დაიწყო ამოცანის ამოხსნა! მათემატიკაში ასე ხდება, მაგრამ... ცხოვრების ამოცანის შემთხვევაში? შეცდომას რომც მიაგნო, ვერ გადაასწორებ!

განვმეორდები, ულმობელი დრო ამის საშუალებას რომ არ გაძლევს?

ძველ, განვლილ გზებზე და შეცდომებზე ფიქრს თავი უნდა დაანებო, და ახალ გზაზე უნდა იფიქრო.

ვფიქროობ.

ჩანთაზე ვზივარ და ვფიქროობ.

თავი ხელებში მაქვს ჩარგული.

თავის აწევის მეშინია. თავს რომ აწევ, რაღაც ხომ უნდა თქვა, ან უნდა ქნა?

კითხვითი ნიშნები დამესია, თავბრუ მეხვევა.

ველარ ვფიქროობ.

მაგიდიდან, დაუდევრობით გადმოგდებული და გაბზარული საყვავილის ბედის თანაზიარი ვარ, რომელიც, გადასაგდებად ვერ გაუმეტებიათ და დროებით, მხოლოდ ხელოვნური ყვავილებისთვის იყენებენ; ან კიდევ, ქარში გადგმული და მივიწყებული ანთებული ჭრაქის ბედი, ან კიდევ, გვიან შემოდგომაზე, ხის წვერზე შემორჩენილი ხურმისა.

განწირულის ბედი, რა საამოა?!

ნეტა ვინმე მოვიდოდეს და მეტყოდეს:

– ადექი, გზა გამოჩნდა!

სულ ერთია, რა გზა იქნება. ოღონდ გზა იყოს და ერთ ადგილზე არ ვიყო გაყინული...

ნეტა მართლა ყინული ვიყო. მოთმინებით დაველოდებოდი გაზაფხულის მოსვლას, რომელიც ყინულისთვის უკვალოდ გაქროობის შანსია. სწორედ ის შანსია, რომელზეც ვოცნებობ.

მე, კვლავ ჩანთაზე ვზივარ ხელებში თავჩარგული.

დავიღალე.

არა!

გა-და-ვი-ღა-ლე!!!

ფიქრმაც მიმატოვა.

•

თავს დასეულმა კითხვის ნიშნებმა თავი მომაბეზრა. წერტილი მომენატრა, სიმშვიდის, სტაბილურობის და დასასრულის სიმბოლო.

ახლა, მხოლოდ წერტილს, მხოლოდ წერტილს ველოდები.

მოლოდინის რეჟიმიც მღლის.

რა საყვარელი და სანატრელი ყოფილა ერთი ციცქნა წერტილი?!

იმედში ჩავეფალი.

წერტილი მოვა.

აუცილებლად მოვა.

წერტილი ყველასთან მიდის...

ჩემთანაც მოვა.

იმედის ღვენთვა ვიგრძენი გულში და შევთბი.

თვალები ამიწყლიანდა.

წერტილის დროულად მოსვლის იმედმა მომიცვა და... გადმოვიღვარე.

ფიქრიც დასრულდა.

ჩამეძინა.

იმედიანი მოლოდინი გრძელდება.

წერტილის მოსვლის დრო კი, მხოლოდ უფალმა იცის.

22.11.2013 წელი.
თბილისი.

გზა ცხონების

ხვალ ღვთისმშობლობაა – 21 სექტემბერი.

ჩემი ბავშვობის ცნობიერებიდან ასე მახსენდება ყოველი 20 სექტემბრის საღამო.

მოხუცი, ჯაფისგან წელში მოხრილი ბებია, ჯიხეთის მონასტერში წასასვლელად ემზადება.

ბებიაჩემის გათვლით, ღამის 12 საათზე, ღვთისმშობლობის (21 სექტემბრის) დადგომისას, ჯიხეთის მონასტერში ღვთისმშობელთან უნდა წარსდგეს ყვინჩილათი ხელში. ასე სწამდა მას და სჯეროდა, რომ ღვთისმშობელი ძღვნად მიიღებდა ყვინჩილას, მისი გარდაცვლილი ვაჟის საცხონებლად, 16 წლის რომ დარჩა მარად.

უცნობი ბიძაჩემის გარდაცვლილი მდგომარეობა, თითქოსდა მხიბლავდა, რაღაცნაირად, ბავშვუ-

რად მშურდა კიდეც მისი, რადგან მისი სულის ნათელში ყოფნისთვის, თავგანწირულად მზრუნველი ადამიანი, ბებიაჩემის სახით, დაიარებოდა წუთისოფელში უჩუმრად, უპრეტენზიოდ, ყოველგვარი აფიშირების და ხმაურის გარეშე.

და... აი, ამინდის მიუხედავად, ეზოში გამოვიდოდა, წასასვლელად გამზადებული, ფეხშიშველი ბებიაც, იღლიიდან თავგამოყოფილი ყვინჩილათი. ბებიაჩემის დეფორმირებული, ერთმანეთზე ზედმეტად გადაჭდობილი ფეხის თითები, თითქოსდა ერთმანეთს ეხუტებოდნენ, ერთმანეთს შეციებისგან იცავდნენ და ერთმანეთზე ზრუნავდნენ. ისინი ერთობის და თანადგომის მაგალითს იძლეოდნენ.

ძალიან უნდა მოგენდომებინა, ეს რომ დაგენახა. მაშინ, დანახვის ნდომა კი არ იყო ჩემში – ათიოდე წლის ბავშვისთვის, უფრო სიბრალული იყო ბებიაჩემის მიმართ, რადგან, შემოდგომის ცივ, ზოგჯერ წვიმიან, სუსხიან ღამეს, მას ფეხშიშველს უნდა გაევლო და გამოევლო 3-4 სოფლის სავალი გზა (აქედან დაახლოებით სამი კილომეტრი თითქმის ციცაბო, დახვეული აღმართი). ჩვენ კი ამ დროს, სახლში დარჩენილნი, ბუხარს ვეფიცხებოდით გასათბობად.

გამთენიისას, ჩემი ფეხშიშველი ბებია, უკვე სახლში ბრუნდებოდა, კმაყოფილი და ბედნიერი სახით. იგი არ უჩიოდა არც დაღლილობას, არც სიცი-

ვეს, არც ფეხების ტკივილს. ფეხის თითების გადაჭდობილობაც არ შეიმჩნეოდა, ისე შემოსილიყო ტალახით.

დაბრუნებული ბებია, კარგა ხანს ეზოში ძელსკამზე ჩამოჯდებოდა, შეისვენებდა. შემდეგ შუა ცეცხლზე წყალს გააცხელებდა, ფეხებს ჩაითბილავდა, დაიბანდა, თავს მოიწესრიგებდა.

წაიხემსებდა.

წამოისვენებდა.

წათვლემდა.

საეკლესიო რიტუალთან დაკავშირებით არასდროს უსაუბრია.

დავიღალეო, რომ დაეჩივლოს, ესეც არ მახსენდება.

უთქმელი და მუდამ მშრომელი ბებია, ამ დღეს ისვენებდა. ეს დღე, მის ჭაბუკობაში ჩარჩენილ ვაჟს ეკუთვნოდა, რომლის სულის ამზევებაში თავის წვლილში დარწმუნებულს, მასთან ერთად უნდა ეხარა, ჩუმად, თავის გულში, გაუხმაურებლად.

•

და კიდევ, მახსენდება, როგორ იკმაყოფილებდა შიმშილის გრძნობას მარხვის დროს ბებიაჩემი, ხელისგულზე დადებული სქელი ჭადის ნატეხით, თუკი იმ მომენტში, სამარხვო საჭმელი ჯერ არ იყო გამზადებული. როგორ კრძალვით ეპყრობოდა და უფრთხილდებოდა ჭადის ნამცეცებსაც კი, არა იმიტომ,

რომ ჩვენს ოჯახს ჭადი ან საჭმელი უჭირდა. იგი კრძალვით ექცეოდა არსობის წყაროს, თორემ ჩვენი ოჯახი მუდამ ხელგაშლილის და უსაშველოდ პურმარილიანის სახელით იყო ცნობილი.

და... ახლა, როცა ეკლესიაში სეფისკვერის ნატეხი კრძალვით მიდევს ხელისგულზე და ვუფრთხილდები მის ნამცეცებს, თვალწინ მიდგას კერიასთან, სამფეხა სკამზე (ჯორკოზე) დამჯდარი ბებიაჩემის ხატება – ხელის გულზე სქელი ჭადის ნატეხით.

ბავშვობაში, ბავშვური სიბრალულის გრძნობა ბებიაჩემის მიმართ, გადაიზარდა ღრმადმორწმუნეობაში, რომელიც ჩემში, გულის სიღრმეში, ანთია ჩაუქრობელ ლამპრად და გვერდზე უკუღმართად გახედვის უფლებას არ მაძლევს; მან, პირადი მაგალითით, მომცა და ჩამინერგა უზარმაზარი ამტანიანობის, მოთმინების უნარი.

მაშინ თითქოსდა უბრალო, უჩინარი, უფერული ბებია, ტალახიანი ფეხებით და კალოშებით, დღეისათვის, ჩემთვის ხილული მაგალითია, ნათელი, კაშკაშა წერტილია, ღვთისკენ მიმავალი გზის მანათობელი შუქურაა; ღრმა ფესვებია სარწმუნოებაში.

ბებიაჩემის ამქვეყნიური ცხოვრების არსი მიმანიშნებს: საითკენაა გზა ცხონების.

31.01.2017 წელი.
თბილისი.

განთავისუფლება არასასიამოვნო იარლიყით

ჩემი შვილების მამამ და ჩემი ცხოვრების გზის გამმრუდებელმა მამაჩემისგან, როგორც იქნა, ცრემლებით და უგვანო დაპირებებით ჩემთან დაქორწინების პირობას რომ მიაღწია, იმ წუთიდან ქმარგაცილებულობაზე ვფიქრობდი და ხელსაყრელ მომენტს ვუცდიდი საამისოდ.

ვერ ვინელებ, თავიდანვე რატომ არ გამოვიჩინე რადიკალურობა და რატომ მკაცრად არ განვაცხადე, რომ ეს ის ადამიანი არ იყო, ვისგანაც შვილები უნდა გამეჩინა და ბოლომდე უნდა ჩავღვრილიყავი და „ჩავხარჯულიყავი“ მისი ზიარი შვილების აღზრდაში. ალბათ, ამ შრომის უსაზღვროობას ვერ ვაცნობიერებდი შესაბამისად და იმიტომ.

როგორ ჩავახშვე ჩემში ჯანსაღი სული და უთქმელად, პროტესტის გამოხატვის გარეშე, გავატარე მასთან წლები, მისგან თავის დაღწევისთვის ხელსაყრელი დროის მოლოდინში?!

ეს ხელსაყრელი დროც ძალიან გაიწელა, ჩემთვის საუკუნედ იქცა. ნაფიქრალის რეალობად ქცევა მხოლოდ ცხრა წლის შემდეგ შევძელი, მაშინ როცა ამ უზარმაზარი ტვირთის მარტოდ და არა სხვისი იმედით, ტარებისთვის საჭირო ფსიქოლოგიური ძალები

მოვიკრიბე.

მარტოდ, მხოლოდ მარტოდ ვიბრძოდი ფსიქოლოგიურ ომში. ქედს არ ვხრიდი, შეგუების უფლებას არ ვაძლევდი ჩემს თავს, მაგრამ წერტილსაც ვერ ვსვამდი.

მხოლოდ შინაგანი პროტესტით შემოვიფარგლებოდი დიდხანს, ძალიან დიდხანს. მხოლოდ მძიმე, მრავალწერტილი და კითხვითი ნიშანი იყო ჩემი სამოქმედო სასვენი ნიშნები; შიგადაშიგ ძახილის ნიშანიც გამოჩნდებოდა.

ბოლოს და ბოლოს მომწყინდა მრუდე სარკეში ყურება. არა მარტო მომწყინდა, თავიც შემძულდა სულით ხორცამდე; ძალები მოვიკრიბე, დავამსხვრიე ჩემი სულის გამანადგურებელი მრუდე სარკე და წერტილი დავსვი მტკიცედ, გაბედულად და მკაფიოდ, რომლის შემცვლელი და გადამკეთებელი ძალა დედამიწის ზურგზე არ არსებობდა. ჩემი შეჩერება არავის და არაფრის გულისთვის არ შეეძლო. სუნთქვაშეკრული ცხოვრებით ველარ ვიცხოვრებდი, ჩაგუბებული ჰაერი ამოვისუნთქე და გავათავისუფლე ფილტვები „დამყაყებული“ ჰაერისგან.

ჯანსაღი ჰაერი უნდა ჩამესუნთქა, ჯანსაღი ცხოვრებით უნდა მეცხოვრა, აღარ შემეძლო დამცირებული, შეურაცხყოფილი, პატივაყრილი ცხოვრებით ცხოვრება.

ამიერიდან, ჩემი ცხოვრების შემცვლელი, ჩემი გადამრჩენი და ამის გამო სალოლიავებელიც კი გახდა პატარა, მაგრამ მრავლისმეტყველი წერტილი.

ვერ ვიტან მძიმეს და მრავალწერტილს, კითხვით და ძახილის ნიშნებს, მაგათ სიცოცხლე გამიმრუდეს, ბევრი მაწვალეს, თუმცა გამომბრძმედეს.

ნაფიქრალის რეალიზებით ღრმად ამოვისუნთქე. ბედნიერი წამოვედი სასამართლოდან. ქმარგაცილებულობის „იარლიყმა“, თუმცა ჯოჯოხეთური ყოფიდან განთავისუფლება მომიტანა, ამ „იარლიყის“ ტარება დღესაც მთრგუნავს ტრადიციულობიდან გამომდინარე. გაცილებიდან ათეული წლების შემდეგაც ყველაზე უხერხული შეკითხვა ჩემთვის სწორედ ამ თემასთან დაკავშირებულია. ხან ქვრივობას ვიბრალებ, ან „ენაათრეულად“ მივკიბ-მოვკიბავ და გაჭირვებით ჩამოვაყალიბებ სათქმელს.

საოცარია, რის გამოც ბედნიერი ხარ, იმის ხმამაღლა თქმა და ამ სიხარულის სიხარულით წარმოთქმა გიჭირს, გთრგუნავს.

რაც მთავარია, ის ჩემს გვერდით არ დგას, მის გვერდით არ მიღამდება და არ მითენდება, მასთან არავითარი საერთოობა არ მაკავშირებს, გარდა შვილებისა. სწორედ ამას ვერ ვინელებ, იმდენი გამბედაობა ვერ გამოვიჩინე, რომ ადრე დამესვა წერტილი ამ სიტუაციისთვის, ვიდრე შვილები გაჩნდე-

ბოდნენ.

დაცილებას ვიღაცა იოლად უყურებდა, რატომ იყო იგი ჩემთვის ტრაგედია?! ის, რაც ჩემთვის ბედნიერება იყო, რატომ ვერ ვიბრძოდი მის მოსაპოვებლად?

მხოლოდ და მხოლოდ ტრადიციის გამო.

აჰა, მოვიპოვე კიდეც ბოლოს და ბოლოს. ბედნიერი ვარ, მაგრამ ზოგჯერ ესეც რომ მთრგუნავს?! არაუშავს, ყველას დაკრულზე და ყველას მოსაწონად ვერ იცეკვებ.

გადავიღალე მრავალწერტილებით.

ამიერიდან წერტილი, წერტილი და მხოლოდ წერტილი... ისაა ჩემი მეგობარი, ჩემი თანამგზავრი და გადამრჩენი.

ის იქნება ჩემი გამცილებელიც.

29.12.2017 წელი.
თბილისი.

გამარჯვება

შემოდგომის მზიანი, თბილი დღე იყო.

ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძრის ეზოში ვიჯექი და მოძღვარს ველოდი გასასაუბრებლად.

იქვე, ახლოს, ახალგაზრდები იდგნენ და ელოდნენ ბერმონაზონ რომანოზს, როგორც გაირკვა, სალოცავი ფსკვნილის ქსოვის შესასწავლად.

ცოტა ხანში მამა რომანოზიც გამოჩნდა, იგი ორმა სტიქაროსანმა, ხეიბრის ეტლით შემოიყვანა ტაძრის ეზოში. (გამახსენდა, მე ის შენიშნული მყავდა სადღესასწაულო წირვების დროს ტაძარში).

იქვე, ჩემთან ახლოს დაიწყეს ფსკვნილის ქსოვის შესწავლის პროცესი, ზოგს უჭირდა ქსოვის მიმდევრობის დამახსოვრება. დაიწყებდნენ ქსოვას, დაშლიდნენ, კიდევ და კიდევ, ამიტომაც მხიარულ ვითარებაში მიმდინარეობდა სწავლების პროცესი. ახალგაზრდებს მოტანილი ჰქონდათ ქსოვისთვის საჭირო სპეციალური „ტისმები“: ზოგს მაკრამა, ზოგსაც სუტაჟი.

დავინტერესდი.

როგორღაც გავბედე და კრძალვით მივმართე მამა რომანოზს, თუ რა იყო აუცილებელი იმისთვის, რომ უფლება მქონოდა, შემესწავლა ფსკვნილის ქსოვის საიდუმლოებით მოცული პროცესი.

– მოძღვრის კურთხევაო. – მითხრა და გამესაუბრა.

ჩემი მოძღვარი, დეკანოზი სერაფიმეც მალე გამოჩნდა და საქმეც მაშინვე მოგვარდა.

მეც ჩავერთე სწავლების მარათონში. სწავლებისთვის საჭირო რაოდენობის „ტისმა“ სიამოვნებით შემომთავაზეს გოგონებმა. ყველას გასაკვირად, რამოდენიმე წუთში, დამოუკიდებლად დავიწყე ქსოვა.

მეორე დღეს 33 ბურთულიანი, კარგად მოქსოვილი ფსკვნილი მივუტანე მამა რომანოზს და ძალზედაც გავაკვირვე, რადგან, როგორც წესი, ჩემი ასაკის ადამიანები ძნელად, ან საერთოდ ვერ სწავლობენ თურმე ფსკვნილის ქსოვას.

ფსკვნილის ბოლოში ჯვრის გაკეთების ტექნიკაც ამიხსნა და... ამით დასრულდა ჩემი სწავლების კურსიც.

გამიტაცა ამ საქმიანობამ, ვქსოვდი გამუდმებით, ეკლესიებში ჩასაბარებლად, სასაჩუქრედ,... 5-6 წლის შემდეგ, ისევ იმ ტაძრის ეზოში, ისევ შემთხვევით შევხვდი მამა რომანოზს, მივესალმე წესისამებრ და ვკითხე, თუ გახსოვარ-მეთქი და... ჩემდა გასაკვირად, სახელითაც კი მომმართა და მიპასუხა:

– როგორ არა, ქალბატონო ციცინო! როცა ახალგაზრდებს უჭირთ ქსოვის შესწავლა, სულ თქვენს ხსენებაში ვარ, 50 წელს გადაცილებულმა ადამიანმა 15 წუთში შეისწავლა და თქვენ რა

ღმერთი გიწყრებათ-თქო.

●

მოხდა ისე, რომ რამოდენიმე წელი გვერდზე მქონდა გადადებული ეს საქმიანობა რატომღაც. ერთ დღესაც გამიჩნდა ქსოვის სურვილი და საჭიროებაც, მაგრამ...

აბა!!! სად არის ცოდნა?

მხოლოდ დაწყება მახსოვდა. სალოცავი ფსკვნილის ქსოვის პროცესის ცოდნის მახსოვრობის უჯრედებს დეგრადაცია განუცდია.

მარცხით გამოწვეული განცდა ბევრნაირია. ეს დავიწყება კი, უფროობით ხარისხში განვიცადე. არც არავინ მყავდა ისეთი, ვინც ამ საქმეში დამეხმარებოდა.

ვწვალობდი, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. გავიდა რამოდენიმე დღე უშედეგო წვალებაში.

ძილშიაც კი ჩამყვა ამ პრობლემის დარდი.

განთიადისას, გაღვიძებისთანავე, ბალიშიდან თავის აუღებლად, უფლის ლოცვა აღვავლინე გულში ასჯერ, თან უფალს შევთხოვდი, აღედგინა ჩემი დეგრადირებული მახსოვრობის უჯრედები; პარალელურად, გონებაში ფსკვნილის ქსოვის პროცესებს ვიხილავდი.

ღამის ნათურა ავანთე თავთან, იქვე მქონდა მაკრამაც და... დავიწყე ქსოვის მცდელობა. პირველ ჯერ-

ზე არაფერი გამოვიდა. შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ რაღაც-რაღაცები აღვადგინე. ცოტაც და... გამომივიდა.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მარტო რომ არ ვყოფილიყავი, ხმამაღლა გამოვხატავდი გამარჯვების შესაფერის ემოციას. მე ხომ დახმარების გარეშე მოვახერხე ყველაფრის გახსენება და აღდგენა. მსგავსი სიხარული პირველად სწავლების დროს არც განმიცდია, რადგან იგი ჩვეულებრივად მივიღე.

აღდგა ტვინის მეხსიერების უჯრედები!

ეს გამარჯვებაა!

ბედნიერი ვარ.

ორმაგად ბედნიერი – თვითგამარჯვებით.

მიკვირს და ვფიქრობ: რა იოლია, როცა იცი და რატომ დამავიწყდა-მეთქი, მაგრამ...

მამა რომანოზისგან ნასწავლები კანონიკურობებიდან ერთ-ერთი სწორედ ეს იყო: როცა იცი, ადვილი გეჩვენება, მაგრამ დავიწყებაც ადვილად იცისო. სწორედ ეს „სიადვილე“ მწვევია მეც, რომელიც ღვთის წყალობით დავამარცხე.

ვეცდები, გავუფრთხილდე ღვთის წყალობას. იგი ჩემთვის არა მარტო გონების, ფსიქოლოგიური თერაპიაცაა.

15.12. 2016 წელი.
თბილისი.

ბედნიერების არსი

დაღლილმა სკამამდე ძლივს მივაღწიე. დასვენების მიზნით სკამზე გვერდულად ჩამოვჯექი და ორივე იდაყვით მაგიდას დავეყრდენი.

დაღლილობისგან ისე გადავიღალე, რომ ვერ ვგრძნობ კონკრეტულ დაღლას და ღრმად ჩაფიქრების უნარიც წამერთვა.

უმოქმედოდ მჯდომი, ფიქრმა მაინც გამიტაცა.

●

დაღლა ბედნიერებაა.

თურმე, დაღლილს, დაღლაც გადაგავიწყდება და გადაღლილობით ბედნიერი ხდები.

თუკი დაღლა ბედნიერებითაა გამოწვეული, ეს უკვე საოცრებათა სამყაროში მოხვედრის ტოლფასია, პიკია ბედნიერების, ორმაგი ბედნიერების.

დაღლილი ადამიანი მადლმოსილია, სიკეთით სავსეა და მისი დანახვაც კი, კარგ განწყობას გიქმნის, ანუ გაბედნიერებს. ალბათ ამიტომაც, მოსაუბრეს ჩემთვის ხშირად უთქვამს: დადებითი აურა მოდის შენგანო.

უფალს შევთხოვოთ, არა მარტო განგვაცდევინოს დაღლილობით გამოწვეული ბედნიერება, არამედ არ მოგვაკლოს ის.

თუკი უფალი, ბედნიერებით დაღლილობის ღირსადაც ჩაგვთვლის, ეს უკვე ჯილდოა, უზარმაზარი წყალობაა, ამქვეყნიური სამოთხეა.

31.08.2016 წელი.
თბილისი.

აღმოჩენა

ცხოვრება, სკოლის პერიოდიდანვე, შავ-თეთრ ფერებში გავატარე. ჩემთვის არ არსებობდა კაშკაშა და ბრჭყვიალა ფერები, სტუდენტობაშიც კი.

მუდამ ჩემს საქმეში ჩაფლული, არასდროს არავის ვაწუხებდი, არც გასართობებისკენ გამირბოდა თვალი და გონება. სხვას თუ დავჭირდებოდი და მომმართავდა, მაქსიმალურად განვეწყობოდი მის დასახმარებლად.

ზოგადად უხასიათო, სერიოზულ ახალგაზრდა ადამიანად ვითვლებოდი. არც თამამი ვიყავი და არც მოკისკისე, ამიტომ ძალიან უნდა მოგენდომებინა, რომ აღმოგეჩინე.

ლექტორსაც კი გაუჭირდა ჩემი აღმოჩენა, როგორც საღად მოაზროვნე სტუდენტის. ეს ჩემი სკოლის მათემატიკის მასწავლებელმაც კი მიწინასწარ-

მეტყველა, როცა სკოლა დავამთავრე; მან ცალკე გამიხმო დერეფანში და მითხრა: თუ არ გააქტიურდები, ლექტორს შენი აღმოჩენა გაუჭირდება, ტყუილად დაიჩაგრები და გული გეტკინებაო. შენ არასდროს არ ცდილობ თავის გამოჩენას, მე გიცნობ და ვიცი რომ იცი, სხვას კი, დიდი დრო დასჭირდება შენს აღმოსაჩენადო.

ასეც მოხდა, პირველი კურსის პირველ სემესტრში. სკოლის დამთავრებისთანავე, მშობლების დაჟინებული მოთხოვნით, მოვეწყვე ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. პედაგოგიური, ჩემნაირი მორცხვის და გაუბედავის საქმე არ იყო, თუმცა მშობლებს წინააღმდეგობაც ვერ გავუწიე. ამიტომაც, მათემატიკის პრაქტიკულის ლექტორს სამი თვე დასჭირდა ჩემს აღმოსაჩენად.

დავალებას ყოველთვის ვასრულებდი. ის კი არა, უფრო მეტსაც, ვიდრე ლექტორი გვაძლევდა. ბევრი ჩემგან იწერდა დავალებას, ლექტორი კი, ისე მიყურებდა გამუდმებით, თითქოს მე ვიყავი გადამწერი. ეს მცდარი შეხედულება, რამდენადმე დამამცირებელიც კი იყო ჩემთვის, მაგრამ სულგრძელად ვიტანდი მის არასწორ, მოქილიკე დამოკიდებულებას და მგონი უფრო გავაღიზიანე ჩემი გულგრილობით. არც გამიპროტესტებია, არც მიცდია თავის

გამოჩენა ლექტორთან, არიქა შენი ჭირიმე შეიცვალე ჩემზე შეხედულება, რადგან ჩემთვის გასაგებია ის, რასაც ვსწავლობთ-მეთქი. ხმას არ ვიღებდი, არ ვეწინაარმდეგებოდი, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ მე მისი არ მეშინოდა, სულ თავდაჯერებული ვიჯექი, არ ვცდილობდი თავის გამოჩენას, არც წინ გადავმჯდარვარ ამისთვის და არც უთავბოლოდ აწეულ ხელს ვჩრიდი თვალებში.

•

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, გაიხსნა და ამუშავდა მისი მიხვედრილობის განმსაზღვრელი ტვინის უჯრედები, რაც ერთმა მომენტმა განაპიროზა. შესაძლებელია, თვითონ შეგნებულადაც კი მოიფიქრა ეს ყველაფერი.

მოკლედ, თითქოს სტუდენტთა აზროვნების სწორად შესაფასებლად, მაშინ, როცა ახალ და განსხვავებულ თემაზე გადავედით, ინდივიდუალურად ყველა სტუდენტს, ცალ-ცალკე თავზე დაგვადგა და გვკარნახობდა თემის შესაბამის მაგალითს, ჩვენ კი რვეულში პასუხს ვწერდით. როცა მთელი ჯგუფი შეამოწმა, თავის მაგიდას დაუბრუნდა, შემობრუნდა, რატომღაც მხედველობის არეში მე ამომიღო და გამოაცხადა: ამ ჯგუფში, ისე როგორც სტუდენტს შეეფერება, ჩხაიძე აზროვნებსო. მის ნათქვამზე მე

რეაქცია არც მქონია, ის რაც მან თქვა, მე კი ვიცოდი, ეს მისთვის იყო აღმოჩენა.

ძველებურად გაგრძელდა ცხოვრება.

ამის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა ჩემს მიმართ ის ლექტორი. ცდილობდა როგორმე გამოესწორებინა შეცდომა თუ წინდაუხედაობა და ჩემი თავშეკავებულობის წინაშე, როგორღაც მოეხარა ქედი. იგი, გამორჩეულად გამოხატავდა პატივისცემას ჩემს მიმართ მისალმების დროსაც კი, ქუჩაში, დერეფანში.

მალე, ექსკურსია მოაწყო ფაკულტეტმა, ის ლექტორიც გვახლდა. სადილზე, ეტყობა ვერ დამინახა, თუ ამით ჩემდამი განსაკუთრებულ ყურადღებას გაუსვა ხაზი არ ვიცი, ხმამაღლა იკითხა, ჩხაიძე სად არისო? რომ დამინახა, „ადამიანურად“ შემომხედა და ჩემი სადღეგრძელო ცალკე დალია. სადღეგრძელოში დამახასიათა, როგორც ქართული, ტრადიციული ღირსებებით შემკული გოგონა და ამავე დროს, მათემატიკაში, როგორც ყველაზე ჭკვიანი და ნიჭიერი სტუდენტი ჯგუფში.

•

ჩათვლის დროც მოვიდა, სემესტრის ბოლოს. გვარებს ხმამაღლა კითხულობდა მიმდევრობით და ყველას უწერდა ჩათვლას უწყისში. ჩემი გვარი, რა-

ტომღაც გამოტოვა და სხვების ჩათვლებზე გადავიდა. ისევ აურია-მეთქი გავიფიქრე, მაგრამ სულგრძელად დაველოდე „განაჩენს“. ბოლოში რომ ჩავიდა, თავი ასწია და გამოაცხადა: დასანანია, თქვენნაირი ჩათვლა რომ უნდა დავუწერო ჩხაიძესაც, ნეტა რაიმე განმასხვავებელი მინიშნება არსებობდესო. პირველად, მასთან ურთიერთობაში, ჩემი რეაქცია ასეთი იყო: კმაყოფილებისგან, თუ ღირსებააღდგენილობის სიამაყისგან გავწითლდი.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი დაპირისპირებული და შემდგომში, რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულება ჩემდამი, არც ერთ სტუდენტს არ უგრძვნია. ამის შესახებ მე არასდროს ვლაპარაკობდი, რადგან არც ტრაბახა ვიყავი და რასაკვირველია არც თავის გამოჩენით დაინტერესებული.

ბოლოს და ბოლოს, იმდენი ქნა, თუკი მანამდე, ზიზღს მგვრიდა მისი დანახვა, როგორც არაობიექტური პედაგოგის, შემდგომში ჩემი სათაყვანებელი ლექტორიც კი გახდა. თუმცა, მერე მე მალე დავტოვე ეს ინსტიტუტი და ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გადავედი, რადგან ასე მორცხვსა და გაუბედავს, სკოლაში როგორ უნდა მემუშავა!?

შესაძლებელია, ლექტორისთვის კარგი მაგალითი ვიყავი, რომ მსგავსი შეცდომა აღარ დაეშვა სხვა დროს და უსაფუძვლოდ არ დაეჩაგრა, არ აეთვალ-

წუნებინა, არ შეელახა მცოდნე, თუმცა, მოკრძალებული და წყნარი სტუდენტის ღირსება.

შეუცდომელი არავინაა, მაგრამ ამ შეცდომის გამოსწორებასა და აღმოფხვრაზე თუ ზრუნავ, ეს უკვე ადამიანურ ღირსებებზე მეტყველებს. ეს ღირსებები ნამდვილად აღმოაჩნდა ჩემს ლექტორს.

27.12.2017 წელი.
თბილისი.

ჩემი ეზოს ჩიტუნიები

იმ წელს, გურიაში, ზამთარმა თავისი სათქმელი მკაცრად თქვა.

მოკლედ, დიდთოვლობა დაიჭირა.

მშვიდად, გულდინჯად, შეუჩერებლად, უქაროდ ბარდნიდა.

ღობეები გადაიფარა.

საზღვრები მოისპო.

სამყარო „დემოკრატიულობამ“ მოიცვა.

ყველანაირი სულდგმული დადუმდა.

სიმშვიდემ დაისადგურა.

აღარ ისმოდა მეზობლების გადაძახილ-გადმოძახილი, ქათმების კრიახი, საქონლის ბღავილი. ძაღ-

ლის ყეფაც აღარ გვაფხიზლებდა. ან რატომ უნდა დაეყეფა, ამ ზედმეტად მშვიდ სამყაროში, სადაც სულიერი არ ჭაჭანებდა.

შეწყდა მიმოსვლა.

ჭიშკართან ჩამვლელიც აღარავინ იყო.

თუმცა... სად იყო ჭიშკარი?!

სახლის კარებთან მოწოლილი ცუგა, დღედაღამ ფხიზელი, ერთადერთი ერთგული მსახური ჩვენი კარმიდამოსი, „სამსახურის“ გარეშე დარჩა. კარების გაღებისას, გახარებული წამოხტებოდა და ადგილზე ხტუნავდა, ლაქუცს იწყებდა, მერე, უკანა ფეხებზე დამჯდარი, თავს აქეთ-იქით გადააქნევ-გადმოაქნევდა, ყურებს დაცქვეტდა, გაიხედ-გამოიხედავდა, ცქმუტვას იწყებდა, მასპინძლის ფეხებს შეეთამაშებოდა, მიელაქუცებოდა, თითქოს, თან ამბობდა:

– უსაქმურობაში ნუ დამადანაშაულებთ, სამყაროს „დემოკრატია“, ჩემს „სამსახურზეც“ აისახაო.

ჩვენს ცუგას, განსაკუთრებული რეაქცია, მამაჩემზე ჰქონდა. გრძნობდა, რომ ის ოჯახის უფროსი იყო და სარჩოს შემომტანი.

დიდთოვლობამ, დილის საქმიანობის პირველადობაში, ცვლილებები შეიტანა. მამაჩემი, უპირველესად ბუხარს დაანთებდა, ნიჩბის პირს, გადამდნარი ღორის ქონით გაპოხავდა და თოვლს „გაკაფავდა“

ჭამდე, „კუხნამდე“, საქონლის სადგომამდე, კარიამდე (საქათმემდე)... ცენტრალურ გზამდე.

ზამთარი არ ხუმრობდა.

არც ბაქიბუქობდა.

ზამთარი, ბუხართან მიმჯდარ, იმ გულდინჯ, უზრუნველყოფილ, თეთრწვერა მოხუცს ჰგავდა, რომელიც თან ყალიონს აბოლებს, თან დაუსრულებლად ჰყვება სხვადასხვა საინტერესო თავგადასავალს, ყურადსაღებსა და ბრძნულს და... არსად ეჩქარება.

სწორედაც, არსად ეჩქარებოდა ზამთარს. გულდაგულ, ერთ ტემპში, აუჩქარებლად და შეუჩერებლად თოვდა და თოვდა.

ერთი კვირის თავზე, საღამოპირას, დედაჩემი შეშფოთებული ალაპარაკდა:

– დედა! დედა! რას გვიპირებს ეს ზამთარი?! ამაღამაც თუ ასე ითოვა, რა გვეშველება?!

მამაჩემმა კი,.. მაღალმა, კლდესავით უდრეკმა და ჯანიანმა, ოჯახის ავტორიტეტმა, უპასუხა:

– რას ჩივი, ქალო! ითოვოს! წლის მოსავალია! თანაც, ვერ ხედავ რა ლამაზია?! დიდთოვლობამ, კაი მოსავალი იცის!

ამ სიტყვებით ოჯახს „გული გაგვიკეთა“, თორემ დიდთოვლობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა, მისი მოსაგვარებალი იყო: ქათმები, საქონელი, შეშა, ჭიდან წყლის შემოზიდვა,... და სახლის სახუ-

რავის გადმოთოვლა; სხვათა შორის, მეზობლის მიტოვებული სახლის გადმოთოვლის ინიციატორიც თვითონ იყო: რომ ჩამოინგრეს, ჩვენი კუთხის სირცხვილი იქნება. – ეტყოდა დასახმარებლად მოსულ მეზობლებს.

საკვების მხრივ კი, ყოველთვის, ყველაფერი კარგად გვქონდა, მსუყე საჭმლიდან დაწყებული, კუპატებით, ჩურჩხელებით და ხილით დამთავრებული.

ეს დიდთოვლობა, ზამთრის არდადეგებს დაემთხვა, მე მაშინ მეცხრე კლასელი ვიყავი.

საღამოობით, მოგიზგიზე ბუხართან, ხან სიმინდს ვფშვნიდით და ვახარისხებდით, ხან კარტს ვთამაშობდით (უფრო ხშირად, „ფურთს“), ხან ოჯახურ ჩემპიონატს ვაწყობდით ჭადრაკში; ხან ყველა, ჩვენ-ჩვენთვის, რაღაცას ვკითხულობდით; ამ დროს, ბებია ისვენებდა. ნარდსაც თამაშობდნენ ზოგჯერ, რითაც მე არასდროს დავინტერესებულვარ, რადგან ქალისთვის შეუფერებელ თამაშად მიმაჩნდა. ნარდის თამაში ახლა ვისწავლე, ასაკში რომ შევედი.

დღისით, მე ღია აივანზე გამავალ ფანჯარასთან მდგარ ჩემს მაგიდასთან ვმეცადინეობდი. ფანჯრის თვალსაწიერიდან, ამ გაწამაწია დიდთოვლიანობისას, ფიფქების შემდეგ, ჩემი ყურადღება მიიქციეს, ცოცხალი სამყაროს ერთადერთმა მოძრავმა არსებებმა –

ჩვენი ეზოს მკვიდრმა ბეღურებმა და სხვა ჩიტუნიებმა. ისინი ღია აივანზე დაფრთხიალებდნენ. მივხვდი, განსაცდელში ჩავარდნილთ, საკვების პოვნის პრობლემა აწუხებდათ.

მათი უმწეო მდგომარეობა გავითავისე, სიბრალულმა შემიპყრო და გადავწყვიტე დავხმარებოდი. სახლიდან, ჯერ პურის ნატეხი გავიტანე და დავუნამცეცე. უცებ დაეძგერნენ, გადარჩენის და ხსნის ერთადერთ შანსს, ჩემი არც შეშინებიათ; სწრაფადაც აკენკეს.

ჩემი ნობათი, აშკარად არ ეყოთ, თუმცა მოცოცხლდნენ ცოტათი, გამხიარულდნენ, აივნის ბოძებს შორის დაიწყეს იმედიანი ფრთხიალი.

მალე გაშინაურებაც სცადეს; ფანჯრის ვიწრო რაფაზე შემოსკუპდნენ და თითქოს რაღაცას კენკავდნენ, ისე უნისკარტებდნენ რაფას. მე რომ დამინახეს ფანჯარასთან მჯდომი, ახლა მინაზე ატეხეს რაკარუკი. ჯერ, მადლიერების გამოხატვის ჟესტად აღვიქვი, მაგრამ რომ არ გაჩერდნენ და უმატეს კაკუნს, მივხვდი, კიდევ ითხოვდნენ საკვებს.

კი არ ითხოვდნენ, მოითხოვდნენ.

ახლა ჭადის ნატეხი გავუტანე და დავუფშვენი. ერთმანეთს ასკდებოდნენ, მოსწრებაზე იყვნენ, სწრაფად აქრობდნენ ძირს დაყრილ ნამცეცებს. ჩემს ფე-

ხებზედაც კი კენკავდნენ, ისე გაუქრათ შიშის გრძნობა უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილთ.

ჩიტი, ღორმუცელა და გაუმაძღარი ყოფილა... ისე მალ-მალე მახსენებდნენ თავს.

მივხვდი, პურით და ჭადით ვეღარ ავუთავდებოდი, დიდთოვლობის მსხვერპლთ, თორემ მალე, ადამიანები გავხდებოდით მსხვერპლნი და ჩვენ, ვის ფანჯარაზე მივაკაკუნებდით?!

არადა, ეს სამყაროს დამამშვენებლებიც რომ მეცოდებოდნენ?!

ამ სიტუაციამ ჩამაფიქრა.

თვითონ ხომ, სრულიად უანგაროდ გვეჭიკჭიკებიან, გვეჭახჭახებიან, გვეჟღურტულებიან, გაზაფხულსა და ზაფხულში გამთენიისას, და ძილბურანიდან საამო ჰანგებით გამოვყავართ.

ახლა, გაჭირვებაში ჩავარდნილთ, როგორ არ დავეხმარო? ვფიქრობდი ჩემთვის.

გამახსენდა!

მოზრდილ კასრში ინახებოდა „ღომის-ღომის“ მარცვალი, გაზაფხულზე ახალგამოჩეკილ წიწილთა გამოსაკვებად.

მივაკითხე იმ კასრს. ამოვიღე ერთი მუჭი, მოზრდილი ფანერიც გამოვძებნე, გავიტანე აივანზე და ჩიტუნიების სასადილო კუთხეც მოეწყო. ახლა ფანერზე აკაკუნებდნენ.

კენკვის პროცესი, დასარტყმელი ინსტრუმენტების ჟღერადობადაც კი აღვიქვი და როგორღაც, ვერთობოდი კიდეც.

მოკლედ, ჩემი ეზოს ჩიტუნიები ისე გამიშინაურდნენ, გადამავიწყდა კიდეც, რომ ისინი გარეულ ფრინველთა კატეგორიისანი იყვნენ.

დილით ადრე მაღვიძებდა მათი ნისკარტთა რაკარუკის ხმა, ფანერზეც და ფანჯარაზეც. ადრე ვდგებოდი მაგათთვის და მომავალი წიწილების ულუფის ხარჯზე, ვანაყრებდი.

„ითხოვე და მოგეცემას“ არსსაც კარგად ჩავწვდი, მათი წყალობით.

თავდაპირველად კასრს, თითქოს არც ეტყობოდა, თითო-თითო მუჭით ამოღებული მარცვლის დანაკლისი, მაგრამ... რამოდენიმე დღეში, კასრის დაცარიელების საშიშროებაც შეიქნა. უკან დახევას აზრი აღარ ჰქონდა.

ახლა, „ჩემს“ მოშინაურებულ ჩიტუნიებს, ველარ ვუღალატებდი.

•

როგორც იქნა... გადაიდარა.
დილით აღარ თოვდა.
დაღლილი სამყარო შედგა.
პიკის საათი გამოცხადდა.
სამყარომ სცენა მზეს დაუთმო.

საბოლოოდ, გამოდარების იმედმა შემოჟონა.

ადამიანებს განწყობა გამოუკეთდათ.

თოვლმა, გაპენტილი, აფუმფულებული მატ-ყლის ფორმა თანდათან დაკარგა და დაიტკეპნა, დამძიმდა, დადაბლდა, დაიწყო ღვენთვა.

სახურავებიდან წვეთები წამოვიდა.

ხეებიდან პანტა-პუნტით დაიწყო თოვლმა ცვე-ნა.

ჩიტებმაც იგრძვნეს საშიშროების დასასრული. მათი საფრენოსნო არეალი გაიზარდა. აივნიდან, უახლოესი ხეების, თოვლისგან გათავისუფლებულ ტოტებზე გადაინაცვლეს. მხიარულად აჟღურტულ-დნენ.

თუმცა, საკვებისთვის ისევ აივანს მოაკითხავ-დნენ ხოლმე და ფანერზე დაიწყებდნენ კენკვის იმი-ტაციას.

მეც გავუხანგრძლივე გამასპინძლების პროცესი. თვითონაც, თანდათან უკლეს სტუმროობას.

ხანდახან გამოჩნდებოდნენ და შემოჟღურ-ტულდებოდნენ აივანზე.

იქნებ მზამზარეული საკვები ენატრებოდათ?!

იქნებდა, მათი ჟღურტული მადლიერების გამოხატულება იყო?!

აშკარად, მათი საქციელი და განწყობა, სიკვდილს გადარჩენილ ადამიანთა საქეიფო განწყობას ჰგავდა, სადღეგრძელოში გამოხატულს!

იმ ზამთარს, ჩიტების გამოკვება და მათი გადარჩენა, ჩემს საქველმოქმედო და სამადლო საქმეთა ნუსხაშია შეტანილი.

გაზაფხულზე, როცა წიწილები გამოიჩეკა, ოჯახისთვის მაშინ გახდა ცნობილი „ღომის-ღომის“ მარცვლიანი კასრის დაცარიელების მიზეზი.

სასიამოვნო ნამდვილად არ იყო, მაგრამ... წიწილები ამჯერად ღერღილს დასჯერდნენ.

●

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

მე დღესაც ძალიან მენატრება, სოფელში ჩემი ეზოს მკვიდრი, მშიერი, სიცივისგან ბუმბულაწეწილი, მუდარაშერეულად მოჟღურტულე, ჩემს საწერ მაგიდასთან, შველის სათხოვნელად ფანჯრის მინაზე ნისკარტით მოკაკუნე ჩიტუნიები.

უმწეო ჩიტუნიების, მაშინდელმა ჯიუტმა კაკუნმა შემძრა და მაფიქრებინა, რომ თუნდაც ჩემი ლუკმის ფასად, უნდა გადამერჩინა ისინი.

ჩემო ჩიტუნიებო, მადლობა, რომ ამ სიკეთის ქმნის სასიამოვნო განცდით გაჟღინთეთ ჩემი მეხსიერების უჯრედები და ჩემს სულში, კეთილმოგონებათა, ერთი პატარა, ჩაუქრობელი სანთელი დაანთეთ.

თქვენთან ურთიერთობამ უმწეოთა მიმართ უანგარო ზრუნვით გამოწვეული სიამის შეგრძნების უნარი მომანიჭა.

ეს ჩვევადაც კი მექცა.

20.07.2018 წელი.
თბილისი.

ღამე არ მიყვარს

დღის ორომტრიალისგან დაღლილს, უარყოფითი ემოციებით დამუხტულს, ღამე განმმუხტავს, რასაც ზოგჯერ, უბის წიგნაკში ჩანაწერების გაკეთებით მახერხებინებს, ზოგჯერ – ცრემლებით, ზოგჯერ კი – წერტილით.

ასე რომ, ჯერჯერობით ღამეა ჩემი მეგობარი და მესაიდუმლე. ღამის სიმყუდროვეში, უბის წიგნაკი, ცრემლები და წერტილი ერთმანეთს ენაცვლება, რათა შემიმსუბუქონ ყოფითობა.

წერტილი, ხშირად ძნელი დასასმელია, რადგან მძიმე, მრავალწერტილი, ტირე, კითხვითი და ძახილის ნიშნები აქტიურობენ, ენაცვლებიან ერთმანეთს და გზას გიღობავენ. არის ქაოსი, აზრთა ჭიდილი,

ხშირად ცრემლებიც ჩაერთვება, მასთან ერთად უბის წიგნაკიც გადაიშლება, სადაც მიმდინარეობს ქაოსური ღრიანცელის, შემოძახილების დალაგება, თანდათან ცრემლების შეშრობაც იწყება და... ბოლოს წერტილის დასმით მშვიდობა მყარდება.

წერტილის დასმა იოლი რომ იყოს?! მაშინ სხვა ნიშნებს აღარც შევეფეთებოდით. სწორედ ისინი უშლიან ხელს ადამიანს გადაწყვეტილებების მიღებაში, ანუ წერტილის დასმაში. გზაზე გეღობებიან ეშმაკისეულებივით და აზრს ათასგზის შეგიცვლიან: ვიღაცას არ ეწყინოს; ვიღაცას გაეხარდეს; ვიღაცასთან საერთო ენის გამოძებნის ხერხებს ეძებ; ვიღაცას სიურპრიზს უმზადებ; ვიღაცას ემუქრები; ვიღაცას ურიგდები; ვიღაცას ეფერები; ვიღაცას საჩუქარს უმზადებ; ვიღაცას, ან რაღაცას წერტილს უსვამ; ვიღაცას უხმობ; ვიღაცას ემშვიდობები; ვიღაცას მასპინძლობ; ვიღაცას სტუმრობ; ვიღაცასთან შეხვედრაზე ფიქრობ; ვიღაცისგან პარალელურ ხაზზე გადასვლისკენ ისწრაფვი; ვიღაცის გახსენება გსურს, ვიღაცის – დავიწყება და მეხსიერებიდან ამოშლა.

ყველა და ყველაფერი თავ-თავის ადგილს დაიჭერს, მაგრამ... ამისთვის დროა საჭირო. დროში ძალიან იწელება სიტუაციები.

ასე იხარჯები თანდათან წუთისოფელში და დროის უკმარისობის საჩივრებიც თავსაყრელადაა.

როცა რაღაცას მოვიფიქრებ, მაშინვე რატომ არ ვსვამ წერტილს? იმიტომ რომ, აზროვნება სწრაფია. ერთდროულად, ელვის სისწრაფით მოდის ფიქრები, რომლ**ებ**ზედაც პასუხის გაცემას და რეაგირებას ვერ ვახერხებ და სწორედ მაშინ წარმოიშვება ქაოსი, დროში გაწელვა. სისუსტეს ვგრძნობ, ამ დროს ცრემლები წამეხმარება...

ძალებს როგორღაც აღვიდგენ და... ისევ თავიდან.

ბოლოს წერტილი.

ღამე, თუმცა ჩემი მეგობარია, მაინც არ მიყვარს, ცივია და ბნელი, შიში იცის.

ზოგჯერ უსარგებლოსაც ვეძახი, რათა, პასიურია აქტიური ცხოვრებისთვის.

მე დღე მიყვარს, მზის ჩახჩახი ძალას მმატებს. დღისით, სიბნელის შიში არ გვაქვს და ადამიანიც უშიშრად გავა წუთისოფლიდან.

განა საკმარისი არ არის სამუდამო სასუფევლის სიბნელე და სიცივე სამარადჟამო?!

ამაზე ფიქრიც, დროის, გონების და ფსიქიკის, ამაო ხარჯვაა.

ვინ ვარ მე და რა უფლება მაქვს შენიშვნა შევიტანო უფლის კანონმდებლობაში?! უფალმა, ჩვენს საკეთილდღეოდ შექმნა და მოაწყო სამყარო.

ღამე, შრომისგან დაღლილისთვის ძალების აღმდგენია.

უსაქმურობისას კი გვეხანგრძლივება და ვაქილიკებთ ღამეს.

აბა კარგად დაღლილს და შრომისგან „გასაოთებულს“, რა მალე დაგვათენდება თავზე და მისი გახანგრძლივების სურვილი გვკლავს?!

და მაინც, სიბნელის გამო, არ მიყვარს ღამე.

26. 04. 2018.
თბილისი.

ჩვევა

ჩვევა, ცხოვრების იძულებითი წესის შესისხლხორცებაა.

წლების შემდეგ კი... ჩვევად ქცეული ცხოვრების წესი ახლობლებსაც კი აკვირვებთ.

თავდავიწყებულმა, სხვებზე თავდავიწყებით ზრუნვაში გატარებული ცხოვრების ხანგრძლივ პერიოდს ისე შევეჩვიე, ახლა მხოლოდ ჩემი თავი რომ მაბარია, დაბნეული ვარ და როგორ მოვექცე საკუთარ თავს, არ ვიცი.

ნეტა ვინმე, ან რაიმე საზრუნავი გამომიჩნდეზოდეს. ამ დროს საკუთარი პრობლემა და ავადმყოფობა დამავიწყდება და თავსაც უკეთ ვიგრძნობ.

უფლმა, ისეთი გულის ამომრეცხი საშუალება გამომიჩინა!..

უსაქმობა, სამუდამო საქმით შემეცვალა.

●

ვწერ და... მგონია, ბოლოთქმაა, დასრულდა,
გული კი... ახალ სათქმელს ამზადებს;
როგორ მინდა, ბოლომდე ვთქვა სათქმელი და
რაც აქ განვიცადე,... აქ დარჩეს.

24.12.2017 წელი.
თბილისი.

უფლის რეკომენდაციით

„ის, საზოგადოებისთვის უწყინარია და ფუტკარივით შრომისმოყვარე, ისე მორიდებულად დაადგეს, თითქოს ეშინია დედამიწა არ შეაწუხოს და არ დაამძიმოს“. – ეს სახასიათო შტრიხები მესმოდა ზოგჯერ ჩემი მისამართით. ერთხელაც, ამ აზრით დამუხტულმა, მიმართვა გავაკეთე გარშემომყოფი საზოგადოებისთვის:

თქვენ, იმდენად დიდი ხართ ჩემთან შედარებით, ფარდობითობის თეორიის თანახმად, შეიძლება ჩემი ვერშემჩნევა და უგულებელყოფაც კი, როგორც ევერესტის დამპყრობთათვის პატარა გორაკის გავლაა შეუმჩნეველი; ან კიდევ ოკეანისთვის ერთი ლიტრი წყლის დანაკარგი; ან პურის ყანის აღებისას თხრილში გადავარდნილი ერთი მარცვალი; ან მოჩუხჩუხე ნაკადულისთვის ლოდზე შეშხეფებული წყლის ერთი წვეთი; უდაბნოსთვის სველ თითზე „აწეპებული“ სილა, მზის გულის ტემპერატურისთვის ერთ იაზე მიკუთვნებული სითბოს რაოდენობა; შვილის აღზრდაში დახარჯული შრომიდან ერთ წუთში, თუნდაც ერთ დღეში, გაწეული შრომა; სინათლის სიჩქარისთვის ურმის სიჩქარე და ა.შ. უსასრულოდ.

ევერესტის მპყრობელნო!

რადგან დავიბადე, რადგან სამყაროს ნაწილი გავხდი, უნდა მიმიღოთ ისეთი, როგორიც ვარ, თქვენს ფერხთით, პატარა გორაკზე ურმის სიჩქარით მოარული, ერთის წუთის შრომით გადაღლილი და ერთის იის კუთვნილი სითბოს მატარებელი. თუმცა... დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ და კარგად უნდა მოინდომოთ, რომ დამინახოთ და აღმომაჩინოთ, შესამჩნევი გავხდე თქვენთვის. შემიყვარეთ ისეთი, როგორიც ვარ, თორემ... მრავალწერტილში გარდავიცვლები.

უფალმა შემამჩნია და აღმომაჩინა, ჩამაკვირდა პოეტური ხედვით, გამშიფრა, გულში ჩამიხუტა, ხელში ატატებულიც კი მატარა. და... ახლა, ეს ერთი პატარა მარცვალი, უნდა საზოგადოებისთვისაც შესამჩნევი გამხადოს.

უფლის თანადგომა, ჩემთვის უზარმაზარი ხვედრი და პასუხისმგებლობაა.

წუთისოფელში უფლის „რეკომენდაციით“ მოსულს, ისევ უფალი თუ შემაძლებინებს, ღირსეულად შევუერთდე სამყაროს მრავალხმიან ასამბლეას და ვფიქრობ, ჩემეული ხმის შერწყმით არ დაირღვევა წუთისოფლის ტრადიციულ ჰანგთა ჰარმონიულობა.

27.02.2018 წელი.
თბილისი.

ლოცვით გამოხატული მადლიერება

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, სულით და ხორცით ვნებულო, დევნილო, დამცირებულო და ჯვარცმულო.

ჩვენ, ცივილიზაციაში ჩაფლულ მცონარა ადამიანთა მოდგმას, გაგვაჩნია იმდენი თავხედობა და

ამბიციაც კი, ჩვენთვის ვნებულს, შეგთხოვოთ ჩვენი ცხონება.

ვერა, მე ვერ შეგთხოვ, მრცხვენია ამ თხოვნისა.

•

უფალო, მახსოვს, სამ შვილზე ხელმარტოდ მზრუნველს, უსახლკაროს, ზოგჯერ დამცირებულს და შეურაცხყოფილს, ხშირად სასოწარკვეთილებაში მყოფს, განადგურების და წაშლის ზღვარზე მდგარს, მოკლებულს ყოველგვარ ადამიანურს... მხურვალე, თავგადაკარგული ლოცვის, ჩოქვის და თხოვნის გარეშე მარტომავალს გვერდით დამყვებოდი, დაუცველად რომ არ მეგრძნო თავი.

სიტყვით კი არა, მზრუნველობითი დამოკიდებულებით და მოქმედებით მამხნევებდი. ცხოვრების უზარმაზარი ტვირთის მატარებელს, უმწეობის გრძნობას სრულიად მავიწყებდი.

ვერავითარი სიტყვა, ვერავითარი ანგარებითი ფორმა ვერ გამოხატავს, ვერ გაგრძნობინებს, ვერ შეძლებს იმ ოდენობით ძალების, რწმენის შთაბერვას და გამხნევებას, როგორიც შენგან ვიგრძენი, უფალო, მხოლოდ დამოკიდებულებით, უტყვად, კრძალვით, ისე როგორც შენგანვე ბოძებულ ჩემს ხასიათს შეეფერება.

სამწუხაროდ, მე ვერაფერს ვაკეთებ შენთვის, რის გამოც მრცხვენია კიდეც. ამიტომაც ვერ შეგთხოვ, ვერ შეგევედრები ჩემს ცხონებას, იგი მე თვითონ უნდა ვჭედო პატიოსანი, ერთგული, დაუთვლელი და გაუთვლელი სიკეთით, ალალმართალი შრომით.

უფალო, მზად ვარ კვლავ გავიარო დამცირების თუ შეურაცხყოფის, წუთისოფლის მძიმე, შემაწუხებელი ტვირთის ტარებით გამოწვეული სულის თუ სხეულის გვემა, ჯვარცმის ტოლფასი ტკივილი; შენი თანადგომით გამობრძმედილი ჩემი ამტანიანობით, მტკიცე, ძლიერი და მებრძოლი სულით, უცრემლოდ, მხნედ, წუწუნის გარეშე ვკაფო ჩემი გოლგოთის მთისკენ მიმავალი ნარეკლიანი ბილიკები; კიდევ უფრო განვმტკიცდე და გავძლიერდე დაბრკოლებების გადალახვაში.

შენგან გამხნევებული და მადლიერი, ცრემლებით მავედრებელი, ჩემდამი მოზომილ სიცოცხლის წლებში ვცდილობ და მსურს შეძლებისდაგვარად სუფთად, უმწიკვლოდ, ღირსეულად, ტრადიციულად ვიცხოვრო, შევძლო ლუკმის განაწილება გვერდით მდგომთათვის, რათა პირნათელი და ვალმოხდილი წარვსდგე შენს წინაშე განკითხვის ჟამს...

11. 09. 2018 წელი.
თბილისი.

გულით შეგრძნობილნი

ბუმერანგი

ჩემი პირველი პროზაული კრებულის „ანბანური ინტეგრალების“ ერთ-ერთი მინიატურის, „იდუმალების“ შინაარსს, ფიქრში ხშირად ვუღრმავდებოდი ხოლმე ფიქრში, სადაც იფნის იარუსიდან, იადონი თავს დასტრიალებს და უგალობს იას. თავდახრილი და მოკრძალებული ია, მუდამ სიამოვნებით უსმენს თავის იდუმალს. იადონი, ივნისში ჩამკვდარ იას, მოთმინებით ელოდება მომავალ გაზაფხულამდე; ამ პერიოდს გლოვასა და ტანჯვაში ატარებს.

იადონის და იის იდუმალებამაც „ორატორის“ და მსმენლის ურთიერთობამდე მიმიყვანა. იქაც ხომ მხოლოდ იადონი გალობს, ია ბედნიერი მსმენელია. თავის მხრივ, იადონიც მხოლოდ იასთვის გალობს, ამაღლებული განწყობით და ბედნიერი.

იადონს, გალობის სტიმულს, იას მოთმენით მოსმენის უნარი, მისი კეთილშობილება აძლევს.

იასაც გულწრფელად უყვარს იადონი, ბავშვივით ახარებს მასთან შეხვედრა.

შინაარსში მორიგი წვდომის დროს, იადონის და იას ურთიერთობა დრამატიზმში გადაიზარდა:

ბედნიერი იადონისთვის, რომელიც წლების მანძილზე უგალობდა იას, ერთხელაც მოსაწყენი გახდა იასთან იდუმალებითი დამოკიდებულება; მობეზრდა იის მსმენლის როლში ყოფნა, ბუნებრივი თავდახრილობა; მოუნდა მასავით აქტიური ყოფილიყო ისიც და... ვითომდა ხუმრობით, ნისკარტით ჩაკორტნა, თან ჩასძახა:

– რა ბაიყუშივით მისმენ? თავი მაინც ასწიე!

არადა, იის მიერ მსმენლის როლის არჩევანი, მის სისუსტეზე სრულიადაც არ მიანიშნებდა, ამიტომაც ია ნადგურდება, განა მარტო ფიზიკურად!..

იას ხომ იადონის იდუმალებით მოცული, შორეული სიახლოვე ასაზრდოვებდა; ულამაზებდა და თითქოსდა უხანგრძლივებდა სიცოცხლეს.

იმედგაცრუებულ იას გული გამოეფუფქა, სიცოცხლის სურვილიც დაკარგა, იდუმალების ილუზიაც გაუქრა და დარჩა არა მარტო „გაპუტული“ გრძნობით და შეურაცხყოფილი, არამედ ფიზიკურადაც განადგურებული.

იადონმა, წინდაუხედავი მოუხეშაობით, იას გული განუგმირა და სიცოცხლეს გამოასალმა. იის ნაზი, სიფრიფანა, ლურჯფურცლებიანი, სურნელოვანი გვირგვინი მიწაზე დავარდა. თავის მოწყვეტის ადგი-

ლიდან გადმოდენილი „სისხლის“ წვეთიც თან წაიყოლა, თითქოსდა საკუთარი თავი დაიტირა.

ახლა კი, შეწუხდა იადონი, ასეთ შედეგს არ ელოდა. მისი მოუხეშაობით, იას შეუმოკლა ისედაც ხანმოკლე სიცოცხლე.

იადონი იფნის იარუსიდან, შეწუხებული და გულშეღონებული, ჩასჩერებოდა უდანაშაულო მსხვერპლს. თავს ვერ პატიობდა გამოუსწორებელი შეცდომის დაშვებას, მან ხომ მისი წინდაუხედაობით გაანადგურა იდუმალების წყარო, მისი სულის მარგალიტი.

კარგა ხანს ეგდო იის უსიცოცხლო, ნაზფურცლებიანი გვირგვინი მიწაზე.

ბოლოს, იის სინაზე ჭიანჭველას ფეხით გასათელიც კი შეიქნა; ერთს მეორეც მოჰყვა და... მალე ჭიანჭველების ხროვაში გაეხვია ია. უმოწყალოდ ძიძგნიდნენ მშვენიერ ნადავლს.

იადონი უყურებდა ყველაფერ ამას და ცრემლსაც ღვრიდა; ჩამოფრინდებოდა განადგურებულ იასთან, ისევ იარუსს დაუბრუნდებოდა, ჩამოფრინდებოდა და ისევ თავის ადგილს უბრუნდებოდა. ასე უმწეოდ და უშედეგოდ ეხეთქებოდა აქეთ-იქით. იას კი, ვერ შველოდა.

თავის ქვაზე ხლასაც აზრი აღარ ჰქონდა.

მისი გალობა სულისშემძვრელ გოდებად იქცა. გლოვის გაურკვეველი, ხრინწიანი ხმები ამოსდიოდა ყელიდან. რით და როგორ გამოასწორებინა შეცდომა აღარ იციოდა. თავს ვერ პატიობდა მომხდარს; ია ხომ მისთვის ყველა და ყველაფერი იყო, და... სიცოცხლის აზრიც, განუმეორებელი იდუმალებაც.

ქარმა მალე ფოთლებითა და ხის პატარა წკირებით გადაფარა იის ადგილსამყოფელი. ასე რომ, იადონს მკვდარიც სანატრელი გაუხდა. უკვე, აღარ ეხეთქებოდა აქეთ-იქით.

შედეგით თავზარდაცემულს, არა მარტო სურვილი, გალობის უნარიც კი წაერთვა.

გალობაუნარწართმეული იადონი იფნის იარუსზე მოიბუზა; უზარმაზარი სულიერი დანაკარგით მოწყენილი და გადაღლილი, ჩათვლემილის პოზაში გაიტრუნა.

განადგურებული და მარტოსული იადონი, დიდხანს, ძალიან დიდხანს იჯდა იფნის იარუსზე, გაუნძრევლად. გადაგვარდა არა მხოლოდ შინაგანად, გარეგნულადაც. გამოიფიტა და დაჩიავდა, ბუმბული აღარ უბზინავდა ქარ-წვიმისგან, შიმშილისგან და დარდისგან გაუბედურებულს.

●

ზამთარმაც მოუსწრო.

•

ჩაზამთრებასაც მოესწრო.

ისე დიდი იყო მარტოობით გამოწვეული სულიერი ტკივილი იადონისთვის, ბუნების შემოტევებს ვეღარც გრძნობდა. უღონობისგან და სიცივისგან ფეხები დაუუძლურდა. შიგადაშიგ, ძალებს იკრებდა და როგორღაც ახერხებდა იარუსზე თავის შეკავებას.

მომხდარი ტრაგედიით თავგადაკარგული იადონი აღარ იბრძოდა სიცოცხლის გასახანგრძლივებლად, არ ცდილობდა დამალვოდა და გაქცეოდა ზამთრის ულმობელ კლანჭებს. ერთგულების დასტურად, იგი თავშესაფარზე არ ფიქრობდა, არ ზრუნავდა თავის გადარჩენაზე; არ ტოვებდა ჩვეულ, იდუმალ ადგილსამყოფელს.

ბოლო ფიქრებით, ხშირ და მსხვილმარცვლოვან სეტყვაზე ოცნებობდა, რათა მალე დასრულებულიყო მისი სიცოცხლე; ოღონდაც დანაშაულის შეგრძნებით გამოწვეული სულიერი ტკივილისგან გათავისუფლებულიყო, ოღონდაც, მის ტანჯვას, სიმარტოვის გაუსაძლისობას ბოლო მოღებოდა.

მაგრამ არა, ოცნებისგან განსხვავებით, ჯერ თოვლ-ჭყაპი წამოვიდა, რომელმაც საბოლოოდ გადაუგვარა, გადაუერთიანა თავ-პირი, მისი გაქეცერებული ბუმბული ძველმანის ზორტებივით ჩამოეკიდა იადონის სხეულს, საიდანაც წყლის წვეთები ღვარად

ჩამოსდიოდა. მხრებმა ველარ გაუძლო სიმძიმეს და თან ჩამოჰყვა წყალგამდინარ ზორტებად ქცეულ ბუმბულს.

გამოიფიტა.

გადაიღალა.

დაუძლურდა.

მოიკუნტა.

უძლურებამ პიკს მიაღწია.

გრძნობდა, ბუმერანგის მსხვერპლი მალე გახდებოდა.

სიცივისგან, შიმშილისგან და უღონობისგან გაფშეკილ ფეხებს ტოტზე მოჭიდება აღარ ძალუძდა.

ამ მდგომარეობასაც უძლებდა როგორღაც. სიმწრით მოეჭიდა იარუსს და ჯიუტად არ ტოვებდა იდუმალების ადგილსამყოფელს. სურდა, იასთან ახლოს დასრულებულიყო მისი სიცოცხლეც.

●

დაღამდა.

ღამით, ვარსკვლავები გამოჩნდა ცაზე.

მოყინა.

ახლა, უკვე იადონს აღარ სჭირდებოდა ძალისხმევა ტოტზე მოსაჭიდებლად. მისი ფეხები ყინვამ ისე შემოაწება იფნის წვრილ ტოტს, ფითრივით შეესისხლხორცა და ძალიანაც რომ ნდომოდა, ვერ მოსცილდებოდა მას.

ბოლოს იადონი მთლიანად გაიყინა თავჩამოკიდებული და ჩამოფხორილი. მთვარის შუქზე ველარც მიხვდებოდით, რა სხეული იყო ამ შიშველ იფანზე მიმაგრებული, ლოლუებჩამოკიდებულ ფორმაში.

●

გათენდა.

მზემ გამოანათა.

იფნის ტოტზე იადონადყოფილის, მუქი ფერის, ყინულადქცეული სხეული მკვეთრად გამოჩნდა.

ცოტაც და... ყინულმა დნობა იწყო. მზემ იფნის ტოტები სწრაფად გააშრო და გაათბო, იადონის ფეხებზეც შემოადნო ყინული; ბოლოს, იფანზე შემოჭდობილი ფეხები ტოტზე შემოსრიალდა და... წვეთებგამდინარე იადონადყოფილი თავდაყირა დაეკიდა.

დიდხანს, დიდხანს ეკიდა იფნის ტოტზე ფეხებით ჩამოკიდებული იადონის გადაგვარებული, გაფშეკილი და უფორმო სხეული.

მის საცოდავ, სულისშემძვრელ მდგომარეობას გაზაფხულის ძლიერი, სისინა ქარი „წაეხმარა“.

ბოლოს და ბოლოს, იადონადყოფილი შეუერთდა იადყოფილს.

იადონის ფეხის თითები, გამხმარ ხვიარა ბალახივით შემოხვეული, შემორჩა იფნის ტოტს.

24.01. 2018 წელი.

თბილისი.

ცრემლები განძია

ზამთრის დილაა, ცივი და ქარიანი.

გულდამძიმებული მივაბიჯებ დედაქალაქის ყველაზე პრესტიჟულ ქუჩაზე. ფეხები ძლივს მიათრევს სულით დამძიმებულ სხეულს.

სულის გაჭირვება თვალებმა გამოხატეს. ცხვირსახოცი არ დამჭირვებია, ქარმა წამწამებზევე გააქრო ცრემლის კვალი. ქარი, თუმცა სახეში უმოწყალოდ მილაწუნებდა, დედის როლსაც ასრულებდა – მიშროობდა ცრემლებს თვალებში.

ვხედავ, ჩემკენ ჩქარი ნაბიჯით, მსუბუქად მომავალ სუსტ, მაღალ, უბრალოდ, თუმცა ამინდის შესაბამისად კარგად, გემოვნებით ჩაცმულ ახალგაზრდა გოგონას. მისთვის ზურგის ქარი დედის როლს ვერ ასრულებდა და ცრემლები ყურებისკენ სწრაფად გაურბოდა. ცხვისახოცი მასაც არ გამოუყენებია, თუმცა საჭირო იყო. არც მისი ცრემლები ჰგავდა სიხარულის ცრემლებს.

გოგონამ სწრაფად ჩამიქროლა.

შევჩერდი.

უკან მოვიხედე.

გოგონას სწრაფად გადაადგილებაში ზურგის ქარიც ეხმარებოდა. გავყურებდი უცნობ, მოხდენილ გოგონას და... რატომღაც დამენანა ცრემლებისთვის.

ორი უცნობის, ასაკითაც ძალზე განსხვავებული ადამიანის განწყობის თანხვედრაც შესაძლებელი ყოფილა. იმითაც კი განვსხვავდებოდით ერთმანეთისგან მოცემულ მომენტში, რომ ერთს ქარი გადაადგილებაში ეხმარებოდა, მეორეს – აბრკოლებდა, თუმცა განწყობა გვქონდა ერთნაირი.

თავი გადამავიწყდა.

•

გამახსენდა ცრემლები: გულდამწვარი დედის, ჭირისუფლის, ბედნიერების, სიხარულის, სინანულის, სიბრალულის, მონატრების, უმწეობის, სიყვარულის, წაქცეული ბავშვის, განშორების, ტკივილის, ჩვილის, და... ყველაზე მწარე – უცრემლო ცრემლები.

ნათქვამია, ცრემლები გულს ამორეცხავსო. კარგი, ბატონო, დარდიანი გული ამორეცხოს, მაგრამ ბედნიერ გულს რაღაზედ რეცხავს?

მაღალმა ღმერთმა ყველაფერი კარგად მოაწყო. ცრემლები ანეიტრალებს ადამიანის შინაგან მდგომარეობას – ამცირებს დიდ ემოციაზე გამოყოფილ ჭარბ ადრენალინს.

ცრემლები გვერდში გვიდგას ჭირშიც და ლხინშიც!

ცრემლები ჩვენი უახლოესი მეგობარია!

ცრემლები სიმარტოვეს გვავიწყებს და ძალას გვმატებს!

ცრემლები გვამხნევებს და გვამშვიდებს...
ე. ი. ცრემლები განძია.
ცოდვაა უცრემლო ადამიანი.
ვილოცოთ, არ მიგვატოვოს ცრემლებმა!
უფალო! მადლობა ცრემლებისთვის!

09.01.2015 წელი.
თბილისი.

ორი მე

ბავშვობაში ბავშვობას გაურბიხარ.

თავდაპირველად, გეჩქარება გაზრდა, ბაძავ უფროსებს, ცდილობ მათ დაემსგავსო. მიუხედავად ამ მცდელობისა, ვერ გრძნობ, რომ ბავშვობა ფეხაკრეფით თან დაგყვება, უკან მოგსდევს, კვალში გიდგას. ამას მაშინ გრძნობ, როცა უნებლიედ ფეხს წაიტეხ, დაბრკოლებას შეეჩეხები.

ამ დროს, შემცბარი, უკან იხედები და შენი ბავშვობის თვალებს შეეფეთები, ბავშვური წინდაუხედაობის თვალებს.

კიდევ უფრო საოცარია, ბავშვობა მოხუცს, უძლურს კალთაში როგორ გიზის, ხელები კისერზე შემოუჭდვია და გამუდმებით ყურში რაღაცას ჩაგ-

ჩურჩულებს. გეტიკტიკება რაღაც-რაღაცებს თავის თავზე ლაღად, გულღიად, უკომპლექსოდ, თამამად. ეს კი, შენ უკვე ბებერს, როგორ გახარებს?! სევდა გიქარწყლდება, სახე გებადრება, ღიმილები ხან დახტის, ხან დასრიალებს სახის ნაოჭებში, როგორც რელსებზე მატარებელი და გულიც ბავშვურად გიძგერს.

ფიქრებით შენც შენს ბავშვობასთან ერთად დარბიხარ და ანცობ, ხალისობ; წამიერად გავიწყდება ასაკი და უძლურება.

როცა ბავშვობა დაგღლის, დასასვენებლად ჩამოჯდები, ან წამოწვები, ბრუნდები რეალობაში და სევდა შემოგაწვება, გული აგიჩუყდება, თვალები აგიწყლიანდება.

ასე გაორებულ, შერწყმულ მდგომარეობაშია ხანდაზმული ადამიანი მის ბავშვობასთან. ერთსულნი და ერთპირნი ხდებიან, ციბრუტივით ტრიალებენ, დიდ ძალისხმევას დებენ საქმიანობაში და... თავბრუხვევაც იწყება.

წლების მატებასთან ერთად, კიდევ და კიდევ, უფრო უახლოვდები უსუსურ ბავშვობას.

ჯერ ნერვიულობ, მაგრამ როცა აცნობიერებ, თუ როგორ ჩახუტებიხარ მას მოთხოვნილებებით, სურვილებით, სუსნაობით, ცრემლებით... თვითკმაყოფილებაც კი გიპყრობს.

შენ, იქ ხარ!..

ის, აქ არის!..

თქვენ, ერთად ხართ, ერთსულნი და ერთპირნი, ერთარსნი.

31.10. 2019 წელი.
თბილისი.

ჩვენი გზა წუთისოფელში

ჩვენი გზა წუთისოფელში, ანუ განვლილი ცხოვრება, ჩემს აზროვნებაში ქართული ასო-ბგერა „ი“-ს ტრაექტორიას მივამსგავსე.

ვიწყებთ დედამიწიდან, ჯერ ფორთხვით, შემდეგ ნელ-ნელა მყარად დგომას ვეჩვევით; შემდეგ, მყარად დავდივართ და სწავლის გზას ვადგ**ა**ვართ; ავდივართ ზევით-ზევით, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ და ცოდნის ცხრაკლიტულების გაღების საიდუმლოებებს ვეუფლებით.

ვაღწევთ ზენიტს, რაც ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმია და ამ დონეზე ვაგრძელებთ ცხოვრებას გარკვეულ პერიოდში.

შემდეგ, მორიდებულად ასაკიც შეგვახსენებს თავს და სხვა ცხოვრებისეული პრობლემებიცაა გადასალახი.

წელში გატეხვის მომენტიც დგება, ამიტომ რაღაც-რაღაცებს ვთმობთ, ზოგჯერ ფარ-ხმალს ვყრით და ვიწყებთ თანდათან ქვევით დაშვებას; ნელ-ნელა სევდაც შემოგვაწვება და თვალს ვუსწორებთ ჩვენი სიცოცხლის ბოლო წერტილს – დასასრულს, საითკენაც გულდინჯად მივემართებით.

უკვე სვლაც იოლდება იმ თვალსაზრისით, რომ ცხოვრებისეული ბარიერები აღარაა გადასალახი. სამაგიეროდ, უჯანმრთელობის ბარიერები გვეღობება და ისე აძნელებს ზოგჯერ სვლას, როგორც ავტომობილს გაუჭირდებოდა გადაადგილება ოთხკუთხედი ბორბლებით; თუმცა გზას მაინც ვაგრძელებთ ინერციით და... მივექანებით დედამიწისკენ, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავენარცხებით რაღაც გაუთვალისწინებელი შემთხვევითობით.

ბოლოს და ბოლოს გავუსწორდებით დაბადების, ანუ საწყისი წერტილის დონეს. თუმცა, ამ დროს ჩვენ მკვეთრად განვსხვავდებით საწყისი მდგომარეობისგან და დედამიწის სულ სხვა წერტილში მოხდება დაშვება.

გავჩერდებით, ჩავფუნდამეტდებით და გავმყარდებით.

დედამიწის ზევით კი, ნაშთად დარჩება ჩვენი განვლილი გზა „ი“-ს მაგვარი ტრაექტორიით. თუ სწორად და კარგად გავივლით ამ გზას, მკაფიო, ლამაზად დაწერილი „ი“-ს კვალი დარჩება წუთისოფელში, შთამომავლობისთვის მაინც; შეიძლება სხვებისთვისაც; საუკეთესო შემთხვევაში ერისთვის და შესაძლებელია კაცობრიობისთვისაც.

და... დარჩები ვისთვის მისაბაძი და მისაღები, ვისთვის – საამაყო, სამაგალითო და გზამკვლევი, ვისთვის – მიუღებელი და არაფრის მთქმელი.

რაც მთავარია, შენ შენ ხარ და შენი განვლილი გზა, ანუ ცხოვრებისეული ხელწერა, სხვებისგან განსხვავებული იქნება. ე.ი. განსხვავებული იქნება შენი ნაკვალევიც, ანუ ტრაექტორია „ი“, ისე როგორც ყველასგან გამორჩეულია და ინდივიდუალური შენი კალიგრაფია, შენი თითის ანაბეჭდი.

30.12. 2017 წელი.
თბილისი.

სიყვარულის თვალი

მივმართავ გოგონას, რომელიც სიყვარულისგან ისე დაბრმავდა, ველარ ვიცანი. იგი „მსხვერპლი“ გახდა ბრმა სიყვარულისა. ეს, მე მეჩვენება ასე, თორემ, აბა მას ჰკითხე? მისი თქმით: სიყვარულის ადრესატი მისთვის ყველა და ყველაფერია.

ფიქრობ, სიყვარული უცნობი, შორეული და მიუწვდომელია?

გგონია ვერ მოგერევა?

ვერ დაგაბრმავებს?

ვერ გაგთელავს?

აბუჩად ვერ აგიგდებს?

შენს გულს ვერ დაიმონებს?... არ გჯერა ხომ?

ალბათ შენ ჯერ არ იცნობ მას და იმიტომ ფიქრობ ასე.

მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ გამაოცა გოგონას საქციელმა და გადაწყვეტილებამ, რომელიც რამოდენიმე წლის წინ, ზუსტად ჩემსავით ფიქრობდა.

მისი შემხედვარე, მივხვდი: სიყვარული თურმე... კიდეც დაგაბრმავებს, გზიდანაც გადაგახვევინებს, მის ჭკუაზეც გატარებს, დამჯერი და დამყოლი ხდები თოხარიკი ცხენივით; და... არა მარტო ის გატარებს თოკზე გამობმული ძაღლივით, არამედ შენ თვითონ მისდევ უკან თოკის გარეშე; შენ თვითონ გაეკიდები, როგორც ერთგული ძაღლი პატრონს.

თურმე სიყვარულის თვალი სხვაა, მას ვერ ვხედავთ, გარედან არ ჩანს.

ფიზიკური ორი თვალი სულ სხვაა, მას სხვა დატვირთვა აქვს: სამყარო შეიცნო გარედან, ადამიანებს ახედ-დახედო, ვიზუალურად მიმოიხილო გარემო და შემდეგ კატეგორიებად დაყო გონებაში: კარგი, ცუდი, საშინელი, მომხიბვლელი, მშრომელი, პატიოსანი, საოცარი, მიუწვდომელი ან ახლობელი, შორეული, უკიდეგანო, თვალუწვდენელი ან პატარა, ციცქნა, ან დამხმარე საშუალებებით დასანახი.

ის კი, ის... სიყვარულის თვალი, ამოუცნობია, არ იცი სად მდებარეობს შენში და რა ფორმისაა, თუმცა შენი სხეულის ყველა ორგანოს მოიცავს, შენც არ იცი მისი ზომა-წონა და... სხვამ მით უმეტეს.

ვგრძნობ, ბედნიერია მისი თვალები, ღიმილი, მოძრაობა, საუბარი, საქმიანობა, მზრუნველობითი დამოკიდებულება გარშემომყოფთა მიმართ.

სხვა გაოცებული შეჰყურებს და უკვირს მისი გარდასახვა, მოწყვეტა რეალური სამყაროდან. ზოგი კიცხავს; ზოგს გული შესტკივა; ზოგს უხარია; ზოგი ულოცავს; ზოგი – ვერა; მაგრამ, მართალი არც ერთი არაა, რადგან სიმართლე მარტო მან იცის.

ის ამ სიმართლით დადის, ასე სჯერა, ასე სწამს, ვერ ამჩნევს სხვათა რეაქციებს, რადგან მას ჰგონია

მართალია, მისთვის ასეა მისაღები, მისთვის ეს სწორი გზაა, ბაღნარია, ოაზისია და უკვირს, სხვებიც ასე რატომ ვერ აღიქვამენ. მაგრამ, მან ის არ იცის და იმას ვერ ხვდება, რომ სიყვარულის თვალი მხოლოდ მასშია, სხვები კი, მას ვერ ამჩნევენ.

დაავიწყდა, სხვისი სიყვარულის თვალი ვერც მას შეუმჩნევია, არასწორად შეუფასებია და გაუკილავს კიდეც!

ახლა?

ახლა კი... არა მარტო უნდა, არამედ თავგამოდებული იბრძვის, მისი სიყვარულის თვალით იხედებოდეს ყველა. და... ალბათ უკმაყოფილოა, რადგან ვერ უგებენ, ვერ უბამენ მხარს, არ არიან აღტყინებული მასავით, ვერ უთანაგრძნობენ. თავს იმით იმართლებს და იმშვიდებს, რომ მხოლოდ თვითონ იხედება საღად და სწორად, სხვები კი ბრმები არიან.

სინამდვილეში, თვითონ არის დაბრმავებული და სურვილი უჩნდება, სხვებიც დააბრმავოს. და თუ ვერ დაიყოლიებს გარშემომყოფთ, ბრაზდება კიდეც.

მზადაა, ყველა და ყველაფერი ანაცვალოს მისი სიყვარულის თვალის ადრესატს, მისთვის ყველას და ყველაფერს.

19.04.2017 წელი.
თბილისი.

შვილი ფითრია

დედის ორგანიზმში შვილს გასანაყოფიერებელი და ჩამოსაყალიბებელი ადგილი აქვს მიკუთვნებული, ისე როგორც მცენარეთათვის საჩითილე სათბურია.

ნელ-ნელა იზრდება, უვითარდება ყველა ორგანო, გული ფეთქვას იწყებს, მოძლიერდება გარემოსთან შესაგუებლად. ამ პერიოდში, იგი დედის სისხლიდან ჭიპლარის მეშვეობით მარაგდება სისხლით და სხვა სასიცოცხლო ნივთიერებებით.

ჩვილი, ადაპტაციისთვის როგორც კი მზადყოფნას იგრძნობს, იბრძვის დამოუკიდებლობისთვის; დედის დახმარებით აღწევს ამას და ჭიპლარიც გადაიჭრება.

ეს დაბადებაა.

ჭიპლარის გადაჭრა სინამდვილეში ფორმალური მხარეა, ისე კი, შვილი, მთელი სიცოცხლე დაკავშირებულია დედასთან უხილავი ჭიპლარით, რომელიც დედის ორგანიზმს ამცნობს შვილის ნებისმიერ პრობლემას, რა შორსაც არ უნდა იყოს იგი.

ფითრიც ხის ხარჯზე იზრდება, ხაროობს, იფურჩქნება; ხე კი, მის სრულყოფილებას შეეწირება. თანდათან ფოთლები გაუმეჩხრდება, გაიქუცება, გაილევა და... გახმება, გარდაიცვლება, შეიწირება.

ფითრი კი დაგლახებულ, თითქმის გამხმარი ხის ტოტზე აქა-იქ ღაღანობს. თუმცა ეს ყველაფერი გადაგვარებული და გარდაცვლილი ხის სიცოცხლის გაგრძელებაა სახეცვლილებით.

ფითრი ძალზე სასარგებლო სამკურნალო მცენარეა. ამით ის წააგავს განათლებულ და საზოგადოებაში დაფასებულ, წარმატებულ შვილს.

ხე დედის როლს ასრულებს. ფითრი კი, როგორც კუთვნილს, ისე შეითვისებს ხისგან საზრდოს მანამ, ვიდრე ხე ცოცხალია. ეს უნებლიე, დაუგეგმავი და ბუნებრივი პროცესია.

გამხმარ და უკვე უსარგებლო ხეს მოჭრიან. მასთან ერთად ფითრის სიცოცხლეც სრულდება, განსხვავებით დედაშვილობისა.

მადლობა უფალს, შვილი ფითრის ბედს არ იზიარებს. იგი აგრძელებს სიცოცხლეს დედის ხსოვნის და კვალის გასაგრძელებლად. ზრუნავს და თვითონაც ჩაიხარჯება მომავალი თაობის აღზრდაში და... ასე გრძელდება დაუსრულებლად.

შვილი ნელ-ნელა ცვითავს დედის გულს, სულს, გონებას, ფიზიკურ შესაძლებლობებს.

ბევრ შვილს, ქანცის გაწყვეტამდეთაც კი მიჰყავს დედა, როგორც ამბობენ, თავგადაკარგვამდე.

ამას დედა მოვალეობით და სიამოვნებით აკეთებს, შვილი კი, როგორც კუთვნილს, ისე იღებს ამ ფასდაუდებელ განძს.

ძველთაგან თქმულა: ბევრი შვილი, ბევრი მტერიაო. ბუნებრივია, ნაგულისხმევია ის, რომ დედა, მთელი სიცოცხლის მანძილზე, გამუდმებით ფიქრობს და ზრუნავს შვილზე; საჭიროებისამებრ შეუძლებლის გაკეთებასაც კი ახერხებს, თავს უშურველად ხარჯავს.

ეს დედის ინსტიქტია, წესად და ტრადიციად ქცეული.

ეს დედაშვილობაა, გარდაუვალი და შეუცვლელი ბუნებრივობა.

და მაინც, შვილი დედისთვის ფითრია.

18.11. 2019 წელი.
თბილისი.

სახალხო მჩაგვრელი

როცა სახალხო დამცველის სამსახური შეიქმნა, ხალხისთვის სამართალთა პოვნის და უსამართლობის აღმომფხვრელი სამსახური მეგონა.

•

ერთხელ, „სახალხო დამცველის“ სამსახურიდან ალოგიკური პასუხით გამოსტუმრებული, რომ თურმე მამა, რომელიც ალიმენტს არ უხდიდა სამ უსუსურ შვილს, მართალი ყოფილა, რადგან გაჭირვება იყო ქვეყანაში.

და... თურმე მარტო დედაა ვალდებული იზრუნოს შვილებზე, რადგან გააჩინა.

როგორც დამნაშავემ, ისე გამოვიხურე სახალხო დამცველის მდიდრული კაბინეტის კარი.

„უგანაჩენო განაჩენმა“ გონება დამიბინდა,

ქუჩაში გამოსული, დაბნეული ვიდექი ერთ ადგილას დიდხანს, ძალიან დიდხანს.

აქეთ-იქით ვიხედებოდი, მინდოდა ვინმე ნაცნობი დამენახა და შველა მეთხოვა, რადგან წამიერად ორიენტაცია დავკარგე და საოცარ გაურკვევლობაში აღმოვჩნდი.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექი ასე, უმწეო მდგომარეობაში.

ბოლოს ძლივს დავალაგე აზრი იმის გასარკვევად, თუ სად ვიყავი და რისთვის; და... რომელი მიმართულებით იყო ჩემი საცხოვრებელი.

გაურკვევლობას და დაბნეულობას, როგორღაც დამოუკიდებლად ვძლიე.

გონება გამინათდა.

აზრი მოვიკრიბე.

მშველელის ძებნა აღარ იყო საჭირო.

დავადექი სახლისკენ მიმავალ გზას, სადაც სამი უსუსური შვილი მელოდა.

ნაბიჯს ავუჩქარე.

თან ვფიქრობდი:

– ამ სამსახურს „სახალხო დამცველი“ კი არა, „სახალხო მჩაგვრელი“ უნდა ერქვეს...

და... სამართლის პოვნის რწმენა დავკარგე.

23.11.2017 წელი.
თბილისი.

მისილული ჩირაღდანი

მეგონა, ბედნიერი ვიყავი, როცა იგი ჩემს გულში ოლიმპიური ჩირაღდანივით აჩახჩახდა.

მინდოდა, ბავშვივით მეყვირა, ყველასთვის მეცნობებინა ამ ჩირაღდნის სიდიადე.

სიცოცხლეც არ მენანებოდა მისთვის.

მაგრამ...

სამწუხაროდ...

ცივი გონებით და უგულო გულის კარნახით ულმობლად, უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ მანვე ჩააქრო მოგიზგიზე ჩირაღდანი. ეს მაშინ, როცა იგი ნიღბის გარეშე წარდგა ჩემს წინაშე.

●

გაოგნებული შევყურებდი ჩამოლუმპულ, დანახშირებულ ჩირაღდანს და ვერ გავრკვეულიყავი მომხდარში.

იქნებ და მასზე მინიჭებული გაჩახჩახებული ჩირაღდნის ტიტული გადაჭარბებულიც კი იყო და ნაადრევიც.

მე კი, მუდამ უნიღბოდ მოარულმა, შესაძლებელია მისი ოსტატური ნიღაბი ვერც კი შევნიშნე.

ჩირაღდანმა, უკვე ჩამქრალ-დანახშირებულ-ჩამოლუმპულმა, გულიდან პირდაპირ ტალახიან გუბეში გადაინაცვლა...

ცხოვრება, ჩვეულებრივად არა, გარდაქმნებით გაგრძელდა.

მას გარდაქმნები არ შეხებია და სხვისიც არ უგრძვნია.

მხოლოდ „ასანთი“ გამომიწოდა, მორალურად დაზარალებულს, როგორც მოწყალება, თუ კომპენსაცია.

ასანთი, თავისი შესაძლებლობებით, დიდიც არის და მცირეც.

ჩემს შემთხვევაში ასანთი ისე უმწეო, უძლური და უსუსური იყო ტალახიან გუბეში ჩავარდნილი ჩირაღდნის ასანთებად, როგორც საქორწინო სუფრის მსუყე და მრავალფეროვანი პურმარილია, უსუსური და გამოუყენებელი, მშიერი ახალშობილისთვის.

არ არის გამორიცხული, რომ ეს მორთმეული „ასანთიც“ ნიღაბი იყო.

●

ტალახიან გუბეში ჩავარდნილი ჩირაღდნის ბედი რაღა საკითხავია?!

ესეც თუ ბედია??...

თუმცა... ბედი – ბედია.

თქეში წამოვიდა.

გუბეები გადაივსო... ღვართან გადაერთიანდა.

ყველაფრის კვალი წაიშალა...

ჩირაღდნისაც.

სადღაც მიასილა ღვარცოფმა.

მიწაზე დაენარცხა ილუზიად ქცეული, ამაღლებული კრძალვითი ნაფიქრალებიც და ჩირაღდანთან ერთად ისიც სადღაც მიისილა.

დავრჩი რეალობაში გაწბილებულიც და გაკვირვებულიც.

არადა, როგორ მეგონა, რომ იგი, როგორც მოგიზგიზე ოლიმპიური ჩირაღდანი, ჩემი მეხსიერების ლამაზ, შუქნათელ ეპიზოდთა ჩამონათვალში შევიდოდა!

•

ცხოვრება ჩვეულებრივად გრძელდება...

26.03.2018 წელი.
თბილისი.

მარტის გული კეთილია

ყველა, ვინც გაზაფხულს უმღერის და უგალობს, ხშირად და უმრავლეს შემთხვევაში, რატომღაც – აპრილსა და მაისს.

მარტს კი... მარტს, დასცინიან და ცოტა აგდებულადაც კი მოიხსენებენ; თუმცა სწორედ რომ მარტში აფეთქებულ ტყემლებს შემოაქვთ გულში თბილი იმედი და სიხარული.

მარტს აქვს უნარი, თავბრუდამხვევი სასიყვარულო ნიჭისა, რაც ექოსავით, უპასუხოდ არასდროს რჩება. მისი სითბოს წყალობით, თავდავიწყებით შეაყვარებს თავს ტყემალს და სადედოფლოდაც მორთავს მას.

აფუშფუშებულ, თეთრ კაბაში მორთული ტყემალი ხომ სიყვარულს გაგრძნობინებს, სითბოს და ღიმილს შემოგაფრქვევს, გულს აგიმღერებს, მომავლის იმედს ჩაგისახავს.

მერედა აყვავებული ტყემალი, მართლაცდა, როგორ ჰგავს ქართველ, ტრადიციულ დედოფალს! ისეა შემოსილი და შებურული, სხეული არც კი უჩანს.

ბედნიერი დედოფალი გაცისკროვნებული დგას კვარცხლბეკზე, მეფის მოლოდინში. ტყემალი მარტის თავბრუდამხვევ სითბოს პირველ სიყვარულად

აღიქვამს და... არც აყოვნებს, სიყვარულითვე პასუხობს. თუმცა ამ პირველი სიყვარულის მსხვერპლი ხშირადაც გამხდარა.

მარტი ბუნებით არამყარია, თითქოს, ის პირველ სითბოს და სიყვარულს იმდენ გულგრილობას, სიცივესა და სუსხს მოაყოლებს, თავბედს აწყევლინებს სადედოფლოდ მორთულ ტყემალს. ხშირად ულმობლადაც შემოაფლეთს ქუნქულა, თეთრ სამოსს და უშვილძიროდაც დატოვებს მას.

ტყემალი, თუმცა მსხვერპლია პირველი სიყვარულისა, მაინც ამაყად დგას, გაბედულია და უშიშარი, გულს არ იტეხს. შელახული თავმოყვარეობით, თუმცა მოთმინებით, დაელოდება მომავალ გაზაფხულს – ახალი სიყვარულის იმედს. თუკი აქაც უმტყუნა ბედმა, შეიძლება შეეწიროს კიდეც სიყვარულში ახალ მარცხს.

ადვილი ხომ არ იქნება, ორჯერ გაცრუებული სიყვარულის გადატანა?!

დგას, აპრილ-მაისში აყვავებულ ხეხილთა შორის, უიმედო, სანაყოფე ყვავილებგაცვენილი, ფოთლებშემხმარი, დაგლახებული, დამცირებული და შეურაცხყოფილი, სიცოცხლის უნარწართმეული ტყემალი; სულგრძელობით, მოთმინებით იტანს იმედგაცრუებას. ტყემალი, გულის სიღრმეში მარტს ადა-

ნაშაულებს, მასზეა განაწყენებული. ნამდვილ დამნაშავეს კი, ვერ ხედავს.

სინამდვილეში, დამნაშავე ხომ ზამთარია, მას ბოროტი ზრახვები ამოძრავებს. იგი გაზაფხულის საზღვრებს ურცხვად გადმოლახავს, დაუკითხავად შეიჭრება მარტის „პროგრამაში“ და მას, საქმიანობის პირველი ეტაპის ნორჩ ყლორტებს, ულმობლად უნადგურებს.

ზამთარი, მარტის სახელს ამოფარებული, ოსტატურად ნიღბავს თავის დანაშაულებრივ ქმედებებს (კალენდარსა და წელიწადის ოთხი დროის არგუმენტებზე დაყრდნობით).

ორჯერ იმედგაცრუების შემდეგ, მესამედ თავბრუდამხვევი მცდელობა მარტისგან, ხშირად უშედეგოა; ტყემალი ძველებურად ვეღარ აფეთქდება; სიყვარულის მორევში ვეღარ ჩაიძირება, სადედოფლოდ ვეღარ მოირთვება. შეიძლება, აქა-იქ გამოვლინდეს სიყვარულის ნაპერწკლები, თითზე ჩამოსათვლელი ყვავილების რაოდენობით გამოხატული. მაშინ, იგი ემსგავსება: საკერებლებიანი ქოლგით ხელში მავალ, დაკარგული თუ გამოგონილი სიყვარულის მაძიებელ, ყავლგასულ, ჩამოკონკილ, უთავბოლო მაკიაჟიან, სასაცილოდ მორთულ ფუფალას.

ისედაც, ქართული ტრადიციით, მესამეჯერ სიყვარულზე ფიქრი სიძვის ტოლფასია.

სიყვარული, ზოგადად, გამართლებაცაა. მარტი-დან გამომდინარე და მისი შიშით, განა სიყვარულზე უარი უნდა თქვას ვნებიანმა ტყემალმა?

სწორედ, ტყემლის დამყოლი ბუნება და მისი სასიყვარულო აზარტში შესვლა გვაგრძნობინებს ზამთრის დასასრულს.

თამამი მარტი, თავისი სასიყვარულო ფანტაზი-ებით, გაზაფხულის პირველი მერცხალივით იმედის მომტანია. იმედის მომტანი გარემო კი, არაა იოლად თავში ხელწამოსარტყამი.

მარტი, თავისი პოზიციების დასაცავად, მუდმივ ჭიდილშია ზამთართან. ამიტომაცაა, მარტში გამუდ-მებით ენაცვლება ერთმანეთს სუსხი და მცხუნვარე მზე.

სუსხი ბოროტი ზამთრის კლანჭებია, თბილი მზე კი – მარტის კეთილი გული.

ასე რომ, თუმცა მარტი ცუდად გვამახსოვრებს თავს, ეს მხოლოდ და მხოლოდ ზამთრის „დამსახუ-რებაა“, რომელიც ბოროტი ჯადოქრის როლს ასრუ-ლებს.

ჩვენ კი, ბრმად განვსჯით მარტს და ზამთრის უარყოფითობანს მას მივაწერთ.

დაიღალა მარტი გამუდმებული თავდაცვითი ბრძოლებითა და ცილისწამებებით.

თუკი, წელიწადის დროები და თვეები თავთავიანთ ჩარჩოებში დაიკავებენ ადგილს და საზღვრებსაც გაამაგრებენ, თუკი ყველა თავის ფუნქციას შეასრულებს, მარტიც სიყვარულის ერთგული და დასაყრდენი პარტნიორი იქნება. იოლად აღარც თავში წამოარტყამენ და აგდებულადაც აღარავინ მოიხსენებს.

მარტისკენ მიმართულ უმართებულო, დანაშაულებრივ ბრალდებებზე ზამთარმა უნდა „აგოს პასუხი“ და ხელი აიღოს „თავხედურ“ ქმედებებზე, რითაც მარტს სამყაროსთან რეალური სახით წარდგომის შანსი მიეცემა; მაშინ, ტყემალიც აღარ გახდება მარტის გულწრფელი სიყვარულის უდანაშაულო მსხვერპლი.

და... მაშინ, მარტზეც შეიქმნება ლექსები და სიმღერები, როგორც სიყვარულის, სიცოცხლისა და იმედის საწყისზე.

02.04.2018 წელი.
თბილისი.

დედობა დიდებულებაა

გამონათქვამი: „ბედი მომეც და სიპ ქვაზე დამსვიო“, მიტოვებული, მაწანწალა, პატარა ბიჭის ცხოვრებას მივუსადაგე.

მერე რა, რომ მამა არ ჰყავდა?

მერე რა, რომ მის დედასაც არ აღმოაჩნდა დედობრივი ძალა და მორალური ვალდებულების გრძნობა შვილის აღზრდისთვის?

მერე რა, რომ მშობელმა დედამ უღალატა, უგულოდ მოიშორა თავიდან და მის ორგანიზმში გამოქანდაკებული უსუსური ბავშვი სხვის კარზე მიატოვა, როგორც ზედმეტი ბარგი?

სამაგიეროდ, ყველაზე დიდმა, უზენაესმა, ყოვლისშემძლე უფალმა გამოარჩია, სიკვდილს გადაარჩინა, ხელში აიყვანა, გულში ჩაიხუტა და მიწაზე ფეხდაუდგმელად გამოატარა ცხოვრების ხერგილებში.

უფალმა მადლიანი, გულმოწყალე და ღირსეული ქართველი ნავის სახით გამოუგზავნა და „დახრჩობას“ გადაარჩინა. მან გაზარდა, შიმშილი, უმწეო მდგომარეობა და სასოწარკვეთა ფუფუნებით შეუცვალა. გადაავიწყა უმშობლობა; უგზო-უკვლოდ მოარული სწორ გზაზე დააყენა, განათლებაც მიაღებინა და გამოაჩინა.

დიდი ფრანგი მწერალი, ვიქტორ ჰიუგო, საქვეყნოდ აცხადებდა: „ქალი სუსტია, მაგრამ დედაა ძლიერი!“

სწორედ, ამ ღვთის წყალობას – დედობრივ სიძლიერეს – ღვიძლმა დედამ ხელი ჰკრა, გაანიავა და ბინძური მიმართულებით გამოიყენა. სამაგიეროდ, იგი უშვილო ქალბატონს შთაბერა, მასში დაიდო ბინა.

რაც ღვიძლმა დედამ დააკლო, დედობილმა აუნაზღაურა; ღვიძლი შვილივით გულში ჩაიკრა და საკუთარი გულის სითბო უწილადა, მზრუნველის გულისცემა აგრძნობინა; საკუთარი ლუკმა გაუყო და საკუთარი ცხოვრება დაუთმო.

ასე რომ, ღვიძლი დედისგან მისაღები დედაშვილური სითბოს სრულყოფილება, უშურველად მიჰმადლა იმ ქალბატონმა, რომელიც, სამწუხაროდ, **ღვაწლმოსილი დედობილის** სტატუსით მიიცვალა და არა ბიოლოგიური დედის სახელით.

უკვე გაზრდილს, რა დაავიწყებს, სასოწარკვეთილებისაგან ხსნით გამოწვეულ მადლიერებას?

იგი ღირსეული მემკვიდრე გახდა უმკვიდროთათვის. მათ არ უმტყუნა და კეთილშობილური ცხოვრების რიტმი ჩინებულადაც გააგრძელა.

ასეთი რამ, ყველასთვის იოლად არ იკრიფება, ეს ხომ რჩეულთა ხვედრია; ხვედრი, რომელიც ღვთის წყალობითა და სიყვარულითაა გაჟღენთილი.

•

სამშობლოს მოღალატესაც ვაპატიებ! მეგობრის მოღალატესაც ვაპატიებ! დედის მოღალატესაც კი ვაპატიებ! მაგრამ... დედობის მოღალატეს – ვერასოდეს!!!

სამშობლოს მოღალატეს ერი გასცემს პასუხს!

მეგობრის მოღალატეს – მეგობრის მეგობარი!

დედის მოღალატეს – ცხოვრება!

მაგრამ...

დედობის მოღალატისათვის პასუხი წუთისოფელში არ მოიძებნება; ამ ღალატის შემფასებელი და პასუხისგამცემი უზენაესია. რადგან,

დედობა ღვთის საჩუქარია!

დედობა დიდებულებაა!

03.03.2018 წელი.
თბილისი.

გზა მიზნამდე

ადამიანი დაბადებიდან კამკამა რუს მაგონებს. იგი სუფთა სულის, უცოდველი, უმანკო და კეთილია, მოკლედ – ცოცხალი ანგელოზია.

ზრდასთან და ასაკთან ერთად მისი გონება და სული ბინძურდება.

ნელ-ნელა ეჩვევა ცოტა ტყუილს, ცოტა ეშმაკობას; ზოგჯერ გონება უბინძურდება ბილწი გამონათქვამებით, ეჩვევა უფროსზე უკონტროლო მიმართვებს, მეგობრებთან ურთიერთობა შეიძლება ჩხუბში გადაეზარდოს, შეიძლება თვითონაც გახდეს ბილწსიტყვაობის ავტორი.

ამას მოჰყვება სწავლაში სიზარმაცე.

ხშირდება, ერთის მხრივ მშობლის, მეორეს მხრივ მასწავლებლის მოტყუება.

თუ აღნიშნული უარყოფითობანი თანდათან არ წაიშალა და არ აღმოიფხვრა აღმზრდელის მიერ, კამკამა რუ მღვრიე და გაუმჭვირვალე გახდება.

საზოგადოებისგანაც მიიღებს და ისწავლის ბევრ უკულმართობებს, რაც „რუსთვის“ ქარისგან მოტანილი ფოთლებითა და ხის წკირებით, ლამითა და სილის სახით გამოიხატება; ესენი კი, სადღაც ერთ ადგილას მიილექება, გაიჭედება, რითაც რუს გზა გადაეკეტება, თავის გზას დაკარგავს და გადაიღ-

ვრება, ე.ი. წისქვილამდე ვეღარ მიაღწევს და გამოუსადეგარი გახდება.

ყურადღებიანმა მეწისქვილემ, ანუ აღმზრდელმა, გზადაგზა უნდა ასუფთაოს „რუს“ გზა, კალაპოტი, რათა გზის აუცდენლად მიაღწიოს წისქვილამდე – საქმიან, სერიოზულ ადამიანობამდე.

ამის შემდეგ კი, თვითონვე გაიკვლევს გზას ცხოვრების რთულ, ხან კი ჩახერგილ ლაბირინთებში.

ამ კონდიციამდე მიღწეული ადამიანი აღარ არის საშიში საზოგადოებისთვის.

იგი ჯანსაღი ცხოვრებით იცხოვრებს, კარგი მაგალითის მიმცემი და ავტორიტეტი იქნება მომავალი თაობისთვის.

09.02. 2018 წელი.
თბილისი.

გაუმხელელი სიყვარულის ძალა

სიყვარული გაუმხელელი სჯობს, უთქმელი.

აღიარებული, გამხელილი სიყვარული წარსულს ჩაბარდება, ისტორიად იქცევა ანუ გარდაიცვლება; აღსადგენად და ახლის მოსასმენად დაქვეტს ყურებს. იგივეს თუ მოასმენინებ, ერთფეროვნებას ყურიც შეეჩვევა და გაუბრალოვდება, ფასი აღარ დაედება, გულს არ აატოკებს, არ ააფართხალებს, არ დააფეთებს; ლოყებს არ ააფაკლებს.

დიდია გაუმხელელი სიყვარულის ძალა.

გული პირთამდე რომ გაქვს სავსე გრძნობით და სათქმელით, ამ გრძნობის სისავსეს სიტყვით კი არ გამოხატავ, სიტყვებით კი არ ამხელ, არამედ ქმედებით, ყურადღებით, დამოკიდებულებით, თვალებით, კრძალვით.

როცა სიყვარული ენად გაიკრიფება, გული გადმოიღვრება, ამოირეცხება, ამსუბუქდება, თანდათან დაცარიელდება და გრძნობაც განელდება.

ბოლოს... გულიც გაცივდება.

13.01.2018 წელი.
თბილისი.

გაზაფხულის გასტროლიორნი

ზურგზე თბილმზეწამოკიდებული გაზაფხული კვირტებმაძღარ ტოტებს შემოეხვია და მოხერხებულად მოკალათდა ბუნების ბუნებრივ ტახტრევანში; დედაბუნებას მოესიყვარულა, სიცოცხლის იმედი და სიყვარული შეაფრქვია სამყაროს ბინადართ.

გააღუღუნა გარემო.

სწორედ გაზაფხულია გაზაფხულის გასტროლიორთა მასპინძელიც და ორგანიზატორიც.

ნაირფერ ყვავილედთა ანსამბლებმა, როგორც გაზაფხულის ერთ-ერთმა პირველმა სტუმარგასტროლიორებმა, საამო სურნელით გაჟღინთეს სასუნთქი გზები და გაამრავალფეროვნეს თვალსაწიერი. სამყაროს სცენა მოხატეს და თაიგულების ფერადოვნებით გაამშვენიერეს; მოჩითეს და ფერადი ხალიჩებით მოაფარდაგეს დაუხნავი მინდვრები, ფერდობები, კორდები და მათ „ბედნიერ-ღიმილიანი“ იერსახე შესძინეს. ისინი, საბალოდ მორთულნი, სცენის დეკორაციის შემქმნელნი და თანამონაწილენი, თავთავიანთი აღკაზმულობის ნაირგვაროობით წარმოაჩენენ დიზაინერთა ნიჭიერებას და ფანტაზიის უკიდეგანობას.

სტუმართა ნაწილი უკვე დაწყვილებულა და სხვადასხვაგვაროობით ერთმანეთს ავსებენ და ამშვენებენ; ირხევიან, თავს იწონებენ, კაბებს ისწორებენ

და მუსიკის ჩართვის მოლოდინში გატრუნულან. მხოლოდ ბუნებით მორცხვი და მოკრძალებული ია დგას ცალკე, ჩრდილში. მას, შესაძლებელია, მეწყვილის გარეშე მოუხდეს სოლო პარტიის შესრულება.

ჯერ ხომ გაზაფხულის პირველი დღეებია. მოწვეული სტუმრებიდან ყველა არც კი მობრძანებულა. გარემოს რიგითობით ეწვევიან ხოლმე; თითქოს ამით სურთ, თვალსაჩინო და აღსაქმელადაც იოლი გახადონ მათი გამოჩენა. არ ჩაიკარგონ სხვა გასტროლიორთა მომხიბ**ვ**ლელობის ჩრდილქვეშ.

თითქოსდა ველური ბუნების შვილნი, რა საოცარი სინაზით და მომხიბ**ვ**ლელობით გამოირჩევიან. ისინი გაზაფხულის არა მხოლოდ დამამშვენებლები, საპატიო სტუმრებიც არიან. მათი სამოქმედო არეალი ხომ მხოლოდ გაზაფხულია, შემდეგ კი გაუჩინარდებიან მომავალ გაზაფხულამდე.

როცა გაზაფხული შუა ფაზისკენ გადაიხრება, ანუ როცა უკვე სტუმრები გარემოსთან კარგად შეთამამებულნი, ზრდასრულნი და ფერდამჯდარნი არიან, მათ წარმოჩინებას სამყაროს წინაშე ხელს უწყობს და ხიბლს მატებს ფრინველთა მუსიკალური დასი.

დასის ნაწილი ადგილობრივი მომღერლების, ანუ მასპინძლებისგან შედგება; ნაწილი კი, მუდმივ

გასტროლიორულ ცხოვრების ჭაპანს ეწევა, ჩვენსა და თბილ ქვეყნებს შორის.

სწორედ ამიტომ იგვიანებს მუსიკა. მუსიკოს-გასტროლიორთა უმრავლესობა ჯერ არ დაბრუნებულა შორეული გასტროლიდან.

•

აჰა, გამოჩნდნენ მუსიკოს-გასტროლიორებიც, თან მოიტანეს იმედიანი განწყობა; წინა წელს დაჯავშნილ, თავთავიანთ „სასტუმროს“ ბანებს მოასკდნენ და სამშობლოში მშვიდობიანი დაბრუნება, თავშეუკავებელი ჭიკჭიკით აუწყეს „სასტუმროს“ მეპატრონეთ. თან ბუდეებს ათვალიერებენ; ზოგი შესაკეთებელია, რადგან ქარ-ყინვას ჩამოუნგრევია და გაუფუჭებია; ზოგიერთი თავიდან ასაშენებელია, რადგან ბუდის მხოლოდ ნაკვალევიღაა დარჩენილი.

ახალდაწყვილებულებს სამოსახლო ადგილიც კი შესარჩევი აქვთ. თუმცა მათ ეს არ ადარდებთ. ისინი ხომ, მშობლიურ კერაში დაბრუნებით, სიხარულში თავგადაკარგულები არიან, ეფერებიან და ესიყვარულებიან გარემოს, ჰაერსაც კი, სადაც ლაღად და განუწყვეტლივ დასრიალებენ, თან მოგზაურობის თანმხლებ თავგადასავლებზე ჟღურტულებენ. საზრუნავის სიჭარბე არ აშინებთ, რაც მთავარია, სამშობლოში არიან, დანარჩენს მოევლება. ყველა-

ფერს მოასწრებენ, ბუდესაც აიშენებენ, თაობასაც დაზრდიან და სამომავლოდაც გაწვრთნიან.

•

გაზაფხულის გასტროლიორთა საქმიანობა დილით ადრე იწყება. ახალგაღვიძებულ ყვავილედთა რიტუალში შედის, დილის ცვრით საბალო კაბების გაწმენდა და წინა დღის მტვრის ჩამორეცხვა. ამის შემდეგ, მზად არიან, „მუსიკის“ ჩართვისთანავე, ჩაერთონ საბალო მასკარადში, ფეხი აუწყონ ფრინველთა დასის შთამაგონებელ ჰანგებს.

მუსიკოსთა დასი – პიროზითად მაპინძელ-გასტროლიორნი, ან სტუმარ-მასპინძელნი, შეხმატკბილებული ჰანგებით ამკობენ გარემოს: გალობენ, სტვენენ, ჭიკჭიკებენ, ჟღურტულებენ, ჭახჭახებენ, ღუღუნებენ, წივწივებენ, ჟივჟივებენ, წრიპინებენ, წიწკინებენ, ჭყლოპინებენ, ჭყიპინებენ, კურკურებენ,..

დასთა საამურ ჟღერადობას ნიავქარიც შეუერთდება ხოლმე, როგორც კლასიკური მუსიკის დაბალხმიანი ფონი და ამ ფონზე – ნელი სიოს სალბუნზე, საცეკვაოდ გამზადებულნი, მთა-ბარის საუცხოოდ მომჩითველნი, ბალეტის მსახიობებივით მოქნილნი იწყებენ რხევას; ლამის მიწამდე გადაიხრებიან და გაიმართებიან, შემდეგ სხვა მხარეს გადაიხრებიან... ვინ ვის აწონებს თავს, ვინ ვის მიეახლება და

ჩაეხუტება, ვინ კრძალვით გამოხატავს ჩახუტების სურვილს, ვინ თავდავიწყებით და შესაშური გრაციოზულობით მარტო ასრულებს სოლო პარტიას!

•

ბალ-მასკარადის ამ გამაბრუებელ, თავბრუდამხვევ გნიასში შემოიჭრებიან და მზის სხივებით გაჟღენთილ ყვავილებს მოედებიან სკის მოხეტიალე მშრომელთა არმია – ფუტკრები, სერიოზული მისიით; ყვავილებს გულში მაგნიტივით ჩაეწებებიან და შესაშური ნებისყოფით ცდილობენ სრულყოფილად ამოტუმბონ ნექტარი. ისინიც, ნელი სიოს წყალობით, ბალ-მასკარადში მონაწილე ყვავილებთან ერთად ცეკვავენ და ირხევიან ჩახუტებულნი. ეს სრულიად არ უშლის ხელს მათ საქმიანობას.

გაზაფხული წარმოუდგენელია მშვიდობით გამოზამთრებულ ფუტკართა გარეშე. მათი კეთილი მისიის რეალიზება კი, სწორედ გაზაფხულის დამამშვენებელ ყვავილედთა „ბაზაზე“ ხდება. ისინი ჩქაროობენ, თავს დასტრიალებენ ყვავილებს და ცდილობენ, ამ ლამაზმანებმა ისე არ დატოვონ გარემო, რომ მათი სარგებლიანობა, ნექტრის და ცვილის სახით, დარჩეს აუთვისებელი.

ბზუილა გენიოსებმა უნდა მოასწრონ ამ ბუნებრივი საბადოს ათვისება, მათ სიზარმაცის უფლება

არ აქვთ, რადგან გაზაფხულთან ერთად, საბადოს მფლობელნიც ხელიდან გამოეცლებათ.

ყვავილედთა დასი სიამოვნებით და უშურველად სთავაზობს მებრძოლ-მომპოვებელთა არმიას თავის სასარგებლო გულთავსს, რითაც უზარმაზარი წვლილი შეაქვს ადამიანთათვის თაფლის გამრავალვიტამინიზირებაში.

ბზუილად ვახსენე, თორემ მათი შრომასთან შერწყმული ბზუილი, გაზაფხულის ბალ-მასკარადის პროგრამის ნაწილიც კია. დილით, ფრინველთა ხმამაღალი ორკესტრის ფონზე, მათი ბზუილი ჩვენთვის აღუქმელი რჩება. ან იქნებ, ფუტკრები დილით მშრომელ-მსმენლის როლში გამოდიან, შუადღისას კი – მშრომელ-მომღერლის, რადგან შუადღისას მკაფიოა მათი ბზუილით გამოხატული მუსიკალური ჟღერადობა.

ბუნებაში არ მეგულება უფრო გამრჯე, ძლიერი, მებრძოლი, ნებისყოფიანი და მოწესრიგებული, მრავალმხრივ სასარგებლო არსება, როგორიც ფუტკარია.

ბედნიერია ის, ვისაც ჰქონია შესაძლებლობა ამ ნიჭიერ მშრომელ-გასტროლიორთა მიერ, მათემატიკური სიზუსტით ნაგები ფიალებით (ფიჭით), თაფლის მოწოდების ხილვისა; რა საოცარია, მათი კოლექტიური შრომის სინქრონულობა, ნაყოფიერების

სიუხვე და სარგებლიანობა. რაც მთავარია, აღსანიშ-ნავია ისიც, რომ მათი გუნდური შრომა, სულ არ უშლის ხელს ნაშრომის ხარისხიანობას, რითაც უზარმაზარ მაგალითს გვაძლევს, წუთისოფლის უმაღლესი კატეგორიის გასტროლიორებს – პატივ-ცემულ ადამიანებს.

ასე რომ, გაზაფხულის გასტროლიორნი, არა მარტო მუსიკალური ჟღერადობით და სილამაზით ახარებენ და აცოცხლებენ გარემოს, არამედ ფრიად სასარგებლო შრომითაც.

•

ანტრაქტის დროს, შუადღისას, მუსიკოს-გას-ტროლიორნი, გართულნი არიან საკვების მოპოვებით, საბუდარის შეკეთებით, ზოგიც ახალი სახლის შენების ფაციფუცშია.

და კიდევ... ისინი ხომ ცეკვის ნიჭითაც არიან დაჯილდოებულნი. თუკი სიმღერისთვის მათი სცენა დედამიწასთან ახლოს ხეთა იარუსებია და სახლის აივნები, ცეკვისთვის – ფირუზისფერი ცის თაღი.

უღრუბლო ცას, როგორ უანგაროდ მოაფარ-დაგებენ ხოლმე, მოძრავი ორნამენტებით. ამ ულამა-ზესი ცეკვის ხელოვნების ხილვით დატკბობა ბედნიე-რებაა. ამ მოვლენას უნდა შეესწრო, ხილვა უნდა მოასწრო, რადგან მაყურებელთათვის არ არსებობს

მოსაწვევები, არ არსებობს ფასიანი ბილეთები, არ არსებობს აფიშები, არ არსებობს განსაზღვრული დრო. ხილვით დიდხანს დატკბობაც მსხვერპლს მოითხოვს. მზით გაჩახჩახებულ ცის გუმბათზე, როგორმე დიდხანს თვალის გასწორება უნდა შეძლო. ისინი უანგაროდ, დაუსრულებლად, შეუსვენებლივ, ლაღად დასრიალებენ ცის თაღზე. უშეცდომოდ და გასაოცარი სინქრონულობით შესრულებული ცეკვებით, ორიგინალური ნახაზებითა და გემოვნებიანი სქემებით ანებივრებენ ჩვენს თვალსაწიერს.

ანტრაქტზე, გაზაფხულის ყვავილები, დილის ბალ-მასკარადზე ცეკვისგან გადაღლილნი, ისვენებენ, თითქოს თვლემენ და მეორე დღისთვის ემზადებიან, თან ფუტკართაც მასპინძლობენ.

ფუტკართათვის კი, ანტრაქტი არ არსებობს. შუადღე მათთვის შრომის ნაყოფიერების პიკია.

•

ერთ-ერთი ანტრაქტის დროს, კორდზე მდგარი სახლიდან, პატარა გოგონა გამოვიდა, ისიც ერთ-ერთი გასტროლიორთაგანია ზამთრის კარჩაკეტილი ცხოვრების შემდეგ.

გოგონა დაუყვა გზას ჭიშკრისკენ, თან ერთობოდა და ტკბებოდა მინდვრის ყვავილების მშვენიერებათა დათვალიერებით. ხან ერთს, ხან მეორეს ხელით

ეფერებოდა და პატარა თითებით ყვავილედის ფურცლებს ფურცლავდა.

გოგონამ, ერთ-ერთ ყვავილზე დამჯდარი ლამაზი „ბუზიც“ არ დატოვა უყურადღებოდ. „ბუზი“ თვინიერი აღმოჩნდა, არ დაფრთხა და უცებ არ გაფრინდა გოგონას ხელის ნაზი შეხებისას. გოგონამ გადაწყვიტა დედისთვისაც ეჩვენებინა ეს საოცარი სილამაზის ბუნჩულა „ბუზი“; ფრთხილად აიყვანა ყვავილიდან, მის პატარა მუჭში მოიმწყვდია და სახლისკენ გაიქცა, დედის გახარების სურვილით.

გარბის გოგონა, გარბის და უცებ მომუჭული ხელის არათითზე საშინელი ტკივილი იგრძნო, რაღაცამ უკბინა, თუ უჩხვლიტა. გოგონამ სასწრაფოდ გაშალა ხელი და... „ბუზი“ უსულგულოდ მიწაზე დავარდა, თვითონ კი, განწირული ღრიალით, საშველად გაიქცა დედისკენ. ვერ გარკვეულიყო, რა დაემართა მის თითს.

შემკრთალი დედა ეზოში გამოეგება შვილს. გოგონა გულში ჩაიკრა, შეშინების და ტირილის მიზეზის გარკვევას შეეცადა.

გოგონამ როგორღაც აუხსნა.

დედა ყველაფერს მიხვდა.

გულუბრყვილო შვილი კიდევ უფრო მაგრად მიიკრა მკერდზე.

პატარას თითიდან ფუტკრის ნესტარი ამოუღო, ნატკენ თითზე ცივი ტილო შემოახვია და უთხრა, რომ იგი ლამაზი ბუზით კი არა, მშვენიერი და ძალზე სასარგებლო მწერით – ფუტკრით იყო მოხიბლული.

ნექტრის მოპოვებაში გართულმა ფუტკარმა დამტყვევებლის წინააღმდეგ ნესტარი გამოიყენა, რითაც გოგონას მორალის გაკვეთილი ჩაუტარა თავისი სიცოცხლის ფასად.

ამ „გაკვეთილის“ შემდეგ, პატარას როგორღაც შეებრალა კიდეც გარდაცვლილი, ადამიანთათვის სასარგებლო, მშრომელი არსება, ჯადოქარი ოსტატი და „მასწავლებელი“. მას შემდეგ, გოგონას ფუტკრისადმი სიყვარული და მისი ნაშრომისადმი პატივისცემის გრძნობა არ განელებია.

ახლა, უკვე ზრდასრული ადამიანი, სხვებს უტარებს გაკვეთილებს: გაზაფხულის მშრომელ-გასტროლიორთა – ფუტკართა, მათი ნაშრომის – თაფლისა და სხვა პროდუქტების სარგებლიანობაზე, საჭიროებაზე.

•

გაზაფხულის დასასრულს სტუმარ-გასტროლიორ ყვავილთა დინასტია ეთხოვება დედაბუნებას, ფუტკრებიც ამთავრებენ შრომის პირველ ეტაპს,

ეთხოვებიან გაზაფხულის ყვავილებს და თანდათან გადაინაცვლებენ ზაფხულის გასტროლიორებთან.

ფრინველთა საქმიანობაც სხვა ფაზაში გადადის: გაზაფხულის მგოსნებს, ახლა უკვე საორკესტრო საქმიანობის გარდა, შვილებზე ზრუნვა აკისრიათ. ისინი, ახალ თაობას წვრთნიან ფრენით გამძლეობაში, ამტანიანობაში. მათ ხომ შორი გზა აქვთ გასავლელი გვიან შემოდგომაზე. ისინი, თბილ კლიმატში ცხოვრების მოყვარულნი, თავის გადასარჩენად დროებით გაემგზავრებიან თბილ ქვეყნებში. საოცარია, თუმცა დასაფასებელია მათი გასტროლიორული დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისადმი, ხშირად მსხვერპლის ფასადაც კი. აშკარაა, შეუძლიათ მუდმივ საცხოვრებლად თბილი ქვეყნები აირჩიონ, მაგრამ უზარმაზარი სიყვარულის ძალა ჩვენთან კავშირის გაწყვეტის უფლებას არ აძლევთ; ამ მსხერპლზე სიხარულითაც კი მიდიან, ისინი ჩვენთან დაწვრილშვილდებიან, საფრენოსნო სწავლა-განათლებასა და წვრთნასაც ჩვენთან დაეუფლებიან და სრულყოფილნი უბრუნდებიან მეორე სამშობლოს – თბილ ქვეყნებს.

ჩვენთვის, სიხარულის მონიჭებისთვის, ნამდვილად ღირს მათი ორმაგი ცხოვრების წესით ცხოვრება.

ღმერთმა ნუ ქნას, გაზაფხულმა უმერცხლებოდ ჩაიაროს და ამ დიდი სიყვარულის, ამ დიდი სიხარულის მოლოდინით გაწბილება ვიწვნიოთ.

გაზაფხულის სრულყოფილება, მასპინძელ და გასტროლიორ ფრინველთა ერთობლივ ჭიკჭიკთან, მათი ბუდეების შეკეთება-შენების ფუსფუსთან, მათ დაბარტყიანებასთან, მომავალი თაობის საფრენოსნო წვრთნასთან – დაფრთიანებასთან ასოცირდება. ისინი, ჩვენი სამყაროს ბუნებრივი ფლორის დამამშვენებლებს და სიმდიდრეს წარმოადგენენ.

თუკი, გაზაფხულის სტუმარ-მასპინძელ-გასტროლიორთა მუყაით და მრავალფეროვან შრომას, მათ ფაცი-ფუცს, ადამიანთა გონივრული შრომითი საქმიანობის შერწყმაც ერთვის, მაშინ კიდევ უფრო სრულყოფილი ხდება გაზაფხულის ბუნებრივი და საოცრად ხიბლიანი ბალ-მასკარადი; მაშინ კიდევ უფრო კარგად შეიგრძნობა დედაბუნების ბედნიერ-ღიმილიანი განწყობა; სამყაროს ამ დამამშვენებელ არსებათა არსი.

03.03.2018 წელი.
თბილისი.

გარემო გააღუღუნა

(„ანბანური ინტეგრალების“ მოტივებზე)

გიორგობისთვეში გიორგობის გარიჟრაჟი განზე გამდგარიყო.

გორში, გურამიშვილის გამზირზე, განმხოლოებულ, გაჩახჩახებულ გარემოში, გაბრიელ გაბრიაძე გრძნობით გვიკითხავდა გარითმულ გულისხმებს და განწყობას გვილამაზებდა.

გული გულისყურობდა.

გაბრიელის გრძნობების გროვაში გრიგალივით გაიელვებდა გოროზ-გუმბათოვანი გარითმულობანი. გვიღიღინებდა და გვასმენინებდა გადაღლილ, გაფუფქულ, გულგაგლეჯილ, გახარებულ, გახუნებულ, განწირულ, გაწბილებულ, გადაბალახებულ, თუ გადაუბალახებელი გულების გუგუნს.

გულდაგულ გვამცნობდა გრძნობების გარითმვის გამის გასაღებს. გაბრიელის გამობრძმედილი გამების „განდაგანამ“ გაგვალაღა და გააადვილა გაბაასებანიც.

გრძელდებოდა და გრძელდებოდა გრაციოზულად გალექსილი გრძნობების გამომზეურებანი.

გარითმვების გენერალი გადმოიღვარა და გადმოიღვარა, განდიდების გარეშე გამოამზეურა გუნდ-

გუნდად, გაბედულად გარითმული, გოზინაყივით გემრიელი და გემოვნებიანი გამონათქვამები.

გულში, გრძნეული გვრიტივით გოგმანებდა, გულდაგულ გვირისტშემოვლებული, გონივრულად გამოძერწილი გარდასახვები.

გააღუღუნა გარემო.

გააღვივა და გააღვიძა გრძნობები გაყინულ გულებში.

გზადაგზა გამოგვაცოცხლებდა გადასაკისკისებლებითაც.

●

გაბრუებულნი გამოვედით გარეთ.

გვარიანად გაავდრებულიყო.

გულსავსეთაგან განშორების გულისწყვეტაც გამოიკვეთა.

განშორებით გულშეღონება გაცხადდა გაბრიელის განწყობა-გამომეტყველებაზეც.

გზაგასაყარზე გავიყარენით.

განვცალცაკევდით.

გავუყევი გზას გალავნის გასწვრივ, გუბურ-გუბურ.

●

განცალცაკევებულთა გზები გაგრძელდა, გაგრძელდა და... გაღმარეთში გადაიკვეთა.

გორაკ-გორაკ გაბნეულნი გავერთიანდით გეგ-მაზომიერ, გაფართოვებულ გარემოცვაში.

გავახარეთ და გავამზიანეთ გაჭარმაგებული გაბრიელის გრძნეულ გრძნობებში გახლართული გული.

გაბრიელ გაბრიაძე გამხნევებული, გულდამშვე-ნებული და გულდამშვიდებული გავისტუმრეთ გა-ღაღანებული გარემოცვიდან.

გვჯერა, გაბრიელი გულდინჯად გააგრძელებს გზას გარითმვების გალაქტიკაში.

07.12.2017 წელი.
თბილისი.

ბორკილი

ცხოვრება დაბადებისთანავე უამრავ გადასა-ლახ, დასაძლევ პრობლემას გვთავაზობს ბორკი-ლების სახით: უპირველესად სუნთქვა, შემდეგ ღუ-ღუნი, შემდეგ პირველი სიტყვა, პირველი ნაბიჯები, წაქცევისას ადგომა, ტკივილის და შიშის დაძლევა, კითხვის და წერის სწავლა...

ბორკილებს ამტვრევ, იმარჯვებ, ბედნიერი ხარ, გზას აგრძელებ და... ისევ ახალი ბორკილი. ისევ

მტვრევის და გამარჯვების სიხარული. იღლები, მაგრამ მაინც გსურს ბორკილების მტვრევით მოტანილი გამარჯვების სიხარულით ტკბობა.

ბორკილებს რომ ვერ ეგუები, იმიტომ გიჩნდება მისი დამტვრევის სურვილი. ამასობაში ძლიერდები და ნაწრთობი ფოლადივით უდრეკი, გაუტეხელი ხდები, მუშა სახნისივით პრიალა.

რაც უფრო დიდია ბორკილი, ანუ ბარიერი, მისი დამსხვრევით და მასზე გამარჯვებით, შენი რეიტინგი მაღლდება საზოგადოებაში და შინაგანი ძალები იზრდება შენში; იზრდება რწმენა და შეგრძნება იმისა, რომ გადაულახავი ბარიერი არ არსებობს, თუკი ფსიქოლოგიურად მზად ხარ არსებული ბორკილის დასამსხვრევად.

ასაკის მატებასთან ერთად, შინაგანი ძალები ცვდება, საბრძოლო ძალები გელევა, გადახანდაზმულდები. თუმცა კვლავ ბორკილების გარეშე გსურს ცხოვრება; თუ გვერდის ავლას ვერ ახერხებ, ნებდები.

გრჩება დაუმტვრეველი, გაუხსნელი, გადაულახავი ბორკილი ტვირთად. გიჭირს მისი ტარება, მაგრამ ვერ იშორებ და მიათრევ იძულებით.

უკვე ბორკილდადებულს, უფრო გიჭირს ახალ ბორკილთან გამკლავება.

ბოლოს ნებდები.

ამასობაში, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ბორკილების „ჯარიც“ დაიძვრება საბრძოლველად: სხვადასხვა ფორმის, სხვადასხვა ზომის, სხვადასხვა სიძლიერის.

შეძლებისდაგვარად ეწინააღმდეგები, ცდილობ ტვირთის შემსუბუქებას. თუმცა ახლა სხვა მხრიდან გიტევენ, აქაც ცდილობ წინააღმდეგობის გაწევას, ბოლომდე ვერ ამარცხებ, მაგრამ ცოტა შვებაც გაკ-მაყოფილებს.

ასე გროვდება გადაულახავი ბორკილები და ბოლოს აღმოჩნდები ბორკილებგარშემორტყმული, რაც უძლურის, მორჩილის, დამარცხებულის პოზიცი-აში გადასვლის მაუწყებელია.

თუ ვინმე შეგიმსუბუქებს ყოფას და დაგეხმა-რება ბორკილთა ნაწილობრივ დაძლევაში მაინც, ცოტათი ამოისუნთქავ, ამსუბუქდები, თუმცა ადრინ-დელი გამარჯვების სიხარული აღარ ახლავს თან.

გრძნობ, ბორკილთა მსხვრეველი მახვილი დაჩ-ლუნგებულა, დაბლაგვებულა და გალესვასაც არ ექ-ვემდებარება.

ასე რომ, თანდათან, არა მარტო ფიზიკურად, ფსიქოლოგიურადაც ჩლუნგდები და უკანდახევას-თან შეგუების პროცესის „ჭიშკარი“ ფართოდ იღება.

შებრძოლების და იმედების გზები დაბორკილია და დაბლოკილი.

ფიზიკური უძლურება ბრძოლის უნარს და სურვილს კლავს და არასრულფასოვნების სინდრომი გვიპყრობს, რასაც ფსიქოლოგიური მდგრადობის რყევა მოჰყვება.

ყოფითი მდგომარეობა თანდათან უარესდება.

ყელამდე ბორკილებში ხარ ჩაფლული და სიახლეების წვდომის არავითარი სურვილი არ გაგაჩნია, ამიტომ უკან იხედები, წარსულს უბრუნდები.

ბედნიერებაა, თუკი, ლამაზი წარსული, ძველი წარმატებები, სიცოცხლის ბოლო წამებს ფიქრებში ცისარტყელასავით გილამაზებს.

თანდათან, უვადო კატორღამისჯილის ფიქრები გიპყრობს და თავის დაღწევის გზას წუთისოფლიდან გასვლაში ხედავ.

21.01. 2019 წელი.
თბილისი.

მსმენელი

მოსმენის კულტურა შეუპასუხებლად არ ნიშნავს იმას, რომ მსმენელი ყველაფერში ეთანხმება მთხროობელს.

მსმენელი თუ არ ეკამათება და არ ეწინააღმდეგება მოსაუბრეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას სხვა აზრი არ გააჩნია.

წყნარი მსმენელი ხშირად უფრო „საშიშია“, ვიდრე შემკამათებელი.

წყნარ მსმენელში ზოგჯერ უფრო მეტი საპროტესტო აზრი იბადება, თუმცა შეიძლება არ გამოავლინოს საუბრის მომენტში.

წყნარ მსმენელს თვალებში უნდა ჩახედო.

თვალები მიგახვედრებს: შენი საუბრის თემა მისაღებია თუ არა მისთვის...

27.12.2017 წელი.
თბილისი.

აღვირი

აღვირი ცხენის დასამორჩილებლად გამოიგონა ადამიანმა, რათა საჭიროებისამებრ და მიზანმიმართულად ატაროს, ან გამოიყენოს ეს ცხოველი.

ადამიანზე უფრო მაღალგანვითარებული და მოაზროვნე სულიერი არსება არ შეუქმნია განგებას სამყაროში.

ადამიანმა თვითონ უნდა აკონტროლოს და პასუხი აგოს თავის საქციელზე; სხვაგვარად ადამიანსაც გაუკეთებდნენ აღვირს: უკადრის მოქმედებებზე, უღირს საქციელზე, მომხვეჭელობაზე, მითვისებაზე, ცხოველურ ინსტიქტებზე, მიმართვებზე, ენაზე და... კალამზეც კი.

დიახ, თურმე კალამზეც საჭირო ყოფილა „აღვირი“, რათა შენი კალმის მოსმით არ შელახო სხვისი ინტერესები, ავტორიტეტი. კალამი, სამწუხაროდ, ადამიანის ბრმა იარაღია, აზროვნებას ემორჩილება.

ამიტომ, მოაზროვნე ადამიანმა მხოლოდ შენი ნააზრევი უნდა გადაიტანო ფურცელზე. თუკი იმის სურვილი გაქვს და აუცილებლობასაც ხედავ, რომ სხვა ადამიანს შეეხო, ან მისი გამონათქვამი გამოიყენო, შეკითხვის ღირსად მაინც უნდა ჩათვალო. „აღვირახსნილად“ ნუ მოიქნევ მელნიან კალამს, ისე

რომ ადრესატს შეაშხეფო და მას არასასიამოვნო განწყობა შეუქმნა.

წერეთ თქვენი გონების ნააზრევები, შექმენით და გამოაცხვეთ თქვენეული „შედევრები“. რაც გაგაჩნიათ, იმ პროდუქტით მოამზადეთ სადილი, ნუ დაესესხებით სხვას და ნურც გადაიხედავთ სხვის ბოსტანში, რაიმეს მოწყვეტის მიზნით.

„მსოფლიოს“ გაკვირვებაზე წინასწარ ნუ ააგებთ კოშკებს. ჯერ შენს თავს აჯობე და გააკვირვე, მერე – გვერდით მდგომი მეგობარი, შემდეგ – მეგობრის მეგობარი... და ვინ იცის, იქნებ მსოფლიოც კი მოიცვათ და გააოცოთ...

ჩვენ ხომ მსოფლიოს ნაწილნი ვართ და თუ გვერდით მდგომი თითოეული ადამიანის ინტერესსა და ყურადღებას დავიმსახურებთ, მაშინ მსოფლიოც არ არის შორს, იგი ჩვენს გვერდითაა, ჩვენ კი – მასში. ოღონდაც, საკუთარი პროდუქტით მოახერხეთ ეს, თქვენი გონების შესაძლებლობის შესაბამისად.

ორიგინალური უნდა იყოთ და არა „ქსეროასლი“!

ყველაზე ცუდი ორიგინალი სჯობს, სხვის საუკეთესო ქსეროასლს!

ამით შენეული „კვარცხლბეკი“ ღირსეულად გამოიჭედება.

როგორი ცუდი, ან როგორი უბრალოც არ უნდა იყოს ეს „კვარცხლბეკი“ს, ის შენია და სხვებისგან განსხვავებული; ისე, როგორც ყველასგან განსხვავებულია შენი თითის ანაბეჭდი.

01.03. 2019 წელი.
თბილისი.

ადამიანური ამბიცია

ჩვენ, განდიდების მანიით შეპყროობილნი, ნიღაბს ამოფარებული ადამიანები, ერთმანეთს გავურბივართ; ნიღაბი ძალზე მარტივია – თქვენობითობა.

თქვენობითობა საუკეთესო ფარია თვალის ასარიდებლად და განსაშორებლად, საკუთარი ჩრდილების მისაჩქმალად.

ადამიანებში, თქვენობითობა ამპარტავნების პიკია, დაახლოვების და გულახდილობის დამაბრკოლებელი რგოლია.

არადა, ღმერთთან რა იოლია ურთიერთობა და გაბაასება, „შენობით“ რომ მივმართავთ. ამით ის გულში შემოგვყავს და ჩვენი მესაიდუმლე ამიტომაცაა.

„თქვენობით“ მიმართვისას ადამიანებს გულს ვერ გადავუშლით, ვერ გავხდებით ერთმანეთის მესაიდუმლენი, მეგობრები.

ჩემი აზრით, „თქვენობით“ მიმართვა მხოლოდ მრავლობითი ფორმის გამოსახატავად უნდა გამოიყენებოდეს, ან კიდევ: „თქვენობით“ მხოლოდ უცნობს უნდა მიმართო; მათაც, ვისთანაც ახლოს დგომა და ყოფნა დროებითია, ან არ გსურს.

წარმოიდგინეთ, პატარა შვილიშვილმა თქვენობით რომ მიმართოს მშობლებს, ბებიას და ბაბუას; მაშინ ცივი კედელი არ აღიმართება მათ შორის?! იგი ბებიას იოლად და თავისუფლად ლოგინში ვერ შეუგორდება, კალთაში „მის გემოზე“ ვერ ჩაუჯდება, კისერზე ვერ ჩამოეკიდება სიყვარულით და მის ჭკუაზედაც ვერ გაატარებს მოხუცს, რომელსაც ეს ურთიერთობა აახალგაზრდავებს; უფრო და უფრო დიდი სიყვარულით უახლოვდებიან ისინი ერთმანეთს. რომ არა ასეთი თბილი დამოკიდებულება, რასაც შენობით მიმართვა ხელს უწყობს და არეგულირებს, შვილიშვილი სუსხიანი ზამთრისგან გათოშილ, საკენკის მაძიებელ, მშიერ ბეღურას დაემსგავსებოდა.

ან კიდევ, დედა-შვილს შორის, ამბიციური „თქვენობითობა“ რომ ჩაჯდეს, მაშინ შვილი უდედმამო ბავშვთა სახლის აღსაზრდელისგან მხოლოდ ჩაცმულობით და სათამაშოების მრავალფეროვნებით

იქნებოდა განსხვავებული. და... მაშინ, ობოლ ბავშვთა სახლში აღზრდა, არაფრით იქნებოდა უარესი, რადგან, უამრავი ბავშვის გარემოცვაში, მეგობრული სიყვარულის გრძნობით მაინც გაიჟღინთებოდა.

ღმერთს, სიახლოვის გამო, მივმართავთ შენობით. ადამიანებიც რომ ასეთი დამოკიდებულებით ვიყოთ ერთმანეთთან, მაშინ ბოროტებაც ნაკლები იქნება და შესაბამისად, სიყვარულიც გაიზრდება.

„თქვენობითობით“ ზღუდეაღმართული ურთიერთობა ვიტრინაში ჩასმულ ადამიანთან ურთიერთობას ჰგავს. მას, თუმცა კარგად ხედავ, მაგრამ საუბარი არ გამოგდით, რადგან ერთმანეთის ხმა კარგად არ გესმით. დიდი ძალისხმევაა საჭირო, მასთან სასაუბრო მანძილზე მისასვლელად.

„შენობითობისას“ საუბარი გულახდილია და ყველაფერი უთქმელადაცაა გასაგები, ერთმანეთის გულისცემას ვგრძნობთ, ერთმანეთის სახეზე სიხარულსა და ტკივილს იოლად ვკითხულობთ.

ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, თუკი ადამიანები გაცნობისთანავე ერთმანეთს შენობით მიმართავენ, მაშინ უფრო მალე დაუახლოვდებიან ერთმანეთს. ხოლო, შეატყობ რა, რომ ეს ადამიანი შენგან სულ პარალელურ წრფეზე დადის, ან აცდენილზე, უნდა გადახვიდე თქვენობით მიმართვაზე. ეს საუკეთესო

საშუალებაა დაშორების და უმტკივნეულოდ განშორებისაც.

ჩვენნაირი ამბიციური, „თქვენობითობაში“ ჩაკარგული ადამიანების ბედი ასეთია: კაცზე და ცხოვრებაზე განაწყენებულნი, ბოლოს ღმერთისკენ ვიბრუნებთ პირს და გულს გადავუშლით, ღმერთთან შენობითი გასაუბრება გულში სითბოს ჩაგვიღვრის, ადამიანურ სიყვარულს ვიგრძნობთ, გული აგვიჩუყდება და ცრემლადაც გადმოვიღვრებით, შვებას ვიგრძნობთ, მიწაზე დავეშვებით, მიწიერ სითბოს და სურნელს შევიგრძნობთ, დავიცლებით ამბიციური სულიერი ტვირთისგან.

შვებით ამოვისუნთქავთ, შევთბებით, „გავღუდღუდდებით“, ამ სითბოს სხვასაც ვუწილადებთ, სიყვარულში ჩავიძირებით, ავმსუბუქდებით და ცხოვრებაც გაგვიიოლდება.

ასე, უსასრულოდ, სამყარო სიყვარულით აღივსება. სიყვარული კი ბედნიერების საწინდარია, რაც სიცოცხლეს ალამაზებს და აშინაარსიანებს.

თუ არ გამოვა, თქვენობითობაც არაა შორს; აქვეა ჩასაფრებული.

13.12.2017 წელი.
თბილისი.

ადამიანური ღირსებები

ადამიანის სულის სიდიადე, ანუ ადამიანური სიდიდეები და ღირსებები არ განისაზღვრება არც სიმაღლით, არც თანამდებობრივი კრიტერიუმებით, არც გვარიშვილობით, არც სიმდიდრით, არამედ, მასშია ჩაბუდებული, ძვალ-რბილშია გამჯდარი ადამიანური ბუნების ღირებულებებით, რომელიც ახლობელთა ზრუნვაში ვლინდება.

თუკი ადამიანი თავის პრობლემებს, სულის თუ სხეულის სატკივარს სხვას თავზე არ მოახვევს, არ დაიჩივლებს, სხვას თავს არ შეაცოდებს, თუკი იგი თავად ცდილობს, გაუმკლავდეს სატკივარს, გაუსაძლისი ტკივილებისთვისაც ფსიქოლოგიურად მზად არის, ოღონდაც არ შეწუხდეს გვერდით მდგომნი, რომელთათვისაც თვითონ თავგადაგებულად იხარჯება და ზრუნავს. ამ ყველაფრის უკან უზარმაზარი სიყვარული დგას.

სწორედ, აქ იმალება მისი ადამიანური ღირსების საიდუმლო.

ასეთი ადამიანი, არც საწყალია და არც საცოდავი. იგი ჯანსაღი, ძლიერი, მდიდარი სულის ადამიანია და ასეთადაც უნდა დარჩეს ახლობელთა ხსოვნაში.

მისი სიკეთით ნათელთან და ნათელსვეტთან ასოცირდება.

18.02.2018 წელი.
თბილისი.

სამყაროს ჭირისუფალი

ცრემლები ადამიანის მკურნალი, დარდის და დიდი სიხარულის დროს წარმოშობილი ადრენალინის ამომრეცხი და გამანეიტრალებელია; ღრუბლის ცრემლები კი – სამყაროს მკურნალი და გადამრჩენი.

როცა ღრუბელი დედამიწიდან მაღლა, ზენიტშია, მისი ცრემლები გზაში იფანტება, იშლება, ორთქლდება და დედამიწამდე ვეღარც აღწევს; ზოგჯერ კი, პირიქით, გზაში ერთდებიან და მსხვილმარცვლოვანი, კოკისპირული წვიმის სახით გვევლინებიან; ეს უფრო შემოდგომის თანმდევია; გაზაფხულმა წვრილმარცვლოვანი წვიმა იცის, რომელზეც ვიტყვით: ფუთქავსო, ან ცრისო, თუ ნიავიც თან ახლავს – ცერად ცრისო; ამ დროს ცალგვერდულად სველდება ხე, ბორცვი; გზად მიმავალ ადამინს ან სახეს

ჩამობანს, ან კეფას და ზურგს. ზაფხულმა შხაპუნა ან ჟუჟუნა წვიმა იცის, ხანდახან, არც თავსხმაზე ამ-ბობს უარს.

ღრუბლიდან წვიმის წვეთების წარმოქმნის და წამოსვლის პროცესს ჩვენ ვერ ვხედავთ, ვერ შევიგ-რძნობთ.

ამ დილით კი, ღრუბელი დედამიწაზე ჩამოვიდა და მოიცვა ხილული სამყაროს ყოველი ნაკვთი და ჭუჭრუტანა, ტანისამოსის ფორები, ხეს შემოეხვია, მის ყველა ფოთოლს, ყველა წიწვს ჩაეხუტა, გირჩის კაბის ყველა ნაოჭში შეძვრა და იქ გადმოიღვარა ცრემ-ლად; გადახურულ სივრცეში გაფენილი სარეცხის ფორებშიც შეაღწია და ჩამოლუმპა; გასახმობად გა-ფენილი კაკალი კი ახალგარეცხილს დაამსგავსა. აივ-ნის სიღრმეში, სარეცხისთვის გაჭიმულ მავთულზე, ბროლის მძივებივით გამწკრივდა ღრუბლის დარდის გამომხატველი ცრემლები და ცხადად გამოხატა მისი შინაგანი განწყობა. ღრუბლის ცრემლებით გამოხატუ-ლი გლოვა ყველგან და ყველაფერში იგრძნობა.

სამყარო დიდი მწუხარებით მოცულ, მდუმარე ჭირისუფალს დაემსგავსა, რომლისთვისაც საოხი სიტყვა არ არსებობს; ამიტომაცაა სამარისებული სიჩუმე. დასამარდა ბუნების ყოველგვარი ბუნებრივი სიხალისე. ტყის გამაცოცხლებელი და გამაახალგაზ-

რდავებელი ფრინველთა დასიც, სასამძიმრო დუმილით სოლიდარობას უცხადებს მტირალ ბუნებას.

ღრუბლის ცრემლებით დამძიმდა ხეები, ფოთლები, ბალახები; სადღაც გაქრა მათი ნამდვილი იერსახე. დგანან გაჭირვებით: თავდახრილნი, მხრებჩამოყრილნი; ცრემლგამდინარე დაბალი მცენარეები მიწაზე გართხმულან, დედამიწა ისრუტავს ნაღვენთ ცრემლებს და თანდათან იჟღინთება.

დედამიწას უჭირს ამ ყველაფრის ზიდვა და თითქოს დაბრტყელდა. დამწუხრებული ჰაერი გაშეშდა, ვეღარ ახერხებს და არც სურს მიმოსვლა ხეებსა და ფოთლებს შორის და ძველებურად მიალერსება; აღარ ჩურჩულებს ბუნება, თანაუგრძნობს ღრუბელს.

ამ საყოველთაო დასამარებულობის და გლოვის წამალი, რომელიც მოაცოცხლებს, მოაფხიზლებს და საზეიმო ელფერს დაუბრუნებს ბუნებას, არის სამყაროს მხსნელი, დედასავით ერთადერთი, სიცოცხლის წყარო და მკურნალი, გამათბობელი და მანათობელი მზე. მაგრამ, იგი, თითქოს, სადღაც გადაკარგულა თუ გადამალულა. იქნებ დედამიწაზე ფეხად ჩამოსული ღრუბელი არა თუ არ აძლევს გამონათების და თავისი ფუნქციის შესრულების საშუალებას, ბოროტი გველეშაპივით აზის სამყაროს და მზის სხივებით სარგებლობის უფლებას ართმევს. უნ-

და მის ცრემლებში ჩაახრჩოს და წალეკოს კიდეც სამყაროს მშვენიერი ყოფითობანი.

მზეში, როგორც დედაში, უზარმაზარი ძალაა, რომელმაც შიში არ იცის, რომლისთვისაც მიუღწეველი და მიუწვდომელი არაფერია, გადაულახავი ბარიერი არ არსებობს. იგი, როგორღაც, გამოიხსნის დედამიწისეულ არსებათა ასამბლეას სითბური ენერგიის წყალობით. იგი გამჭოლი გულმხურვალეებით გაარღვევს და დაარღვევს გაავებული ღრუბლის უძლეველობის სინდრომს და ჭირის მდგომარეობას სალხინოთი შეცვლის. აახმაურებს და ძველებურ მოკისკისე, მხიარულ განწყობას დაუბრუნებს დედაბუნებას.

●

თუმცა...

ვინ იცის, ღრუბელს რა დარდი შემოსწოლია და რა მწუხარებას მოუცავს?! იქნებ გამოქცევია მის საცხოვრისს, დედამიწას დამხობია, ჩუმად ქვითინებს და შველას ითხოვს.

იგი ცოდვამადლიან დედამიწას ღაპაღუპით ცრემლს აფრქვევს, იქნებ დასტირის ცოდვილ სამყაროში ადამიანთა ურთიერთობების გადაგვარებას, მტრულ დამოკიდებულებას, მათ უგვანო დაპირისპირებას, მიმტაცებლობას, გაუტანლობას, შურიანობას.

გამოსავლის პოვნის ძიებაში დადარდიანებულმა დედაბუნებამ სუნთქვა შეიკრა და ჩაფიქრდა.

ხსნის გზები ჩარაზულა.

იქნებ დედამიწაზე არსებული ცხოვრების არსთა, უმსგავსობათა და გადაგვარებათა, ქართველ ხალხთა უსიყვარულობათა, შურიანობათა, ერთმანეთზე ჩასაფრებულობათა, ღვარძლთა, მტრობათა გამო შეწუხებულმა ღრუბელმა ცის გუმბათი მიატოვა და თავისი გულისტკივილის გამოსახატავად, საჭირისუფლოდ დედამიწისკენ გამოექანა, დაემხო და ცრემლად იღვრება.

მისმა საცოდავობამ სული შემიძრა. არ მინდა ეს პროცესი გავაუბრალოო და მას წვიმა ვუწოდო. წვიმა დედამიწისთვის ძალზე ჩვეულებრივია, მისი წარმოქმნის პროცესი ზეცაში წყდება.

ეს კი, ეს, რაც ახლა ხდება, სულისშემხუთველი ცრემლწარმოქმნის პროცესია იმედგადაწურულისა, ხეებზე ჩამოხეული ღრუბლისა. მისი ტანჯვაა ცრემლებით გამოხატული, რომელიც სუფთა გრძნობის პროდუქტია. ამიტომაცაა, წვიმის წყალი რბილი და სასარგებლო, სალბუნი. იგი დაგროვებული, დაგუბებული დარდის ცრემლის ღვრის პროცესია.

ტანჯული ღრუბლის ცრემლად ღვრის პროცესს მთაში დაინახავ თვალნათლივ – იქ, სადაც ახლოსაა

ცა და ღრუბელი დედამიწასთან, გამოღვენთილი ცრემლებიც სუფთაა და ანკარა წყაროს წყალივით. ამიტომაც, მისგან გაპოხიერებულ მიწაზე მოსული მოსავალი სასარგებლოა, სამკურნალო, საღი და გემრიელი. ეს არ არის ატმოსფერული მტვრით დაბინძურებული წვიმა, როგორიც გვხვდება ბარში, ქალაქში.

ყველანაირი ღრუბელშემოსილობის ერთადერთი ხსნა და იმედი მზეა. იგი გაფანტავს ღრუბელს, სამყაროს ცრემლებს შეუშრობს და დედასავით მიესიყვარულება, ყველა კუთხე-კუნჭულს ჩაეხუტება, გაათბობს და დაათბობს ჭირისუფლურ განწყობას.

ჩიტუნიები სასიმღეროდ განეწყობიან, აჟღურტულდებიან, ხალისიან ხმებს შეათანწყობენ და გარემოს გააღუღუნებენ.

ბავშვები მზეს ეზოებში გამოეგებებიან, ქუდებს გადაიხდიან, ტანზე თბილ ტანსაცმელს შეიმცირებენ და გამხიარულდებიან, სათამაშოდ ერთმანეთს მოუხმობენ.

მოხუცები საწოლიდან ნელ-ნელა წამოდგებიან, იმედის სხივი ჩაუდგებათ თვალებში, ფაციფუცით ტანსაცმელს ჩაიცვამენ, მზის ყურზე გავლენ, დაბალ „ჯორკოზე“ დასხდებიან, ზურგის ძვლებს გაითბობენ, თანდა-

თან წელში გაიმართებიან, ძალა მოემატებათ, ტვირთადქცეული ტანისამოსიც აუმსუბუქდებათ.

ბებიები – ქსოვის და კემსვის ხასიათზე მოვლენ.

ბაბუები – ცულის ტარის დამუშავებას შეუდგებიან, თან შვილიშვილებს იგავებს მოუყვებიან; ზოგი, სადილის მოლოდინში, ნარდის, ჭადრაკის ან კარტის თამაშში გამოხატავს ამაღლებულ განწყობას.

დიასახლისები – ფანჯრებს გამოაღებენ, რათა სევდიან ოთახებში მზის მადლი და სითბო შემოუშვან. ისინი გაამრავალფეროვნებენ სადილის სუფრას და წინა დღეებში უამინდობით გამოწვეულ უღიმღამობანს საბოლოოდ ჩამოიცილებენ.

16.10. 2019 წელი.
მანგლისი.

სარჩევი

შტრიხები ანუ წინათქმა 3
თეა სიხარულიძე
გადაფასება 5
თამთა ხიხაძე

რაც განვვლე

ავტოპორტრეტი... 6
ფიტული 14
წერის საღერღელი 16
„წერამ“ ამიტანა 18
ძილი მკვდარი ცხოვრებაა 21
ჩემი ზურგი და ხერხემალი 25
სიცოცხლე გრძელდება 36
ფრაგმენტები 38
უჩინარი 53
სიზმარმა შემახსენა 59
უმადურობა – შეგნებული სიბრმავეა 66
რამაც გადამარჩინა... 68
პირშიმიუხლელი პასუხი 73
პარალელები 75
მონატრება 79
მე, როლი არ მაქვს 83
მარტოსულობის ფესვები 88
ორი ჯილდო 92

ველოდები წერტილს 95
გზა ცხონების 100
განთავისუფლება არასასიამოვნო იარლიყით 104
გამარჯვება 108
ბედნიერების არსი 112
აღმოჩენა 113
ჩემი ეზოს ჩიტუნიები 118
ღამე არ მიყვარს 127
ჩვევა 130
უფლის რეკომენდაციით 131
ლოცვით გამოხატული მადლიერება 133

გ უ ლ ი თ შ ე გ რ ძ ნ ო ბ ი ლ ნ ი

ბუმერანგი 136
ცრემლები განძია 143
ორი მე 145
ჩვენი გზა წუთისოფელში 147
სიყვარულის თვალი 150
შვილი ფითრია 153
სახალხო მჩაგვრელი 156
მისილული ჩირაღდანი 158
მარტის გული კეთილია 161
დედობა დიდებულებაა 166
გზა მიზნამდე 169
გაუმხელელი სიყვარულის ძალა 171

გაზაფხულის გასტროლიორნი 172
გარემო გააღუღუნა 184
ბორკილი 186
მსმენელი 190
აღვირი 191
ადამიანური ამბიცია 193
ადამიანური ღირსებები 197
სამყაროს ჭირისუფალი 198

ნახატი შესრულებულია ავტორის მიერ

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ციცინო ჩხაიძე
ნანა დუმბაძე

ყდის დიზაინი
ციცინო ჩხაიძე
ნანა დუმბაძე

დაიბეჭდა
შ.პ.ს. „თეკა@კომპანიაში“

დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში, 1955 წლის 16 იანვარს. 1972 წელს დაამთავრა შუხუთის საშუალო სკოლა.

პროფესიით ეკონომისტია.

წლების მანძილზე მუშაობდა ინჟინერ-კონსტრუქტორად.

ჰყავს სამი შვილი და სამი შვილიშვილი.

ISBN 978-9941-8-2988-8